 7  $k_1 = 0.2185998$   $k_2 = 2.010276$   $h = 1405.871$   $t = 10.1573$   $g_{min} = 210.6178$   $S_w = 14279.85$   $2S_f = 12550.44$   
 8  $k_1 = 0.2233915$   $k_2 = 2.138787$   $h = 1367.334$   $t = 10.018$   $g_{min} = 210.2808$   $S_w = 13697.96$   $2S_f = 13089.41$   
 9  $k_1 = 0.2026818$   $k_2 = 2.09353$   $h = 1410.084$   $t = 10.27221$   $g_{min} = 210.1991$   $S_w = 14484.67$   $2S_f = 12292.28$   
 10  $k_1 = 0.2151601$   $k_2 = 2.060895$   $h = 1398.32$   $t = 10.0819$   $g_{min} = 208.8116$   $S_w = 14097.72$   $2S_f = 12502.49$   
 11  $k_1 = 0.2163652$   $k_2 = 2.000554$   $h = 1407.398$   $t = 10.10754$   $g_{min} = 208.3407$   $S_w = 14225.34$   $2S_f = 12314.88$   
 Optimum  
 11  $k_1 = 0.2163652$   $k_2 = 2.000554$   $h = 1407.398$   $t = 10.10754$   $g_{min} = 208.3407$   $S_w = 14225.34$   $2S_f = 12314.88$   
 amocanis amoxsna damTavrebula



ნახაზი 4. კოჭის კონსტრუქციული ნახაზი

გაანგარიშებები ჩატარებულია, როდესაც  $k_1$  და  $k_2$  პარამეტრები a,e,f,g მართვულებით შემოფარგლულ არეში იცვლება, ხოლო კოჭის კონსტრუქცია ექრანზე რაციონალურად განთავ-


სების მიზნით შერჩევით აგებულია ცხრილი მეორის 1,4,8 და 11 სტრიქონული მონაცემების მიხედვით (ნახ. 5).

ცხრილი 2

```

1 k1= 0.2407245 k2= 2.077063 h= 1407.037 t= 10.02804 gmin= 221.5241 Sw= 14109.81 2.Sf= 14109.81
2 k1= 0.2040357 k2= 2.450551 h= 1319.596 t= 10.37203 gmin= 214.8841 Sw= 13686.89 2.Sf= 13686.89
3 k1= 0.2449745 k2= 2.041028 h= 1351.363 t= 10.07638 gmin= 213.7846 Sw= 13616.85 2.Sf= 13616.85
4 k1= 0.2351203 k2= 2.126571 h= 1335.385 t= 10.19117 gmin= 213.6635 Sw= 13609.14 2.Sf= 13609.14
5 k1= 0.2307007 k2= 2.16731 h= 1352.459 t= 10.02575 gmin= 212.8828 Sw= 13559.41 2.Sf= 13559.41
6 k1= 0.2444263 k2= 2.045607 h= 1352.032 t= 10.00757 gmin= 212.4296 Sw= 13530.55 2.Sf= 13530.55
7 k1= 0.2082793 k2= 2.400623 h= 1337.525 t= 10.11023 gmin= 212.3062 Sw= 13522.69 2.Sf= 13522.69
8 k1= 0.2124843 k2= 2.353115 h= 1344.848 t= 10.01618 gmin= 211.4828 Sw= 13470.24 2.Sf= 13470.24
9 k1= 0.2229458 k2= 2.242698 h= 1341.537 t= 10.00642 gmin= 210.7566 Sw= 13423.99 2.Sf= 13423.99
10 k1= 0.2425209 k2= 2.061678 h= 1341.052 t= 10.00406 gmin= 210.6308 Sw= 13415.97 2.Sf= 13415.97
11 k1= 0.2387102 k2= 2.09459 h= 1339.484 t= 10.01135 gmin= 210.5378 Sw= 13410.05 2.Sf= 13410.05
Optimum
11 k1= 0.2387102 k2= 2.09459 h= 1339.484 t= 10.01135 gmin= 210.5378 Sw= 13410.05 2.Sf= 13410.05
amocanis amoxsna damTavrebulia

```



ნახ. 5. ქოჭის ქონსტრუქციული ნახატი

ქოჭის ქონსტრუქციის აგების პროცესამა მოცემულია ქვემოთ.

Dim k1(4) As Single, k2(4) As Single, h(4) As Single,  
t(4) As Single,  
k11(4) As Single, k22(4) As Single, h1(4) As Single,  
t1(4) As Single,  
gmin(4) As Single, I As integer

Private Sub command2\_Click()  
Open "C:\badri\orte.txt" For Input As #1  
For i=1 To 4

Input #1, k(i), k2(i), h(i), t(i), gmin(i)  
Next i

Picture1.Scale (0,1650) - (400, 0)

Picture2.Scale (0,1650) - (400, 0)

Picture3.Scale (0,1650) - (400, 0)

Picture4.Scale (0,1650) - (400, 0)

M = 10

N = 1648

For i=1 To 4

If i=1 Then

Picture1.FillStyle = 4

```

Picture1.Line (m, n) - (m + k1(i) * h(i), n - k2(i) * t(i)) ,
vblue, B
Picture1.FillStyle = 5
Picture1.Line (m + k1(i) * h(i)/2 - t(i)/2, n-k2(i) * t(i)) -
(m+k1(i)*h(i)/2 + t(i)/2, _ 
n-k2(i) * t(i) - h(i)), vbBlack
Picture1.FillStyle = 4
Picture1.Line (m, n - k2(i) * t(i) - h(i)) - (m + k1(i) *h(i),
n -2*k2(i) *t(i) - h(i)), _
vbBlue, B
Picture1.Print " "
Picture1.Print "k1="; k1(i); "k2="; k2(i)
Picture1.Print "h="; h(i); "t="; t(i); "gmin="; gmin(i)
Picture1.Print "k1.h="; k1(i) * h(i); "k2.t="; k2(i) * t(i)
Picture1.Print "2Sf="; 2 * k1(i) * h(i) * k2(i) * t(i);
"Sw="; h(i) * t(i)
End if
If i=2 Then
Picture2.FillStyle = 4
Picture2.Line (m, n) - (m + k1(i) * h(i), n - k2(i) * t(i)) ,
vblue, B
Picture2.FillStyle = 5
Picture2.Line (m + k1(i) * h(i)/2 - t(i)/2, n-k2(i) * t(i)) -
(m+k1(i)*h(i)/2 + t(i)/2, _ 
n-k2(i) * t(i) - h(i)), vbBlack
Picture2.FillStyle = 4
Picture2.Line (m, n - k2(i) * t(i) - h(i)) - (m + k1(i) *h(i),
n -2*k2(i) *t(i) - h(i)), _
vbBlue, B
Picture2.Print " "
Picture2.Print "k1="; k1(i); "k2="; k2(i)
Picture2.Print "h="; h(i); "t="; t(i); "gmin="; gmin(i)
Picture2.Print "k1.h="; k1(i) * h(i); "k2.t="; k2(i) * t(i)
Picture2.Print "2Sf="; 2 * k1(i) * h(i) * k2(i) * t(i);
"Sw="; h(i) * t(i)
End if
If i=3 Then
Picture3.FillStyle = 4
Picture3.Line (m, n) - (m + k1(i) * h(i), n - k2(i) * t(i)) ,
vblue, B
Picture3.FillStyle = 5
Picture3.Line (m + k1(i) * h(i)/2 - t(i)/2, n-k2(i) * t(i)) -
(m+k1(i)*h(i)/2 + t(i)/2, _ 
n-k2(i) * t(i) - h(i)), vbBlack
Picture3.FillStyle = 4
Picture3.Line (m, n - k2(i) * t(i) - h(i)) - (m + k1(i) *h(i),
n -2*k2(i) *t(i) - h(i)), _
vbBlue, B
Picture3.Print " "
Picture3.Print "k1="; k1(i); "k2="; k2(i)
Picture3.Print "h="; h(i); "t="; t(i); "gmin="; gmin(i)
Picture3.Print "k1.h="; k1(i) * h(i); "k2.t="; k2(i) * t(i)
Picture3.Print "2Sf="; 2 * k1(i) * h(i) * k2(i) * t(i);
"Sw="; h(i) * t(i)

```

End if  
If i=4 Then  
Picture4.FillStyle = 4  
Picture4.Line (m, n) - (m + k1(i) \* h(i), n - k2(i) \* t(i)) ,
vblue, B  
Picture4.FillStyle = 5  
Picture4.Line (m + k1(i) \* h(i)/2 - t(i)/2, n-k2(i) \* t(i)) -
(m+k1(i)\*h(i)/2 + t(i)/2, \_ 
n-k2(i) \* t(i) - h(i)), vbBlack  
Picture4.FillStyle = 4  
Picture4.Line (m, n - k2(i) \* t(i) - h(i)) - (m + k1(i) \*h(i),
n -2\*k2(i) \*t(i) - h(i)), \_
vbBlue, B  
Picture4.Print " "  
Picture4.Print "k1="; k1(i); "k2="; k2(i)  
Picture4.Print "h="; h(i); "t="; t(i); "gmin="; gmin(i)  
Picture4.Print "k1.h="; k1(i) \* h(i); "k2.t="; k2(i) \* t(i)  
Picture4.Print "2Sf="; 2 \* k1(i) \* h(i) \* k2(i) \* t(i);
"Sw="; h(i) \* t(i)
End if
Next i
Close #1
End Sub

### 3. დასკვნა

ამრიგად, დასასრულ შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

შემოთავაზებულია აღნიშნული კოჭის ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების ახალი მეთოდი. პრობლემა წარმოდგენილია როგორც არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანა. მოყვანილია მიხი გადაწყვეტის მეთოდი.

დამუშავებულია კომპიუტერზე მიღებული შედეგების მიხედვით კოჭის კონსტრუქციის აგების აღგორითმი. შედეგენილია პროგრამების პაკეტი, ობიექტზე ორიენტირებული ალგორითმები ენა Visual Basic-ზე.

### ლიტერატურა

1. ხო Է., Արու յ. Прикладное оптимальное проектирование. Москва: Мир, 1983.- 480 с.
2. ბ. გვასალია. შედეგენილი ორცესებრი კოჭის ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, 2(476). თბილისი, 2010, გვ. 11-17.
3. ბ. გვასალია. სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების ოპტიმალური დაპროექტების მეთოდები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010, გვ. 240.
4. მეტალлические конструкции / Под общей редакцией Беленя Е.И. Москва: Стройиздат, 1986.- 560 с.

UDC 624.023:681.3

**COMPUTER-AID DESIGN OF COMPOSITE OPTIMAL I BEAM****B. Gvasalia, Z. Kapanadze**

Department of computer engineering design, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is offered calculation of the new method of composite I beam optimal parameters. The problem is presented as non-linear mathematical programming task. There is given the methodology of its solution. There is compiled program package on the object oriented algorithm language Visual Basic. There is developed algorithm of beam's structure construction based on obtained on computer results.

**Key words:** metal construction; optimal parameters of beam; random search of extremum.

**УДК 624.023:681.3****КОМПЬЮТЕРНОЕ ПРОЕКТИРОВАНИЕ СОСТАВНОЙ ДВУТАВРОВОЙ БАЛКИ****Гвасалия Б.А., Капанадзе З.Ш.**

Департамент компьютерного проектирования строительных конструкций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Предлагается новый метод определения оптимальных параметров составной двутавровой балки. Проблема представлена как задача математического нелинейного программирования. Даётся методика ее решения. Предлагается пакет прикладных программ на объектно-ориентированном алгоритмическом языке Visual Basic. На основе полученных результатов разработан алгоритм визуализации балки.

**Ключевые слова:** металлические конструкции; оптимальные параметры двутавровой балки; случайный поиск экстремума.

მიღებულია დახაბუჭლიდა 01.07.2012

**შაპ 624.023****ოკუმალური შედენილი ორგანიზაციის კოჟები მარენგლოვაშვილი****ბ. გვასაძე\*, ზ. კაპანაძე**

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავა 77

E-mail: gvasbadal@posta.ge

**რეზიუმე:** ნაშრომში მოცემულია ორგესებრი კოჭის ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშებებისადმი მიძღვნილი სტატიკული გარიტიკული მიმოხილვა. მოცემულია არსებული გაანგარიშებების დადგებითი და უარყოფითი მხარეები. მოთითებულია აღნიშნული გაანგარიშებების კომ-

პიუტერული რეალიზაციის მიზანშეწონილობისა და ახალი მეთოდების შემუშავების აუცილებლობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ლითონის კონსტრუქციები; კონსტრუქციების ოპტიმალური პარამეტრები; კოჭის დაპროექტება.

## 1. შესავალი

როგორიც შედგენილი ორტექსებრი კოჭი ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში, იმ შემთხვევაში, როცა ნაგლინი კოჭი ვერ აკმაყოფილებს სიმტკიცის, სიხისტის, საერთო მდგრადობის და სხვა მოთხოვნებს

ოპტიმალური დაპროექტების თეორია არის მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და განვითარებადი დარგი, რომელზედაც დაფუძნებულია მრავალი ტექნიკური ხასიათის ამოცანების და მათ შორის, აგრეთვე სამშენებლო კონსტრუქციების საპროექტო გაანგარიშებები. პუბლიკაციათა რიცხვი ამ მიმართულებით მუდმივად იზრდება. ამოცანათა დასმა და მათი ამოხსნის მეთოდები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ორტექსებრი კოჭის ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდები პირობითად შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაყვოთ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები [1,2,3], რომლებშიც ავტორები ცდილობენ ანალიზური ხერხებით ამოცანის გადაწყვეტას, ხოლო მეორე ჯგუფს კი მეთოდები [4,5,6], სადაც უპირატესობა ენიჭება ამოცანის გადაწყვეტას ძებნის სტანდარტი მეთოდების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია ამ მიმართულებით არსებული ძირითადი მეთოდებისა მოქლე მიმოხილვა.

[1] მოცემულია შედგენილი ორტექსებრი კოჭის ოპტიმიზაციის ამოცანის მაკრი მათემატიკური ფორმულირება და გადაწყვეტა. მაგრამ, სამწუხაოდ, ავტორი განიხილავს მხოლოდ მარტივ და იდეალურ ული კოჭების გარიანტებს, რაც პრაქტიკულ შემთხვევებში უმეტესად არ ამართდებს.

[2] განხილულია ორტექსებრი კოჭის ოპტიმალური კვეთის არჩევა მხოლოდ ორი პარამეტრის მიხედვით. მეთოდის ნაკლია, ის რომ ამოცანა სინამდვილეში არის ოთხპარამეტრიანი, ამიტომ ასეთნაირად მიღებული შედგები მხოლოდ მიახლოებით იქნება.

[3] სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკების დასახმარებლად მოცემულია შედეგებული ორტექსებრი კოჭის განვაკვთის მინიმალური ფართობის განსაზღვრის მეთოდი სიხისტისა და სიმტკიცის მიხედვით. მოყვანილია საანგარიშო ფორმულები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდი ორიენტირებულია გაანგარიშებების ხელით ჩატარების შემთხვევაში, რაც, როგორც წესი, დიდი სიზუსტით არ ხასიათდება.

[4] წარმოდგენილია ოპტიმალური დაპროექტების მეთოდი ორტექსებრი კოჭის შემთხვევაში, სადაც მინიმიზაცია კეთდება კოჭის მოცემო-

ბის, წონის და ამასთან ერთად მასალის ხარჯის მიხედვით. მოცემულია აგრეთვე დამატებითი პირობები კოჭის სიმტკიცისა და მდგრადობის შესახებ. ეველაფერი ეს კეთდება გლობალური ექსტრემუმის მონახვის გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ალგორითმი კარგ შედეგს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიზნის ფუნქციის გლობალური ექსტრემუმი მკვეთრადაა გამოხატული. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, როცა მიზნის ფუნქციას არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული გლობალური ექსტრემუმი აგრეთვე გააჩნია ერთმანეთის ტოლი ორი ან მეტი გლობალური ექსტრემუმები, მაშინ ალგორითმმა შეიძლება მოგვცეს საკმაოდ არაზუსტი შედეგი.

ვინაიდან, [7]-ში მოცემულია ორტექსებრი კოჭის გაანგარიშების კლასიკური ვარიანტი, რომელიც შესულია თოთქმის კველი ამ დარგში არსებული სახელმძღვანელოში და დადგებულია ინტერნეტ საიტებზე, ამიტომ, შევეცდებით ამ მეთოდით კოჭის გაანგარიშება აღვწეროთ უფრო თანამიმდევრულად.

## 2. ძირითადი ნაწილი


ვთქვათ, დასაპროექტებელია შედგენილი, ორტექსებრი განივალეთის მქონე, ფოლადის კოჭი, როგორც ეს ნაჩვენებია 1-ელ ნახ-ზე კოჭს უნდა ჰქონდეს მინიმალური წონა, მაშინ როდესაც შეზღუდვა დადგებულია თაროებზე მოქმედ ღუნვის ძაბვებზე, კოჭის საერთო მდგრადობაზე, თაროებისა და კედლის ადგილობრივი მდგრადობის კარგვაზე.

განვიხილოთ ეს მეთოდი შემდეგი თანამიმდევრობით:

1. კრიტერიუმს, რომელსაც ე. ბელენია იწევს კოჭის წონის მინიმიზაციის მიზნით არის ორპარამეტრიანი ფუნქცია. კოჭის ერთი გრძივ მეტრის სრული წონა  $g$  ტოლია კედლისა და თაროების წონების ჯამის და იგი გამოითვლება ფორმულით:

$$g = 2g_f + g_w = 2 \frac{cM_{\max}}{h_w^2 R} \psi_f \rho + h_w t_w \psi_w \rho, \quad (1)$$

სადაც  $g_f$  არის კოჭის ერთი თაროს წონა,  $g_w$  – კოჭის კედლის წონა,  $c$  – მომენტის წილი,  $M_{\max}$  – მაქსიმალური საანგარიშო მომენტი,  $R_y$  – მასალის საანგარიშო წინაღობა,  $h_w$  – კოჭის კედლის სიმაღლე,  $t_w$  – კოჭის კედლის სისქე,  $\psi_f$  და  $\psi_w$  – კოჭის ტრანსმისიული კოდიციენტები.



ნახ.1. ორგესებრი კოჭი

(1) ფორმულაში შემავალი უკლა სიდიდე ცნობილია, გარდა  $h_w$  და  $t_w$ -სი რომელთა თპტიმალური მნიშვნელობები საპოვნია. ამისათვის, ტენიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, აფიქსირებენ  $t_{w(1)}$ -ს პირველ მნიშვნელობას და გააწარმოებენ (1) ფუნქციას  $h_w$ -ის მიხედვით. მიღებულ განტოლებას 0-ს უტოლებენ:

$$\frac{dg}{dh_w} = -2 \frac{cM_{\max}}{h^2 R_y} \psi_f \rho + t_w \psi_w \rho = 0. \quad (2)$$

საიდანაც გარემო გარდაქმნებისა და მიღებულ განტოლების ამოხსნის შემდეგ დებულობენ  $h_w$ -ის პირველ თპტიმალურ მნიშვნელობას:

$$h_{w(1)} = k \sqrt{W/t_{w(1)}}, \quad (3)$$

სადაც  $W = M_{\max}/R_y$ , ხოლო  $k$  დამოკიდებულია კოჭის კონსტრუქციულ გაფორმებაზე.  $h_{w(1)}$  მიღებულ მნიშვნელობას ჩასვამენ ემპირიული გზით მიღებულ [7] ფორმულებით  $t_{we} = 7 + 3h_{w(1)}/1000$  მმ.

თუ ამ გზით მიღებული  $t_{we}$ -სა და თავდაპირველი დაფიქსირებული  $t_{w(1)}$ -ს შედარების შედეგად გათო მნიშვნელობები დაახლოებით ერთმანეთის ტოლია, და ამასთან ერთად ქაყოფილდება სიმტკიცის შესაბამისი პირობები, მაშინ ვარაუდობენ, რომ გაანგარიშებები შესრულებულია სწორად და ნაპოვნია  $h_w$  და  $t_w$  თპტიმალური მნიშვნელობები. წინადაღებები შემთხვევაში ხდება  $t_{w(2)}$ -ს ხელახლა დაფიქსირება და ა.შ. ეს პროცესი გრძელდება

გაურკვეველი რაოდებობით, მანამ სანამ არ იქნება დაცული ზემოთ აღნიშნული პირობები, რაც არის შრომატევადი სამუშაო.

2. ამგვარად,  $h_w$  და  $t_w$  “თპტიმალური” მნიშვნელობების არჩევის შემდეგ კეთდება ძალიან საეჭვო დასკვნები, რომ კოჭის თაროების ფართობების ჯამი ტოლია, კოჭის სიმაღლის ფართობისა. აგრეთვე კეთდება დასკვნა შესაბამისი წონების ტოლობის შესახებ. ეს დასკვნები უფრო ვარაუდია ვიდრე სინამდვილე, რადგანაც მკაცრი მათემატიკური დამტკიცება ამისა ნაშრომში ნახვები არაა. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდის საილუსტრაციოდ მოყვანილ უკლა მაგალითში აღნიშნული პირობები დაცული არ არის.

ბელენიამ კარგად იცის, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდით იგი ზუსტ თპტიმალურ მნიშვნელობებს ვერ მიიღებს და ალბათ ამიტომ აღნიშნავს თავის ნაშრომში: რომ უფრო ზუსტი თპტიმალური მნიშვნელობების მიღება რომ შევძლოთ ის მოგვცემს ლითონის ეკონომისა მხოლოდ 4%-ით, მაგრამ, თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ ეს დანაკარგი სრულიად მისაღებად მიაჩნია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასვე არ ეთანხმებიან მისი კოლეგები [8,9], რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეს დანაკარგები 6%-ს შეადგენს.

ამასთან ერთად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კოჭის რეალური წონა დამოკიდებულია არა მარტო ორ პარამეტრზე, არამედ იგი დამოკიდებულია ოთხ პარამეტრზე  $k_1, k_2, h_w$  და  $t_w$  (იხ. ნახ.1). ამიტომ, (1) კრიტერიუმის არჩევა თავიდანვე შეიცავს ცდომილებას და არის მიახლოებით.

3. მას შემდეგ რაც შეარჩევენ  $h_w$  და  $t_w$  კრიტერიუმის კოჭის რეალური წონა დამოკიდებულია შედგენილი სტანდარტული ცხრილების დახმარებით შეარჩევნ კოჭის თაროების სიგანის და სიმაღლის მნიშვნელობებს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პორიზონტალური თაროს სისქე ჩვეულებრივად მიღებულია არა უმეტეს 2-3 კოჭის კედლის სისქეს, ხოლო სიგანე საერთო მდგრადობის პირობიდან ჩვეულებრივად მიღებულია 1/2-1/5 კოჭის კედლის სიმაღლიდან გამომდინარე. მაგრამ შერჩეულ მნიშვნელობებს არ ენდობიან და ხდება კოჭის თაროების და კედლის შემოწმება მდგრადობაზე.

კოჭის თაროს ადგილობრივი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაცული იქნეს შემდეგი პირობა [7]:

$$\frac{k_1 h_w}{2 k_2 t_w} \leq 0.5 \sqrt{\frac{E}{R_y}}. \quad (4)$$

ხოლო კოჭის კედლის ადგილობრივი მდგრადობისათვის, მისი გრძივი სიხისტის წიბოს დამატებითი გამაგრების გარეშე, აუცილებელია დაცულ იქნება შემდეგი პირობა [7]:

$$t_w \geq h_w \sqrt{\frac{R_y}{E}} / 5.5. \quad (5)$$

კოჭის პარამეტრების გაანგარიშება უნდა მოხდეს აგრეთვე ისეთნაირად, რომ არ დაირღვეს კოჭის საერთო მდგრადობის პირობა, ე. უნდა დავიცვათ პირობა:

$$\frac{M_{\max}}{\varphi_\sigma W} \leq R_y, \quad (6)$$

სადაც  $\varphi_\sigma$  არის კოჭის მდგრადობის კოეფიციენტი, ხოლო  $W$  - კოჭის წინადობის მომენტი. ქვემოთ მოყვანილ ფორმულათა მარტივად ჩაწერის მიზნით წინასწარ შემოვიდოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$b_f = k_1 h_w - \text{თაროს სიგანე};$$

$$t_f = k_2 t_w - \text{თაროს სისქე};$$

$$h = h_w + 2t_f - \text{კოჭის სიმაღლე};$$

$h_o = h_w + t_f$  - თაროების დერძებს შორის მანძილი.

კოეფიციენტი  $\varphi$  გამოითვლება ფორმულით:

$$\varphi_\sigma = \psi \frac{I_y}{I_x} \left( \frac{h}{l} \right)^2 \frac{E}{R_y},$$

სადაც  $I_y$  და  $I_x$  ინერციის მომენტებია  $y$  და  $x$  დერძების მიმართ და გამოითვლება ფორმულებით:

$$I_y = 2 \frac{t_f b_f^3}{12}$$

და

$$I_x = \frac{t_w h_w^3}{12} + 2 \left[ \frac{b_f t_f^3}{12} + b_f t_f \left( \frac{t_f}{2} + \frac{h_w}{2} \right)^2 \right],$$

უ კოეფიციენტი განისაზღვრება სამშენებლო ნორმებითა და წესებით [7] და დამოკიდებულია კოჭის ჩამაგრებაზე, დატვირთვის სახეობაზე და მისი მოდების ადგილზე, აგრეთვე კოჭის კვეთის დამახასიათებელ პარამეტრ  $\alpha$ -ზე. უ კოეფიციენტი ზემოთ განხილული კოჭის შემთხვევაში გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\psi = 1,6 + 0,08\alpha,$$

სადაც

$$\alpha = 8 \left( \frac{b_f}{b_f h_o} \right)^2 \cdot \left( 1 + \frac{0,5 h_o t_f^3}{b_f t_f^3} \right).$$

უნდა აღინიშნოს, რომ როცა  $0 < \varphi_\sigma \leq 0,85$ , მაშინ  $\varphi_\sigma = \varphi_1$ , როცა  $0,85 < \varphi_\sigma < 1,55$ , მაშინ კრიტი-

ქული მაბგა იმყოფება მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ ზონაში [9] და  $\varphi_\sigma$  გამოითვლება ფორმულით  $\varphi_\sigma = 0,68 + 0,21\varphi_1$ , ხოლო როცა  $\varphi_1 \geq 1,55$ , მაშინ  $\varphi_\sigma = 1$ .

ამგვარად,  $\varphi_\sigma$ -ს სანგარიშო ალგორითმი შეიძლება ჩაწეროთ შემდეგნაირად:

$$\varphi_\sigma = \begin{cases} \varphi_1, & \text{if } 0 < \varphi_1 \leq 0,85 \\ 0,68 + 0,21\varphi_1, & \text{if } 0,85 < \varphi_1 < 1,55 \\ 1, & \text{if } \varphi_1 > 1,55. \end{cases}$$

კოჭის სანგარიშო წინადობის მომენტი  $W$  იანგარიშება ფორმულით:

$$W = \frac{I_x}{h/2},$$

სადაც  $I_x$  კოჭის ინერციის მომენტია  $x$  დერძის მიმართ და გამოითვლება ფორმულით (თაროების ინერციის მომენტი საკუთარი დერძის მიმართ მათი სიმცირის გამო მხედველობაში არ არის მიღებული).

$$I_x = \frac{t_w h_w^3}{12} + 2b_f t_f \left( \frac{h_0}{2} \right)^2.$$

ზემოთ აღნიშულის გათვალისწინებით საერთო მდგრადობის შესამოწმებელი ფორმულა (6) საბოლოოდ ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{M_{\max}}{\varphi_\sigma W} = \frac{M_{\max}(h/2)}{\varphi_\sigma [(t_w h_w^3)/12 + 2b_f t_f (h_0/2)^2]} \leq R_y \quad (7)$$

თუ მდგრადობის პირობები არ დაკმაყოფილ-დება, მაშინ გაგრძელდება კოჭის თაროების სიგანისა და სიმაღლის სხვა ახალი მნიშვნელობების შერჩევა მანამ, სანამ არ მიიღწევა მდგრადობის (4), (5) და (7) პირობების დაცვა. ეს პროცესი წინასწარ უცნობია სანამ უნდა გაგრძელდეს. ამიტომ, აქ მნიშვნელოვანია კონსტრუქტორის გამოცდილება და ინტუიცია.

4. ყოველივე ამის შემდეგ, შედეგად მიიღება კოჭი, სადაც პირობები დაცული არ არის რომელზედაც საუბარი იყო მე-2 პუნქტში. კერძოდ, ფართობებისა და წონის ტოლობების შესახებ.

ამიტად, არსებულ გაანგარიშებებში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება შესაძლებელია მხედველოდ თანამედროვე მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

### 3. დასკვნა

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნული მიზან-შეწონილს ხდის შემუშავდეს ახალი მეთოდები, რომელიც თავისუფალი იქნება აღნიშნული ნაკლოვანებებისაგან, სადაც დამტკიცებული იქნება ანალიზურად და კომპიუტერზე ჩატარებული

ლი ექსპერიმენტის საფუძველზე რა შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს კოჭის მინიმალური წონა ზემოთ აღნიშნული ფართობების ტოლობების გარეშე და მათი ტოლობების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. Гордеев В.Н. Элементарные задачи оптимизации двутавра // Сборник научных трудов Украинского научно-исследовательского и проектного института стальных конструкций им. Шимановского. Выпуск 3, 2009, с. 27-48.
2. Ершов В.И. Подбор оптимальных сечений стальной двутавровой балки по двум параметрам // Известия вузов. Строительство и архитектура, 1985, №7, с. 9-10.
3. Кочетов В.П. Определение наименьшей площади сечения сварной двутавровой балки // Строительная механика и расчет сооружений, 1980, №3, с. 52-56.
4. Юрьев А.Г., Клюев С.В., Клюев А.В. Оптимизация строительных конструкций на основе генетического алгоритма. Белгородский государственный технологический университет им. В.Г. Шухова. E-mail Klyuev@yandex.ru.
5. ბ. გვასალია. შედგენილი ორგესებრი კოჭის ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟრომები, 2(476), თბილისი, 2010, გვ. 11-17.
6. ბ. გვასალია. სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების ოპტიმალური დაპროექტებების მეთოდები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010.-240 გვ.
7. Металлические конструкции / Под общей редакцией Белена Е.И. Москва: Стройиздат, 1986.- 560 с.
8. Муханов К.К. Металлические конструкции. М.: Стройиздат, 1978.-576 с.
9. Металлические конструкции. Элементы конструкций / Под редакцией д-ра т.н, проф. В.В. Горева. М.: Высшая школа, 2004.- 552 с.

**UDC 624.023**

### OPTIMAL COMPOSITE I- BEAMS IN CONSTRUCTION

**B. Gvasalia, Z. Karanadze**

Department of computer engineering design, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is critically reviewed current methods of calculation of composite I beam optimal parameters. There is indicated their positive and negative aspects. There is given instructions about the need to develop more effective methods of calculation with the use of computers.

**Key words:** metal construction; optimal parameters of constructions; I beam.

**УДК 624.023**

### ОПТИМАЛЬНЫЕ СОСТАВНЫЕ ДВУТАВРОВЫЕ БАЛКИ В СТРОИТЕЛЬСТВЕ

**Гвасалия Б.А., Капанадзе З.Ш.**

Департамент компьютерного проектирования строительных конструкций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Даётся критический обзор существующих методов определения оптимальных параметров составной двутавровой балки. Отмечаются их положительные и отрицательные стороны. Указывается о необходимости разработки более эффективных методов расчета с использованием компьютера.

**Ключевые слова:** металлические конструкции; оптимальные параметры; двутавровые балки.

მიღებულია დანაბეჭდით 18.01.10

# სამთო-გეოლოგიური სექცია

**შაპ 691:620.1**

ს-35

შანების ბაზოფიტგა და მისი ბაზლენა მოსაპირპეტველი ქვის ხარისხი

ნ. ბოჭორიშვილი\*, ა. ბეჟანიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. ბოჭორიშვილი, ს. გიგაური

სამთო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: samto@gtu.ge

**რეზიუმე:** დადგენილია, რომ გაშიშვლებული ქანი, რომელიც განიცდის გამოფიტვას, ეს უკანასკნელი იწვევს არა მარტო ნაპრალების წარმოქმნას, არამედ ქანების შედგენილობისა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შეცვლასაც-ამის ძირითადი მიზეზი კი მზის რადიაციაა, რომლის სითბური გამოსხივების არათანაბარზომიერება დღვე-დამისა და წლის განმავლობაში იწვევს ტემპერატურის რყევას, რაც თავისთავად განაპირობებს: მანძილებისა და ქანების მოცულობით ცვალებადობას, ქანებში მოქცეული წყლისა და გაზების მოცულობის ცვალებადობას, ტენის ორთქლებას და კონდენსაციას, ქიმიური რეაქციების დაჩქარებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქანების გამოფიტვა; ქანების ნაპრალოვნება; კრისტალი; პერლიტომორფული მარმარილო.

## 1. შესავალი

დედამიწის ზედაპირზე გაშიშვლებული ქანი განიცდის გამოფიტვას, რაც იწვევს არა მარტო ნაპრალების წარმოქმნას, არამედ ქანების შედგენილობისა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შეცვლასაც. გამოფიტვისას ქანებზე ზემოქმედებს სხევადასხევა აგენტი, რომელთა მოქმედების ხასიათი და ინტენსიურობის ხარისხი და-მოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (გეოლოგიური აგებულება, რელიეფი და რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული განსაკუთრებულობა).

გამოფიტვის ძირითადი აგენტებია: 1. მზის რადიაცია; 2. წყალი; 3. ჟანგბადი; 4. ნახშირმჟავა; 5. ცხოველური და მცნარეული ორგანიზმები და აგრეთვე მათი ცხოველმოქმედების პროდუქტები – ნახშირმჟავა, გაზი და ორგანული მჟავები, რომელიც ქანზი ნიადაგიდან აღწევს.

გამოფიტვის ქრექტი ფართოდ გავრცელებულია ქანგვის პროდუქტები: რეინა, მანგანუმი და გოგირდი, რომლებიც ძირითადად ორგალენტოვანი ხასიათია ( $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Mn}^{2+}$ ,  $\text{S}^{2-}$ )- იუანგება და გვაძლევს შემდეგი ტიპის შენაერთებს:  $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Mn}^{2+}$ ,  $\text{S}_6$  ( $\text{Fe}_2\text{O}_3$ ,  $\text{MnO}_2$ ,  $\text{Ca}_4$  და სხვ.).

ასევე ენერგიულად მიმდინარეობს ჰიდრატაციის პროცესები – მეორეული მინერალების უმრავლესობა შეიცავს ჰიდროქსილურ, კრისტალიზაციურ წყალს და სხვ. მინერალები სხვადასხვა ხარისხით განიცდის გამოფიტვის პრო-

ცელიდებებს განიცდის და გამოფიტვის პრო-დუქტებს წარმოქმნის. გამოფიტვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მზის რადიაცია. მზის სითბური გამოსხივების არათანაბარზომიერება დღვე-დამისა და წლის განმავლობაში იწვევს ტემპერატურის რყევას, რომელიც თავისთავად განაპირობებს: 1. მინერალებისა და ქანების მოცულობით ცვალებადობას; 2. ქანებში მოქცეული წყლისა და გაზების მოცულობის ცვალებადობას; 3. ტენის ორთქლებას და კონდენსაციას; 4. ქიმიური რეაქციების დაჩქარებას ან შენელებას.

## 2. ძირითადი ნაწილი

ზემოთ აღნიშნული პროცესების შედეგად ქანებში ხდება რიგი მოვლენები, რომლებიც იწვევს მათ თანდათანიბით დაშლას, კერძოდ: 1. ნაწილა-კებს შორის კავშირების შერყევა და დარღვევა; 2. სიმკვრიფის გადანაწილება (განსაკუთრებით თოხოვან ქანებში); 3. სტრუქტურის დარღვევა; 4. გა-მოფიტვის ხსნადი პროდუქტების გადანაწილება; 5. ფორებში არებულ წყალში გასხნილი მარილების კონცენტრაციისა და შედგენილობის შეცვლა.

გამოფიტვის პროცესში დიდ როლს ასრულებს ორგანიზმების ცხოველმოქმედება და ორგანული ნივთიერებების დაშლის პროდუქტები – ნახშირმჟავა, გაზი და ორგანული მჟავები, რომელიც ქანზი ნიადაგიდან აღწევს.

გამოფიტვის ქრექტი ფართოდ გავრცელებულია ქანგვის პროდუქტები: რეინა, მანგანუმი და გოგირდი, რომლებიც ძირითადად ორგალენტოვანი ხასიათია ( $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Mn}^{2+}$ ,  $\text{S}^{2-}$ )- იუანგება და გვაძლევს შემდეგი ტიპის შენაერთებს:  $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Mn}^{2+}$ ,  $\text{S}_6$  ( $\text{Fe}_2\text{O}_3$ ,  $\text{MnO}_2$ ,  $\text{Ca}_4$  და სხვ.).

ასევე ენერგიულად მიმდინარეობს ჰიდრატაციის პროცესები – მეორეული მინერალების უმრავლესობა შეიცავს ჰიდროქსილურ, კრისტალიზაციურ წყალს და სხვ. მინერალები სხვადასხვა ხარისხით განიცდის გამოფიტვის პრო-

ცესების ზემოქმედებას. ამის ნათელი დადასტუ-  
რებაა 1-ელი ცხრილი.

ამონთხევლი ქანების მინერალოგიური შედ-  
გენილობის შეცვლა, იწვევს პირველადი ალუ-  
მინენდიგარების (მინდვრის ჰაატები, რეატეუ-  
რები და სხვ) გადასვლას მეორეულში (მონტ-  
მორილონიტი, კალინიტი და სხვ). ამასთან,  
წარმოქმნება სხვა მეორეული მინერალები, რო-  
გორიცაა თაბაშირი, კალციუმის და მაგნიუმის  
კარბონატები, რკინის უანგები და სხვ. ნიადაგის  
ტენი მდიდარია ( $\text{CO}_3$ ,  $\text{NH}_3$ ,  $\text{NHO}_3$ ) აქტიური შე-  
ნაერთებით და შეიცავს ორგანულ მჟავებს,

რომლებიც შლის ქანებს, აქტიური დამშლელია  
აგრეთვე ზღვის წყალი.

ქანების დაშლის პროცესში მეტნაკლებად  
მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვის ფორებში  
არსებული ტენი, რომელშიც გახსნილი მარილი  
აორთქლებისას ზედაპირზე ამოდის და ილექტა  
ფიგების სახით. ეს მარილები დამშლელად მოქ-  
მედებს ქვის ზედაპირზე, წარმოქმნის რა ფხვიერ  
ქვის ფქვილს. გამოფიტვის პროცესში ამა თუ იმ  
ქანის ფორიანობის ხასიათი (ფორების წყლით  
გაჯერებისას, ტემპერატურის მერყეობისას) გავ-  
ლენას ახდენს მის სიმტკიცეზე.

### ცხრილი 1

#### ქიმიური გამოფიტვისას მინერალების ფარდობითი მდგრადობა

მინერ- ალ- ტექ-	ძალიან მდგრადი	მდგრადი	მცირედ მდგრადი	არამდგრადი
მარტინი	კვარცი	მუსკოვიტი, ორთოკლაზი, მუავე პლაგიოკლაზები	ამფიბიული, პიროკ- სენი, დიოფზიდი	ძირითადი პლა- გიოცლაზები, ოლიგინე, კალკი- ტექნი, დოლომიტები, თაბაშირი
აქტიური	ქომშპინელიდი, ტოპაზი, ტურმალინი, ბრუნიტი, ანატაზი, ლეიკოპსენი, რუტილი, ჰაინელი, პლა- ზინა, ოქრო, ცირკონი, კორუნდი, ალმასი	ალმანდინი, ჰემატიტი, მაგ- ნეტიტი, ტიტანომაგნეტიტი, სკელი, სილიმანიტი, დის- ტენი, ბარიტი, ფიროვსკიტი, ილმენიტი, ქსენოტიმი, მო- ნაცეტი, კასიტერიტი, ან- დალუზიტი, კოლუმბიტ- ტანტალიტი, ტორმანიტი	ვოლფრამიტი, შეკ- ლიტი, ააპტიტი, ანდრადიტები, გრო- სულარი, აქტინო- ლიტი, ცოვზიტი, ეპილოტიკი, სტა- ვროლიტი	პიროტინი, არსე- ნოპირიტი, ხალკო- პირიტი, პირიტი

მოსაპირეთებელი ქვის შესწავლისას განსა-  
კუთრებით მნიშვნელოვანია გამოფიტვის ადრეუ-  
ლი სტადიები, როდესაც ესა თუ ის ქანი ჯერ კო-  
დევ ინარჩუნებს თავის იერს, ხოლო ის უბნები,  
რომლებსაც შეეხო გამოფიტვა, გამოირჩევა ბერ-  
კისებრი ნაპრალოფენებით ან მიკრონაპრალოფენ-  
ებით, კრისტალებს შორის კავშირების შესუსტე-  
ბით, ქანების სიმტკიცის დაქვეითებით, ფორიანო-  
ბის გაზრდით, რაც, არცოუ იშვიათად, თვალით  
უხილავი რჩება.

გრანიტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ცვალებადობა გამოფიტვის ხარისხისა და  
ზედაპირის სიღრმის მიხედვით, მოცველია მე-2  
ცხრილში.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სი-  
ღრმის ზრდასთან ერთად გამოფიტული გრანი-  
ტის სიმტკიცე ორჯერ მეტად მცირდება.

ზედაპირულ გამოფიტვასთან ერთად მასივები-  
ში შეიმჩნევა სიღრმეული გამოფიტვის მოვლენები,

რაც ძირითადად აღინიშნება ახალი ტექტონიკუ-  
რი მოქმედების, ვულკანიზმისა და სეისმური აქ-  
ტივობის რაიონებში. სიღრმეული გამოფიტვა ზოგ-  
ჯერ შეინიშნება აგრეთვე ბაქნების კრისტალური  
ფუძის ქანებში. კურსებისა და ოხუმირალელაშე-  
ნის გრანიტის საბალოების დაზვერვისას გვხვდე-  
ბა გამოფიტვის ლრმად მიმავალი ზონები, რომ-  
ლებიც ჩენი აზრით დაკავშირებულია ტექტონი-  
კურ რღვევებთან.

საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო  
კალებითი სამუშაოების ანალიზი, რომელიც სა-  
შენი და მოსაპირკეთებელი მასალების ფიზი-  
კურ-მექანიკური თავისებურების შესწავლას ეხ-  
ებდება, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემ-  
დები დასკვნა:

1. მარმარილოს გამოფიტვისას იკარგება  
გაპრიალებული ზედაპირის ელვარება, ხდება  
მარცვლების ამოვარდნა, ბზარების წარმოქმნა  
და შეფერილობის შეცვლა.

**გამოფიტვის პოცესების ზემოქმედება მიკროსოლიანი მსხვილმარცვლოვანი  
გრანიტის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე**

ქანების ხასიათი (სინჯის აღების სიღრმე)	მოცულობითი მასა, გტ/სმ <sup>3</sup>	ფორიანობა %	სიმტკიცე კუმულაციის 10 <sup>6</sup> მპა
გამოფიტვის გრანიტი (ზედაპირიდან)	2,54	3,97	113
გრანიტი, რომელსაც შექმნა გამოფიტვა (1,5 მეტრი)	2,61	1,33	145
ბზარიანი გრანიტი კარიერიდან (3 მეტრი)	3,69	1,07	180
გრანიტი კარიერიდან (17 მეტრი)	2,67	0,98	238
სადი გრანიტი (49 მეტრი)	2,61	0,63	240

2. გაწაბლისფერება, რაც გამოწვეულია პირტის წვრილი მარცვლების დაუანგვით, თუნდაც მისი შემცველობა 0,1% იყოს, აგრეთვე ფილების დასამზადებლად გამოყენებულ რინის პაუჭებზე იმ გრუნტის წყლების ფილტრაციით, რომლებიც შეიცავს რენის ჟანგს. პირტის არსებობა შეინიშნებოდა მარმარილოს შემდეგ საბადოებზე: შროშის, დიზის, სადახლოს.

3. მარმარილოს ქერცლისებრი დაშლა (აქერცვლა). ამ სახის კოროზიას ექვემდებარება შროშის, სალიეთის და სადახლოს საბადოების მარმარილოსებრი გირქვები. სხვა საბადოების ანალოგიურ ქანებში ასეთი მოვლენები არ შეინიშნება. აქერცვლის პროცესში ფილების ზედაპირიდან თანდათანობით ცვივა წვრილი მარმარილოს ქერცლები და მის აღილზე წარმოიქმნება დუმულები. ქერცლების წარმოშობა განპირობებულია მარმარილოში ტენთან ერთად ნატრიუმის კარბონატისა და სულფატების შეღწვევით. ნატრიუმის კარბონატის წყაროა თხევადი მინა, რომელსაც იყენებენ ფილების დასამაგრებლად. მეტროპოლიტენის მოსაპირკეთებებს მასალად ბუნებრივი ქვის გამოყენება, მიუხედავად მოჩვენებითი სიძვირისა, ეკონომიკურად გამართებულია. მაგალითად, გრანიტის იატაკის მდგრადობა პრაქტიკულად განუსაზღვრელია, მაშინ როდესაც ასევალტის შემთხვევაში ექსპლუატაციის ხანგრძლივობა არ აღმატება 3-4 წელს. ამასთან, მასზე გროვდება კოლოსალური რაოდენობის მტვერი, რომლის მოცილება უდიდეს ხარჯებს მოითხოვს. მტვრის შემცველობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, დანადგარებსა და მექანიზმებზე.

ქანების შედგენილობისა და მოსაპირკეთებებს ქვეზე ზემოქმედების ფაქტორების ხასიათის მოხვდვით გამოიყოფა გამოფიტვის სამი სახეობა:

1. დაზიანება ქვის ზედაპირზე და მის შიგნით ერთნაირი ინტენსიურობით ვთარდება. ასეთი გამოფიტვა ახასიათებს საშუალო ფორიანობის მქონე ქანებს, მაგალითად, ქვიშავას;

2. დაზიანება ვთარდება ზედაპირზე, ქვის შიგა ნაწილები უმინშვნელოდ იფიტება და შეი-

ნიშნება ძირითადად ამონთხეულ ქანებში;

3. დაზიანება ქვაში შეინიშნება დიდ სიღრმეზე და ზედაპირიდან ნაკლებად შესამჩნევია. ასეთი ტიპის დაშლა წარმოიქმნება ყინვის ზემოქმედებისას.

გამოფიტვისადმი წინააღმდეგობის ხარისხით და მდგრადობით შეიძლება გამოვყოთ მარმარილოს შემდეგი ჯგუფები:

I ჯგუფი – კრისტალური მარმარილო, მარცვლების მკვრივი შეჭიდულობით. შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარე მოსაპირკეთებლად, იმ პირობით, რომ ნაწილობრივ იქნება შეცვლილი 200-400 წლის შემდეგ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ლოპოტისა და დიზის მარმარილო;

II ჯგუფი – კრისტალური სტრუქტურის მარმარილო, მაგრამ უფრო ნაკლები სიმკვრივის მარცვლების შეჭიდულობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარე მოსაპირკეთებლად იმ პირობით, რომ ნაწილობრივ იქნება შეცვლილი 200 წლის შემდეგ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება სალიეთის, შროშისა და სადახლოს მარმარილო;

III ჯგუფი – კრისტალური და პელიტომორფული სტრუქტურის მარმარილო სხვადასხვა ხარისხის სიმკვრივითა და მარცვლების შეჭიდულობით, აგრეთვე კრისტალური სტრუქტურის მარმარილო ნანართებით, რომლებიც ხარისხს ამცირებს. მათი გამოყენება გარე მოსაპირკეთებლად რეკომენდებული არ არის.

### 3. დასკვნა

თანამედროვე სამრეწველო ქალაქების პირბებში, შენობების გარე ნაწილში განლაგებული მოსაპირკეთებელი ქვები, ექვმდებარება ატმოსფეროში არსებული გაზების ( $\text{CO}$ ,  $\text{CO}_2$ ,  $\text{SO}_2$ ,  $\text{SO}_3$ ), ჰკარტონის და მტვრის, ზოგჯერ კი  $\text{Cl}$ -ის დამანგრევებულ ზემოქმედებას.

სხვადასხვა სახვითი ხელოვნების მუზეუმში მარმარილოთი მოპირკეთებული კედლების დაშლის ხარისხზე მოპირკეთებიდან 35 წლის შემდეგ ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ დაშლა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. გამოფიცვის აგენტების დეზალებისადმი მიღებომის ხარისხით:
- კედლები, რომლებიც მიუდგომელი იყო ატმოსფერული ნალექებისათვის, არ უქვემდგარებოდა წყლის ზემოქმედებას და კარგადა შენახული;
  - კედლები, რომლებიც ნაწილობრივ დია იყო და განიცდიდა ნალექებისა და ქარის ზემოქმედებას, მნიშვნელოვნად იცვლის ფერს, მაგრამ ნაკლებად გამოფიცულია;
  - სკეტჩი, რომლებიც დია ატმოსფერული ნალექებისა და ქარისათვის, უფრო ძლიერ იშლება;
  - 2. ქვის თვისებებით:
  - მარმარილოს ბლოკები, რომლებსაც კარიერის ზედა ფენიდან იღებს, ჩქარა უქვემდებარება და შლაპა;

- სტრუქტურები – ადვილად შლად მარმარილოს ასასიათებს მარცვლების შეჭიდების უფრო მრგვალი მოხაზულობა.

### **ლიტერატურა**

1. Михайлов А.Е. Полевые методы изучения трещин в горных породах. М.: Госгеолтехиздат, 1956 г.-87 с.
2. Беликов Б.П. Месторождение облицовочного камня в СССР. \_ В кн.: Справочник архитектора. Т. XIV. М., 1952 г., с. 181-223.
3. 6. ბოჭორიშვილი. საქები და მოსაპირკეთებები მასალების წარმოების ტექნიკუროგიის პლანა და სრულყოფა. მონოგრაფია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006 წ. - 479 გვ.

**UDC 691:620.1**

**S-35**

### **ERODING OF ROCKS AND ITS INFLUENCE ON THE QUALITY OF FACING STONES**

**N. Bochorishvili, A. Bezhaniashvili, N. Machavariani, I. Bochorishvili, S. Gigauri**

Department of mining technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** It was ascertained, that eroding of rock provokes cracking of rock, changes composition and physico-mechanical properties of rock. The main reason of this is solar radiation, irregularity of thermal radiation of which during twenty four hours and year provokes temperature change. This one causes change of the volume and dimensions of the rock, change of the volume of the gas and water in rock, vaporization of moisture and condensation, acceleration or retardation of chemical reaction.

**Key words:** eroding of rocks; cracking of rocks; crystal; perlitolomoz.

**УДК 691:620.1**

**C-35**

### **ВЫВЕТРИВАНИЕ ПОРОД И ЕГО ВЛИЯНИЕ НА КАЧЕСТВО ОБЛИЦОВОЧНОГО КАМНЯ**

**Бочоришвили Н.А., Бежанишвили А.Г., Мачавариани Н.В., Бочоришвили И.Н., Гигаури С.Г.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Установлено, что в обнаженной породе, которая подвергается выветриванию, последнее вызывает не только появление трещин, но и изменение состава и физико-механических показателей пород. Основной причиной этого является радиация солнца, неравномерность теплового излучения которого в течение суток и года вызывает изменение температуры, что в свою очередь обуславливает объемное изменение пород и размеров, изменение объема газов и воды в породе, испарение влаги и конденсацию, ускорение или замедление химических реакций.

**Ключевые слова:** выветривание пород; трещиноватость пород; кристалл; перлитоморфный мрамор.

*მიღებულია დანაბეჭდით 06.05.2012*

**შაპ 691:20.1****ს-35****შანების დეფორმაცია და ნაკრალოვნება****ნ. ბოჭორიშვილი\*, დ. დანელია, ა. ნევეროვი, ნ. რაზმაძე, ი. ბოჭორიშვილი**სამთო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: samto@gtu.ge

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია დედამიწის ქერქის ზედა შრებში სამშენებლო და მოსაპირებელი მასალების დეფორმაციის, ნაკრალოვნების და გამოფიტვის მნიშვნელობის საკითხები. აღნიშნულია, რომ დეფორმაცია, ნაკრალოვნება და გამოფიტვა მნიშვნელოვნად ცვლის მოსაპირებელი მასალების არქიტექტურულ ფაქტურას.

**საკანაძო სიტყვები:** ქანების ნაკრალოვნება; ქანების დეფორმაცია; ქანების სიმტკიცე; ქანების პლასტიკურობა;

**1. შესავალი**


დედამიწის ქერქის ზედა შრებში ქანები უმრავლეს შემთხვევაში შედარებით მყიფე. ამავე დროს, მათი განლაგების ფორმა აღასტურებს, რომ სხვა შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ დიდი ან მცირე სარისხის პლასტიკურობა. შეიძლება ქანები განიცდიდეს შემდეგი სახის დეფორმაციას: დრეკადი, პლასტიკური ან მოლიანობის გახლება. ქანებში დეფორმაციის ძალთა ზემოქმედებით პირველად წარმოიქმნება დრეკადი დეფორმაცია, ე. ისეთი, რომელიც მოლიანად ქრება მოქმედი ძალის მოშორებისთვის ეს დეფორმაცია შეიძლება გადავიდეს პლასტიკურში, თუ ის იარსებებს მოქმედი ძალის მოშორების შემდეგ (ნარჩენი დეფორმაცია) და წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ქანზე დატვირთვა მისი დრეკადობის ზღვარს გადაამეტებს.

**2. ძირითადი ნაწილი**

ქანის უნარი – გაუძლოს დეფორმაციას რღვევის გარეშე, განსაზღვრავს მის პლასტიკურობას. დაძაბულობა, რომელიც იწვევს სხეულის დაშლას, ეწოდება სიმტკიცის ზღვარი. პლასტიკური სხეულებისათვის მნიშვნელოვანი ინტერვალი არსებობს დრეკადობისა და სიმტკიცის ზღვარებს შორის. პლასტიკური დეფორმაცია

ცია მასალის უმნიშვნელო დაშლითა და შესამჩნევი ნაკრალოვნების გარეშე მიმდინარეობს.

პლასტიკური დეფორმაციის განვითარების პირველ სტადიაში ადგილი აქვს სიმტკიცის მნიშვნელოვან გაზრდას, რომელიც დროთა განმავლობაში ქრება. ამ მოვლენას რელაქსაცია ეწოდება.



ნახ. 1. სხევადასხევა დანალექი ქანის ერთად მაქსიმალური სიმტკიცის ცვალებადობის შედარებითი მონაცემები სიღრმის ზრდასთან ერთად: 1-ქვიშქვა, 2-დოლომიტი, 3-ანიდრიდი, 4-მარმარილო, 5-ქვიშაქვა, 6-თიხაფიქადი, 7-ქვამარილი

დიდი ხნის განმავლობაში დაძაბულობის ზემქმედებისას მყარი სხეული იწყებს „დინებას“ და დეფორმირდება. ეს ორი მოვლენა ასახავს დრეკადობის იმ შიგა ძალების ინტენსიურობის თანდათანობით შემცირებას, რომლებიც წარმოიქმნება სხეულში დატვირთვის ზემოქმედებისას.

მაღალი კუმშებისას კირქვა ისე იქცევა, როგორც ჭედადი ლითონები. ა. მიხაილოვი (I) აღნიშნავს, რომ კირქვა, რომელიც წვეულებრივ პირობებში იძლევა მარტო დრეკად დეფორმაციას და მაშინვე ტყდება, როდე საც დაძაბულობა აღწევს დრეკადობის ზღვარს (მყიფე დეფორმაცია). თუ ყოველი მხრიდან მოქმედებს  $1 \cdot 10^9$  პა წნევა, მაშინ კირქვა 50%-ით იჭვჭვება, გახლების გარეშე: ამავე დროს, მისი სიმტკიცე  $23 \cdot 10^8$  მპა-მდე იზრდება.

**მოსაპირკეთებელი ქვების საბაზოების  
სამრეწველო-გეოლოგიური დახასიათება**

სტრუქტურული ელემენტები	ქანების ჯგუფი	გეოლოგიური გავრცელება	ბუღდის ფორმა	სტრუქტურა (ცენტრ) (აღნაგობა)
ქრისტიალური ფარები, უქმდები ქრისტიალური ფუნდამენტის შეკრიფული	ა) მჟავე (გრანიტი)	ფართო	ბათოლიტები, მსხვილი შტოკები	პორფირისებრი კრისტალურ-მარცვლოვანი (წითელი, მწვანე, ნაცრისფერი)
	ბ) საშუალო (დიორიტი), სიენიტი	შეზღუდული	შტოკები და სხვა სხეულები	პიპილიომორფური მარცვლოვანი (მუქი მწვანე)
	გ) ფუძე და ულტრა ფუძე (გაბრო, გაბრონორიტი, ლაბრადორიტი)	-“-	შტოკები, მასივები, დაბრადორიტები, მცირე სხეულების სახით	კრისტალურ-მარცვლოვანი (მუქი ნაცრისფერი, ლაბრადორიტებში ხშირად შავი)
	ლიფუზური (ბაზალტი დას ხვ.)	მნიშვნელოვანი	მასივები, განფენები	წვრილმარცვლოვანი (მუქი ნაცრისფერი)
ქრისტალური ქანების საფარი დანალექი ქანების საფარი	ა) მარმარილო (კალციიანი, დოლომიტიანი)	შეზღუდული	ფენებრივი ბუღდობები	წვრილ და თხელ-მარცვლოვანი (თეთრი, გარდისფერი, რუხი, წითელი და სხვ.)
	ბ) კვარციტები	-“-	ფენები	წვრილმარცვლოვანი (ლია ნაცრისფერი, ვარდისფერი, წითელი)
	გ) კრისტალური ფიქლები	-“-	ფენები	თხელი და წვრილ-მარცვლოვანი (შავი, ნაცრისფერი)
ქრისტალური ქანების საფარი	კარბონატული ქანების ჯგუფი (კირქვები, დოლომიტები)	ფართო	-“-	თხელი და წვრილ-მარცვლოვანი (თეთრი, ლია ნაცრისფერი, ყვითელი)
	სულფატური ქანების ჯგუფი (თაბაშირი, ანჰიდრიდი)	-“-	ფანები, მასივები	-“-

## გაგრძელება

დეპორატიულობა	ბლოკების გამოსავალიანობა	ამინდის მომართ მდგრადობა	მარაგის მასშტაბი	რეკომენდებული გამოყენების არე	მშრალ მდგომარეობაში წინააღმდეგობა დაწნევაზე $10^7$ ჯა
ჩვეულებრივ მაღალი საშუალო	მაღალი 30-40-50%	მაღალი	ათეულობით მილიონი, $\text{მ}^3$	ყველა სახის არქიტექტურული ნაკეთობისათვის და მოპორავებისათვის	18-30
	ძალიან დიდი ბლოკები დაბლი, ვიდრე გრანიტებში (20-30%)	-“-	ასეულობით ათასი $\text{მ}^3$	იგივე	20 და მეტი
	მაღალი (50%-მდე)	-“-	იგივე	-“-	20 და მეტი, 50-მდე
საშუალო, დაბრადორიტებისათვის მაღალი					
საშუალო და მცირე	1 $\text{მ}^3$ და მეტი (30-40%)	მაღალი	მილიონობით $\text{მ}^3$	ძირითადად იმ ნაკეთობაზე, რომლებსაც არ წაეყენებათ დიდი მოთხოვნა დეკორატიულობაზე	30-33
ჩვეულებრივ მაღალი ძლიერ დეპორატიული წითელი, ჩვეულებრივ დაბალი	0,3-0,5 $\text{მ}^3$ (10-20%)	არამაღალი	ათეულობით და ასეულობით ათასი $\text{მ}^3$ მილიონი $\text{მ}^3$	ძირითადად შიგა მოპირკეთებაზე	30-33
	0,2-0,3 $\text{მ}^3$ -მდე (10-15%)	ძალიან მაღალი		ყველა სახის მოპირკეთებაზე	30 და მეტი
	50%-მდე	არამაღალი	ათეულობით და ასეულობით $\text{მ}^3$	ძირითადად შიგა მოპირკეთებაზე	15-20
საშუალო	ჩვეულებრივ საშუალო (20-30%)	დამატაფოვილებელი	ასეულობით ათასი $\text{მ}^3$	იგივე	7-15
	იგივე	ჩვეულებრივ არამაღალი	ათეულობით ათასი $\text{მ}^3$	შიგა მოპირკეთებაზე მექანიკური დატვირთვების გარეშე	3-5

## გაგრძელება

სტრუქტურული ელემენტები	ქანების ჯგუფი	გეოლოგიური გავრცელება	ბუდობის ფორმა	სტრუქტურა (ფერი) (აღნაგობა)
	ინტრუზიული а) მუვე (გრანიტი) б) საშუალო (სიენიტი, დიორიტი)  გ) ფუძე და ულტრა ფუძე (ბიროქსენიტი, გაბრო)	ფართო  შეზღუდული	შტოკები	წვრილი და საშუალო მარ- ცვლოვანი (წითელი, ვარ- დისფერი, ნაცრისფერი, მწანე)
	ეფუზიური (ბაზალტი, პორფირიტი)	შეზღუდული, ზოგ რაიონებში ფართო	განფენები	წვრილმარცვლოვანი (მუქი ნცრისფერი პორფირიტები, ხშირად მინდვრის შპატის დიდი გამონაყოფები)
	ვულკანოგენური (ვულ- კანური ტუფენი)	გავრცელებულია ახალგაზრდა ვულკანური მოქ- მედების რაიონში	ფენებრივი ბუდობები	ფორიანი (ყვითელი, ვარ- დისფერი დას ხე)
	მეტამორფული а) მარმარილო და მარმარილოსებრი კირქვები  ბ) კვარციტები  ჰიდროთერმული (მარმარილოს ონიქსი)	მნიშვნელოვანი  შეზღდული	ფენები, დიდი ლინზები, მა- სივები	წვრილი და საშუალო მარცვლოვანი (თეთრი, ნა- ცრისფერი, წითელი, მწანე)
		მალიან შეზღუ- დული	ფენებრივი ბუდობები და გამოქა- ბულებში ქერ- ქები	წვრილმარცვლოვანი (წი- თელი, ნაცრისფერი, ვარ- დისფერი)
				მკვრივი (ღია თაფლისფე- რი, ნახვერად გამჭვირ- ვალე)

როგორც მინერალების, ასევე სხვადასხვა ქა-  
ნის პლასტიკური დეფორმაციის უნარი განსხვა-  
ვებულია. დანალექი ქანების უმეტესი ნაწილი  
ამჟღავნებს ნარჩენი დეფორმაციის უნარს, იმ  
უკვედმხრივი კუმშვის და ტემპერატურების სი-  
დიდებისას, რომელიც მნიშვნელოვნად ნაკლე-  
ბია ამონთხეული ან მეტამორფული სილიკატუ-  
რი შედგენილობის ქანებში.

500-800°C ტემპერატურისა და  $5-10^8$  პა კო-  
კელმხერივი წნევისას (რაც შეესაბამება 20 ქმ  
სიღრმეს) ამონთხეული ქანები ძირითადად აფ-  
ლექს კატაკლასტურ დეფორმაციის უნარს, და-  
ნალექი ქანების უმრავლესობა კი ასეთ უნარს  
ამჟღავნებს რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში.  
დანალექი ქანები ყოველმხრივ კუმშვასა და  
გაზრდილ ტემპერატურაზე ერთნაირად არ რეა-  
გირებს (ნახ. 1).

## გაგრძელება

დეკორატიულობა	ბლოკების გა-მოსაჭ-ლიანობა	ამინდის მო-მართ მდგრა-დობა	მარაგის მასშტაბი	რეკომენდაციები გა-მოყენების არე	მშრალ მდგო-მარეობაზე წი-ნააღმდეგობა დაწნევაზე $10^7$ კა
სხვადასხვა	მაღალი რამ-ლენიძე კუბურ მეტრამდე (50-60%)	მაღალი	ათეულობით მილიონი, მ³	შველა სახის მოპორ-კეთებაზე	19-26
საშუალო	მაღალი 20-30%	-“-	მილიონი მ³	იგივე	20 და 22
დაბალი, ზოგიერთი პორფირიტე- ბისათვის მაღალი	საშუალო (30-40%-მდე)	-“-	ათეულობით მილიონი მ³	შიგა და გარე მოპირ-კეთებაზე	ბაზალტი 20-50 პორფირიტი 10-22
საშუალო	30-დან	-“-	მილიონი მ³	როგორც საკედლე მო-საპირკეთებელი მასა-ლა	0,7-1,6
მაღალიდან საშუალო დეკორატიულობამდე	ძლიერ მე-რყობს 0,3-2 მ³-მდე (5-40%)	როგორც წე-სი არცოუ მაღალი	-“-	უმთავრესად შიგა მო-საპირკეთებლად	11-30
ძლიერ დე-კორატიულია ავანტიურინი	უმთავრესად წვრილი 50%-მდე	ძალიან მა-დალი	-“-	უველა სახის მოსაპირ-კეთებლად, გამოყენება შეზღუდულია მათი როგორც დამუშავების გამო	18-50
მაღალი, დე-კორატიული და სანაკეთო ქვა	0,1-0,2 მ³ (30-50%)	დაბალი	ათასეული და ათეული-ათასეული მ³	შიგა მოპირკეთებაზე, აგრეთვე, როგორც სა-ნაკეთო ქვა	3-5

## 3. დასკვნა

დრეკადი დეფორმაციის განლაგების ზედა ზღვრის სიღრმე არ შეიძლება ჩაითვალოს მკა-ცრად დადგენილად (მაგ. 2600-დან 12000 მ-მდე).

ქანებში განვითარებული ნაპრალოგნება წარ-მოიქმნება იმ სხვადასხვა გეოლოგიური ფაქტო-რით, რომლებიც მოქმედებს მთელი მათი არსე-ბობის განმავლობაში.

მათი კლასიფიცირება ხდება სივრცეში ორი-ენტირების და წარმოქმნის პირობების მიხედვით. გამოყოფენ შემდეგ ნაპრალოგნებებს: განივი, გრძივი, ირიბი და თანხმობითი.

ქანებში სელოვნური ნაპრალები წნდება სარ-ტებითი ინსტრუმენტებისა და შექანიზმებისაგან, აგრეთვე აფეთქებითი სამუშაოებისას. ძალიან საშიშია ძლიერი აფეთქებები, რომლებსაც მო-

საპირკეთებელი ქვების მასივებში შეუძლია გა-მოიწვიოს ძლიერი ნაპრალოგნება, რაც პრაქტი-კულად მათ გამოუსადეგარს ხდის.

## ლიტერატურა

1. Михайлов А.Е. Полевые методы изучения трещин в горных породах. М.: Госгеолтехиздат, 1956 г. - 87 с.
2. Беликов Б.П. Месторождение облицовочного камня в СССР. \_ В кн.: Справочник архитектора. Т. XIV. М., 1952 г., с. 181-223.
3. 6. ბოჭორიშვილი. საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების ტექნოლოგიის კვლევა და სრულყოფა. მონოგრაფია. თბილისი: ტექნი-კური უნივერსიტეტი, 2006 წ. - 479 გვ.

UDC 691:20.1

S-35

**DEFORMATION AND CRACKING OF ROCKS****N. Bochorishvili, D. Danelia, A. Neverov, N. Razmadze, I. Bochorishvili**

Department of mining technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are considered issues of deformation, cracking and eroding of building and facing materials in the upper layers of the earth's crust. There is noted, that deformation, cracking and eroding have considerable influence on the face finish of the facing materials.

**Key words:** eroding of rocks; cracking of rocks; deformation of rocks; firmness of rocks; plasticity of rocks.

УДК 691:20.1

С-35

**ДЕФОРМАЦИЯ И ТРЕЩИНОВАТОСТЬ ПОРОД****Бочоришвили Н.А., Данелия Д.К., Неверов А.П., Размадзе Н.А., Бочоришвили И.Н.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены вопросы значения деформации, трещиноватости и выветривания строительных и облицовочных материалов в верхних слоях земной коры. Отмечено, что деформация, трещиноватость и выветривание значительно меняют архитектурную фактуру облицовочных материалов.

**Ключевые слова:** трещиноватость пород; деформация пород; прочность пород; пластичность пород.

მიღებულია დახაბუჭლიად 6.04.2012

**შაპ 622. 244. 448****რადიაციური ბურღვის გამოყენების ეფექტურობა**

ვ. ხითარიშვილი\*, ნ. მაჭაგარიანი, ა. ჭიჭინაძე, ტ. სარჯველაძე, მ. ლორია  
ნაკრობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: valeri.xitarishvili@posta.ge

**რეზიუმე:** რადიაციური ბურღვა ყველაზე ეფექტური საშუალებაა არის იმ მეთოდებს შორის, რომლებიც გამოიყენება ნაკრობისა და გაზის მოპოვების გაზრდისათვის. იგი გულისხმობს ჭაბურღილის ძირითადი ლულიდან 100–150მ სიგრძის და 20–50 მმ დიამეტრის რამდენიმე ახალი ჰორიზონტალური რადიაციური ლულის ბურღვას ექსპლუატირით მყოფი ჭაბურღილზ-

ბის პროდუქტიულ ფენებში. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა ჭაბურღილებში ჩატარდეს კაპიტალური რემონტი ფენის ნაკრობგაცემის გაზრდისათვის, ამ მეთოდით ბურღვისას შეიძლება წვეულებრივი მეთოდებით ამოულებელი ნაკრობის მოპოვება, რომელიც შეადგენს ნაკრობის მოელი მარაგის 25–30%-ს, ასევე შესაძლებელია მცირე დებიტიანი, ლიკვიდირებული და დაკინსერვებული ჭაბურღილებიდან

ნავთობის დებიტის გაზრდა. რადიალური ბურდ-ვა სასურველია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ნავთობშემცველ ფართობებზე გაყვანილ ჭაბურღილებში ნავთობის მოპოვების ამაღლებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** რადიალური ბურღვა; გვერდითი ხვრელები; ჰიდროჭავლი; პროდუქტიული ფენი; ნავთობის დებიტი.

## 1. შესავალი

ნავთობისა და გაზის დებიტის გაზრდისა და პროდუქტიული ფენებიდან ნავთობის ნარჩენი მარაგების ამოღების ყველაზე ეფექტური საშუალებაა რადიალური ბურღვის ხერხი.

რადიალური ბურღვა უახლესია იმ მეთოდებს შორის, რომელიც გამოიყენება ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდისათვის. იგი გულისხმობს მცირე სიგრძის და პატარა დიამეტრის რამდენიმე ახალი პორიზონტალური რადიალური ლულის ბურღვას ექსპლუატაციაში მყოფი ჭაბურღილების პროდუქტიულ ფენებში.

1970-იანი წლების ბოლოს კომპანია „Petrophysics“-ის ამერიკელმა თანამშრომელმა ვედი დიკინსონმა სხვამათან ერთად გატურდა რამდენიმე რადიალური ლულა. 1984 წელს შემუშავებულ იქნა რადიალური პორიზონტალური ბურღვის ტექნიკური თაობა, 1986 წელს კომპანია მცირე თაობა. მსოფლიოში რადიალური ბურღვის ფართო გამოყენება დაიწყეს 2002 წლიდან, მას შემდეგ რაც შეიქმნა კომპანია RudTech.

ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით გაყვანილ ჭაბურღილებში დაიწყეს რადიალური ბურღვის ტექნიკური გამოყენება.

## 2. ძირითადი ნაწილი

რადიალური ბურღვის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ფენის დაბინძურებული, კოლმატირებული ლულისპირა ზონიდან შორს სიღრმეში შესვლა რამდენიმე მიმართულებით და პროდუქტიულ ზონებთან პიდროდინამიკური კავშირის დამყარება, რაც ადრე ვერტიკალური ბურღვის პირობებში შეუძლებელი ან ძნელად შესასრულებელი იყო. ამ მეთოდის გამოყენებამ შესაძლებელი გახდა ნავთობის დებიტი რამდენჯერმე გაზრდილიყო (ნახ. 1) [1-3].

რადიალურ ბურღვას სხვა სახის მეთოდებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია, მისი გამოყენება საშუალებას იძლევა ჭაბურღილებში ჩატარდეს კაპიტალური რეზონტი ფენის ნავთობგაცემის გაზრდისათვის, ამ მეთოდის გა-

მოყენებით შეიძლება ჩვეულებრივი მეთოდებით ამოღებებით ნავთობის მოპოვება, რომელიც შეადგენს ნავთობის მთელი მარაგის 25–30%-ს. რადიალური ბურღვით შესაძლებელია მცირე გვებიტიანი, ლიკვიდირებული, დაკონსერვებული ჭაბურღილებიდან ნავთობის დებიტის გაზრდა. ბურღვის ეს ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ახალ ასევე არსებულ ჭაბურღილებში.

დასაწყისში ხდება ფანჯრის გაჭრა სამაგრ კოლონაში პროდუქტიული ფენის გასწვრივ სასანგრევო ძრავათ, რის შემდეგაც წარმოებს რადიალური ბურღვა. ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით მოქნილი სატუბო-საკომპრესორო და საბურღი მიღების საშუალებით ხდება ჭაბურღილში გადამხრები მოწყობილობის ჩაშვება და დაყენება საჭირო სიღრმეზე. ამის შემდეგ მიღებისა და 1,6 მმ დიამეტრის კოლტუბინგის საშუალებით ჩაიშვება მცირე ზომის სასანგრევი ძრავა მასთან მოქნილი ლილვით შეერთებულ ფრეზთან ერთად. სასანგრევო ძრავას ასამუშავებლად სარეცხ სითხეს ჩატუმბავენ კოლტუბინგში, სასანგრევო ძრავას აშემაგების შემდეგ ფრეზი ამოჭრის სამაგრ კოლონაში ფანჯარას (ნახ. 2) სამაგრი კოლონის ფრეზირების შემდეგ კოლტუბინგს, სასანგრევო ძრავას და ფრეზს ამოღებებ ჭაბურღილებიდან [1,2].

რადიალური ბურღვა წარმოებს არა საბურღი სატენით, არამედ სარეცხი სითხის ჭავლით, რომელიც სასანგრევო ძრავადან გამოიტყორცება სპეციალური შტუცერის საშუალებით. ამ დროს შესაძლებელია ვერტიკალური, დახრილი ან პორიზონტალური ჭაბურღილების ძირითადი ლულიდან 20-50 მმ დიამეტრის, 100-150 მ სიგრძის გვერდითი ხვრელების გაყვანა მაღალი წნევის (312,5-375ატმ) სარეცხი სითხის ჰიდროჭავლის საშუალებით. რადიალური ბურღვის ჩატარებლად ჭაბურღილში ხელახლა უშევებენ კოლტუბინგს, რომელზედაც მიერთებულია მაღალი წნევის მოქნილი შლანგი, მის ბოლოზე მიმაგრებულია შტუცერი. დრეკად მიღებებს მიერთებული სასანგრევო ძრავას საშუალებით ხორციელდება სარეცხი სითხის გატუმბვა ძრავას წინ და მიღგარე სივრცეში. ამრიგად, კოლტუბინგში ჩატუმბელი სხნარი მაღალი წნევით, გაივლის მოქნილ შლანგს, შტუცერს, ჰიდროჭავლით მოანგრევს ქანს და ფენში გაჭრის არხს. სითხის მიწოდება შეადგენს 12-15 ლ/წთ-ს. ამ დროს მოქნილი შლანგი და შტუცერი გადაადგილდება პორიზონტალური მიმართულებით. მონგრეული ქანის ნაწილაკები სარეცხ სითხესა და ნავთობთან ერთად ამოღის ზედაპირზე, სადაც ხდება მათი განცალკევება სპეციალური სეპარატორის საშუალებით. შლანგი და ნავთობი გროვდება კონ-

ტექნიკურ და რეზერვუარებში, ხოლო სარეცხი სითხე კვლავ მიეწოდება სასანგრევო ძრავას ტუმბოების მეშვეობით. ნავთობის მოპოვების ადრეულ სტადიაზე სარეცხი სითხის სიმკვრივე უნდა შეამციროს ტექნიკურად შესაძლებელ მინიმალურ სიდიდემდე, რათა თავიდან ავიცილოთ ფენის გაჭუქყიანება, ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გეოლოგიური პირობები პროდუქტიული ფენების კოლექტორული თვისებების შენარჩუნებისათვის.


შრეში რადიალური ხვრელის გაბურდვის შემდგა კოლტურინგი, მოქნილი შლანგი და შტუცერი ამოღებული უნდა იქნეს ჭაბურღლილიდან, ამის შემდეგ თუ აუცილებლობა მოითხოვს გადამხრელი მოწყობილობა შეიძლება შემობრუნდეს  $90^{\circ}$  ან  $180^{\circ}$ -ით და განმეორებულ იქნეს ზემოთადწერილი პროცესი (ნახაზი 3 და 4).

გვერდითი ხვრელი შეიძლება გაყვანილ იქნეს შრეში რამდენიმე დონეზე. 100მ-მდე სიგრძის ერთი არხის გაჭრის დრო შეიძლება შეადგენდეს 20 წთ-მდე. ერთ დონეზე შესაძლებელია 4 არხის გაბურღვა. მთელი ოპერაციის ხანგრძლივობა ჭაბურღლილში შეიძლება საშუალოდ მოიცავდეს 1-დან - 4 დღემდე.


რადიალური ბურღვის წარმოება შეუძლებელია დიდი დახრის მქონე პროდუქტიულ ფენებში, კავერნების შემცველ, ფორებიან ქანებში, მარილებში, თაბაშირში, ანჰიდრიტებში.

### 3. დასკვნა


ამრიგად, რადიალური ბურღვის ხერხი არის უკელაზე ეფექტური საშუალება წიაღიდან ნაგობის მოპოვების ინტენსიფიკაციისათვის. მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს ნავთობისა და გაზის დებიტი ცალკეულ ჭაბურღლილებში  $1,5\text{--}4\text{-ჯერ}$ . ბურღვის ეს ხერხი სასურველია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ნაგობშემცველ ფართობებზე გაყვანილ ჭაბურღლილებში ნავთობის მოპოვების ამაღლებისათვის.




ნახ. 1. რადიალური ბურღვის სქემა  
 $\delta$  – პერფორაცია,  $0,5\text{--}1,2$  მ;  
 $\delta$  – რადიალური ბურღვა, 100 მ



ნახ. 2. სამაგრ კოლონაში ფანჯრის ამოჭრა



ნახ. 3. შრეში რადიალური ხვრელის გაბურღვა



ნახ. 4. შრეში სხვადასხვა ღონებზე რამდენიმე  
არხის გაჭრა გეერდითი ხვრელის  
საშუალებით

### ლიტერატურა

1. Варшаломидзе Г. Х. Современные методы и технологии бурения нефтяных и газовых скважин. Тбилиси, 2010.
2. о. თავდაცაძე, გ. დურგლიშვილი, მ. შარიქაძე, თ. ტურიაშვილი. რადიალური ბურღვის პერსპექტივები ნინოვინის გაზნავთობის საბადოში // საქართველოს ნავთობის და გაზი, № 22, 2008.
3. Асилбеков Б.К., Жипбасбаев У. К., Кабдулов С. З. Моделирование повышения нефтеотдачи пластов способом радиального бурения//Вестник КБТУ, 2007, N3.

**UDC 622. 244. 448**

### EFFECTIVENESS OF USING RADIAL DRILLING

**V. Khitarishvili, N. Machavariani, A. Chichinadze, T. Sardjveladze, M. Loria**

Department of oil and gas technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Radial drilling is the most effective means among the methods applied for development of oil and gas. It means drilling of new several horizontal radial Rohr with the depth 100-150 m and diameters of 20-50 mm in productive layers of exploited boreholes. Its use gives possibility to carry out the capital repairs of boreholes for increasing of layers oil yielding. By applying of this method it is possible to develop undeveloped oil consisting 25-30% from whole store of oil, also it gives possibility to increase of oil recharge from little recharge, liquidated and conservation boreholes. It is this desirable to use the radial drilling on the oil-bearing sites of Georgia for increasing of oil recharge.

**Key words:** Radial drilling; lateral holes; hydro flow; productive layer; oil recharge.

**УДК 622. 244. 448**

### ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРИМЕНЕНИЯ РАДИАЛЬНОГО БУРЕНИЯ

**Хитаришвили В. Э., Мачавариани Н.А., Чичинадзе А. Н., Сарджвеладзе Т. Дж., Лория М.Д.**

Департамент технологии нефти и газа, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Радиальное бурение является самым эффективным средством среди тех методов, которые применяются для повышения добычи нефти и газа. Оно подразумевает бурение длиной 100-150 м и диаметром 20-50 мм несколькими новыми горизонтальными радиальными стволами в продуктивных пластах, находящихся в эксплуатации скважин. Их применение дает возможность проведения капитального ремонта на скважинах для повышения нефтеотдачи пласта. Этим методом бурения можно добывать неизвлекаемую нефть, которая составляет 25-30% всего запаса нефти, а также возможно повышение дебита нефти из малодебитных, ликвидированных и законсервированных скважин. Радиальное бурение желательно применять в пробуренных скважинах на нефтеносных площадях Грузии для увеличения добычи нефти.

**Ключевые слова:** радиальное бурение; боковое отверстие; гидроструя; продуктивный пласт; дебит нефти.

მიღებულია დახაბუჭებად 03.04.2012

ზაგ 551.49

## ატმოსფერული ნალექების გავლენა დია ჟეალსატეპებზე და გეოთერმულ წყლებზე

### 6. კიკნაძე, 6. მექებაძიშვილი

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.kiknadze@ntour.ge

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ატმოსფერული ნალექების გავლენა დია ჟეალსატეპებზე და გეოთერმულ წყლებზე. მოცემულია ყოველთვიური დაკვირვებები მდ. კვირილას წყალზე, თუ როგორ იცვლება რადიუმის და რადონის მნიშვნელობები ატმოსფერული ნალექების ზრდასთან ერთად.

**საკანკო სიტყვები:** გეოთერმული წყალსატეპები; გეზოთერმული წყლები და სხვა.

### 1. შესავალი

დედამიწის წყლის რესურსები ანუ მისი ფიზროსფერო არის ზღვები, მყინვარები, მდინარეები, მიწისქვეშა წყლები და წყლის ორთქლი ატმოსფეროში. დია ჟეალსატეპების დაცვის სა-

კითხებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის ხარისხი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს საჭირო ხდება წყლის გაწმენდა. ჩვენი მიზანია მდ. კვირილას ჟესტაცია. ატმოსფერული ნალექების გავლენა ჭიათურმანგაზე მის საწარმოებიდან ჩამდინარე წყლებზე წარმოდგენილი გავაქს 1-ელ ცხრილში.

### 2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომში განხილულია ატმოსფერული ნალექების გავლენა დია ჟეალსატეპებზე და გეოთერმულ წყლებზე.

მოცემულია ყოველთვიური დაკვირვებები მდ. კვირილას წყალზე, თუ როგორ იცვლება რადიუმის და რადონის მნიშვნელობები ატმოსფერული ნალექების ზრდასთან ერთად, რაც ნაჩვენებია 2010-2011 წ. მონაცემებზე 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

სინჯის აღების დრო	კლემენტების შემცველობა მდ. კვირილას წყალში	
	$\text{ლა}^{226} \cdot 10^{-10} \text{ გ/ლ}$	$\text{ლნ}^{222} \cdot 10^{-10} \text{ გ/ლ}$
ოქტომბერი	0.2	0.4
ნოემბერი	0.200	0.4
დეკემბერი	0.300	0.45
იანვარი	0.3500	0.45
თებერვალი	0.040	0.4
მარტი	0.030	0.0350
აპრილი	0.034	0.045
მაისი	0.035	0.045
ივნისი	0.05	0.050
ივლისი	0.003	0.050
აგვისტო	0.004	0.056
სექტემბერი	0.005	0.060

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვიური დატვირთვა მდინარე ყვირილას წყალზე ნათლად ასახავს თუ როგორ იცვლება რადიუმის და რადონის მნიშვნელობები ატმოსფერული ნალექების ზრდასთან ერთად. 1-ელ ცხრილში მოცემულია 2010-2011 წლების ყოველთვიური მონაცემები.

მეორე შემთხვევაში ჩვენ ვაწარმოებდით დატვირთვებს გეოთერმულ წყლებზე. მე-2 ცხრილში ნაჩვენებია, რომ ნალექის მომატება არავითარ გავლენას არ ახდენს გეოთერმულ წყლებზე, პი-

რიქით გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში იმატებს  $Ra^{226}$  და  $Rn^{222}$ -ის მნიშვნელობები. რაც ჩვენი აზრით აისხება გეოთერმული წყლების მიწის ღრმა მდებარეობით. ისინი 3500-3800მ. -ის სიღრმიდან ამოდიან. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაბამისად მიწის სიღრმეში ეგზოტერმული რეაქციის სარჯზე ხდება გეოთერმულ წყლებში  $Ra^{226}$ -ის და  $Rn^{222}$ -ის მნიშვნელობების გაზრდა.

ცხრილი 2

გეოთერმული წყლის რადიაქტივობა									
ნიმუშის ადგების დრო	12სო	ალემენტების შედგენილობა							
		$Ra^{226} \text{ 10.}-\text{10. } \delta/\text{ლ} Rn^{222} \text{ 10.}-\text{10. } \delta/\text{ლ} Ra^{226} \text{ 10.}-\text{10. } \delta/\text{ლ} Rn^{222} \text{ 10.}-\text{10. } \delta/\text{ლ}$							
	1983	1984	1983	1984	1983	1984	1983	1984	1984
იანვარი	2, 50	2, 50	4, 00	4, 00	2, 50	2, 50	4, 00	4, 00	4, 00
თებერვალი	3, 00	3, 50	4, 00	4, 60	3, 30	3, 50	4, 00	4, 00	4, 00
მარტი	3, 00	3, 00	4, 30	4, 30	5, 30	4, 30	5, 80	4, 90	
აპრილი	7, 00	8, 80	6, 00	5, 50	7, 50	5, 80	6, 00	6, 50	
ივნისი	8, 50	9, 80	6, 50	8, 50	9, 80	9, 80	9, 90	9, 90	
ივლისი	8, 80	9, 60	8, 60	8, 60	9, 80	9, 60	9, 90	9, 90	
სექტემბერი	6, 50	2, 00	4, 00	5, 40	7, 50	7, 20	8, 40	7, 40	
ოქტომბერი	5, 50	2, 50	4, 50	4, 50	5, 50	5, 50	7, 50	6, 50	
ნოემბერი	3, 00	3, 00	4, 00	5, 00	3, 00	3, 00	4, 00	5, 50	
დეკემბერი	3, 00	3, 00	4, 50	4, 50	2, 30	1, 30	3, 80	4, 50	

ამდენად უნდა აღნიშნოთ, რომ დიდ წყალსატევებზე დიდ გავლენას ატმოსფერული ნალექები ახდენს.

ამავე დროს არა მარტო  $Rn^{222}$ -ის მნიშვნელობა მცირდება გაზაფხულის დადგომასთან დაკავში-

რებით, არამედ წყლის შედგენილობა ყვირილაში თითქმის ყველა ელემენტზე გავლენას ახდენს.

მე-3 ცხრილში ეს ყოველივე ნათლად არის ასახული.

თვისება		გ/ლ	გ. ეპვ	გ ეპვ %	
კათიონები					სინისტე საერთო 2. 15 მუდმივი 0. 76 კარბონატული
ამონიუმი	NH	0. 0209	0. 91	29. 74	
ლითიუმი	Li				
კალიუმი	K				
ნატრიუმი	Na				
ცეზიუმი	Cs				
რუბიდიუმი	Rb				
მაგნიუმი	Mg	0. 0019	0. 15	4. 90	
კალციუმი	Ca	0. 0400	2. 00	65. 36	
სტრონციუმი	Sr				
ბარიუმი	Ba				
რეინა	Fe2+				
რეინა	Fe3+				
ალუმინი	Al				
მანგანუმი	Mn				
სპილენი	Cu				
მოლიბდენი	Mo				
ნიკელი	Ni				
ცინკი	Zn				
ტივია	Pb				
ტიტანი	Ti				
გერმანიუმი	Ge				
ანიონები					
ფლორი	F-				
ქლორი	Cl-	0. 0035	3. 06	100. 00	
ბრომი	Br-		0. 10	3. 27	
იოდი	J-				
სულფატი	SO <sub>4</sub> <sup>2-</sup>	0. 0366	0. 76	24. 83	
თიოსულფატი	S <sub>2</sub> O <sub>3</sub> <sup>2-</sup>				
სულფიტი	SO <sub>3</sub> <sup>2-</sup>				
ჰიდროსულფიდი	HS				
ჰიდროარსენატი	HAsO <sub>4</sub> <sup>2-</sup>				
ჰიდროფოსფატი	HPO <sub>4</sub>				
ჰიდროკარბონატი	HCO <sub>3</sub>	0. 1342	2. 20	71. 90	
კარბონატი	CO <sub>3</sub> <sup>2-</sup>				
ნიტრატი	NO <sub>3</sub>				
ნიტრატი	NO <sub>2</sub>				
არადისოცირებული მრავეკულება					
სილიციუმის მჟავა H <sub>2</sub> SiO <sub>3</sub>					
მეტამორის მჟავა HBO <sub>3</sub>					
რეინა-ალუმინის ჟამი					
უანგეულობის ჟამი					
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> + Fe <sub>2</sub> O <sub>2</sub>					
საერთო მანერალიზაცია	0. 2371				

### 3. დასკვნა

ამგვარად, ჩვენ ხელთ არსებული ყველა მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ატმოსფერული ნალექების ზრდა სხვადასხვანირ გაფლენის ახდენს ღია წელსატევებზე, ხოლო გეოთერმულ წყლებზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

### ლიტერატურა

1. Меквабишвили Н. И. Очистка воды от радиоактивных и других вредных загрязнений. Тбилиси, 2009 г.
2. 6. მექვაბიშვილი, ა. სოხაძე. მჟენებლობა და გარემო. სტუ. თბილისი, 2006 წ.
3. ლ. ჩხეიძე, ნ. ჯვარელია. შრომის დაცვა. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი. 2011 წ.

UDC 551.49

## INFLUENCE OF ATMOSPHERIC PRECIPILATIONS ON THE OPEN RESERVOIR AND GEOTHERMIC WATERS

**N. Kiknadze, N. Mekvabishvili**

Department of mining technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is discussed influence of atmospheric precipitations on the open reservoir and geothermic waters.

There is given monthly observation of river Kvirila, how change meanings of radium and radon accounts by increase of atmospheric precipitations.

**Key words:** geothermal reservoirs; exothermic waters.

УДК 551.49

## ВЛИЯНИЕ АТМОСФЕРНЫХ ОСАДКОВ НА ВОДОЕМЫ И ГЕОТЕРМИЧЕСКИЕ ВОДЫ

**Кикнадзе Н.Т., Меквабишвили Н.И.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В работе рассмотрено влияние атмосферных осадков на открытые водоемы и геотермические воды.

Проведены ежемесячные наблюдения вод реки Квирила: как изменяются значения количеств радия и радона вместе с увеличением атмосферных осадков.

**Ключевые слова:** геотермальные водоемы; геотермические воды.

მიღებულია დანადგურით 01.07.2012

**შაპ 549. 621. 9****ბრანატის ძველი და ახალი სახელმოღებები****ო. სესკურია**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: olikoseskuria@rambler.ru

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია მინერალოგიური ტექნიკები რომლებიც დროთა განმაფლობაში განიცდიდა სახეცვლას, ეკოლუციას, ზოგჯერ ერთი და იმავე სახელწოდებით სრულიად განსხვავებულ მინერალებს მოიხსენიებდნენ და პირიქით. განხილულია გრანატის ჯგუფის მინერალების ძველი და ახალი სახელწოდებები. წითელი ფერის იაგუნდებს ხშირად ძოწებს მიაკუთვნებენ, რაც არამართებულად მიგვაჩინა. ისინი უნდა განვიხილოთ როგორც მინერალ კორუნდის წითელი ფერის სახესხვაობები. გრანატის ჯგუფის მინერალებს კი სახელი უნდა გუწიდოთ სახესხვაობის ფერის შესაბამისად: წითელს ან მურა წითელს – ალმანდინი, მუქ წითელს ან მოვარდისფრო წითელს – პირიპი, ნარინჯისებრ ყვითელს – სპესარტინი, თაფლისებრ ყვითელს – გროსულარი, ყვითელს ან მომწვანოს – ანდრადიტი, ხოლო ზურმუხტებრ მწვანეს – უვაროვიტი.

**საკვანძო სიტყვები:** ძოწების მინერალი; ძვირფასი და სანახელავო ქვები; ანთრაკი; პირიპი; ალმანდინი.

**1. შესავალი**

ადამიანის მიერ ფერადი ქვების გამოყენების ისტორია ათასწლეულების სიღრმიდან იწყება. ცნობილია მინერალები, განსაკუთრებული ძვირფასი ქვები, რომლებიც ანტიკური დროიდან გამოყენებოდა საქართველოში და მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებშიც, მაგრამ მათი უმეტესობის, როგორც საიუველირო საქმეში გამოყენებული ნედლეულის, საბაზოები საქართველოში ცნობილი არ არის. ისინი, მათ შორის გრანატიც, შემოპქონდათ სხვა ქვენებიდან. რაც შეეხება დამუშავებას და მათგან საიუველირო ნაკეთობების დამზადებას, თუ წინათ საქართველოში აღმოჩენილი ამ ნივთების დიდი ნაწილი შემოტანილ ითვლებოდა, ამჟამად კომპლექ-

სური კვლევებით დასტურდება, რომ საიუველირო ნაკეთობების 85–90% ადგილობრივი სელისების მიერად დამზადებული.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდილი მასალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწოდასთან ერთად აუცილებელია მისი თანამედროვე გეოლოგიური მეორედებით გამოკვლევა, მიღებული შედეგები, ხშირად, არა მარტო გვეხმარება, არამედ გადამწვევტიც ხდება და წარმატებით აგვარებს არქეოლოგების წინაშე მდგარ საკითხებს, როგორებიცაა: მინერალთა რაობა, მათი ნედლეულის წყარო, მოპოვების და გასაღების გეოგრაფია, ამა თუ იმ ნედლეულის და ნივთის ისტორიული წარმომავლობა და კუთვნილება, მოპოვებისა და დამუშავების ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხები.

**2. ძირითადი ნაწილი**

ძვირფასი ქვების ფიზიკური და ქიმიური თვისებების კვლევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ტექნიკოლოგიის საკითხებს. აუცილებელია ძველი ტექნიკების დღვანებელ ტერმინებთან შეჯერება, რადგანაც დროთა განმაფლობაში ხშირად განიცდიდა სახეცვლას, ეკოლუციას. ზოგჯერ ერთი და იმავე სახელწოდებით სულ სხვადასხვა ქვა არის მოხსენიებული და პირიქით. ძვირფასი ქვების ტერმინოლოგიის კვლევა დღესაც აქტუალურია, ვინაიდან ქველი ტერმინის თანამედროვე შესატყვევისის დაღვენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გეოლოგიური მეცნიერების, ისე ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებებისთვის. ძვირფასი და სანახელავო ქვების სახელწოდებებს ფეხვები, ძირითადად, შორეულ წარსულში აქვს. ისინი გაცილებით ძველია, ვიდრე მეცნიერება მინერალოგია. ძველი მინერალოგიური ტერმინები უხვად გვხვდება როგორც სპეციალურ, წმინდა საბუნებისმეტყველო ტრაქტატებში, ისე სამედიცინო და ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში და სამზითვო წიგნებში.

გარკვეული ისტორიული ეპოქისთვის არსე-

ბობდა იმ დროისთვის „უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერული შეხედულება, თუმცა დროთა განმავლობაში ხდებოდა ამა თუ იმ მინერალოგიური ტერმინის მნიშვნელობის შეცვლა. შესაბამისად, ერთი და იმავე ტერმინით სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა სხვადასხვა მინერალი ან სულაც ერთსა და იმავე დროს ერთი ტერმინით სხვადასხვა მინერალი შეიძლება იყოს მოხსენიებული, რაც ხშირად ძეირფასი ქვის ბუნების არასწორი გაგებით არის გამოწვეული. საინტერესოა მინერალთა სინონიმების საკითხის გარკვევაც, რადგანაც ისინი ხშირად სხვადასხვა ენიდანაა ჩვენთან შემოსული და გაურკვევლობას იწევს.

ძელ წყაროებში გამოყენებული ძეირფასი ქვების ზოგიერთი სახელწოდება დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში „უკვე აღარ გვხვდება ან სხვა შინაარსით იმარება, თუმცა საუბრისას ხშირად გამოიყენება მცდარი ტერმინები. შესაბამისად, ტერმინოლოგის საკითხის არა მარტო საბუნებისმეტყველო, არამედ წმინდა ენობრივი მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან თანამედროვე ქართველი მკვლევარების შეხედულებებიც კი ზოგიერთი ძვირფასი ქვის შესახებ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ამჟამად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ინსტრუმენტ არქივში უძველესი ხელნაწერი ქართულ ენაზე ძვირფასი ქვების შესახებ წარმოდგენილია „თუალთაიში“ [1], მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში მინერალები – ძვირფასი ქვები უფრო ადრე არ იყო მოხსენიებული. შემონახულია „თუალთაის“ რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის ყველაზე ძველი X საუკუნეს მიეკუთვნება.

ძვირფასი და სანახელავო ქვების შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა „კალმასობის“ [2] ხელნაწერი (კოლექცია-H-2170). იგი, შეიძლება, იმ დროისთვის მინერალოგის სახელმძღვანელოდაც ჩაითვალოს.

ამჯერად შევქნებით მხოლოდ გრანატის ჯგუფის მინერალების ტერმინოლოგიის საკითხს, რომელშიც გაერთიანებულია მინერალთა საკმაოდ დიდი რაოდგნობა, მათ შორის განსაკუთრებით მრავალფეროვანია აღმანდინის (პირობი, აღმანდინი, სპესარტინი) და ანდრადიტის (ანდრადიტი, გროსულარი, დემანტოდი, მელანიტი, უვაროვიტი) რიგი. გრანატების ჯგუფისთვის დამახასიათებელია ფართოდ გამოხატული იზომორფიზმი, რის გამოც ბუნებაში ცალკეული რიგის მინერალების

ქიმიური შედგენილობა მუდმივი არ არის. სწორედ ამის გამო გრანატის ჯგუფის მინერალების გარკვეული ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლები (ფერი, გარდატეხის მაჩვენებელი, იზომორფიზმი, სიმეტრიკული და სხვ.) არ არის მუდმივი და გარკვეულ საზღვრებში მერყეობს.

გრანატის ჯგუფის მინერალებს შორის ისტორიულად გავრცელებული და საიუველირო საქმეში ფართოდ გამოყენებულია, ძირითადად, პირობი და აღმანდინი, რომლებსაც უხსოვარი დროიდან მოიპოვებინენ და ამჟავებდნენ მრავალ ქვეყანაში. ისტორიულად ცნობილია ამ ორი მინერალის სხვადასხვა სახელწოდება, აქედან გამომდინარე, მათ ხშირად სხვადასხვა სახელით ან სინონიმებით მოიხსენიებდნენ. რაც შეეხება ტერმინებს „პიროპი“ და „აღმანდინი“, ისინი შედარებით ახალი სახელწოდებებია.

საგუთრივ მინერალ გრანატის სახელწოდების იდენტიფიკაციის ზოგიერთი საკამათო საკითხის გარკვევის მიზნით ვისარგებლეთ ძელი მინერალოგიური ტრაქტატებით, ქართული ხელნაწერებით და ლექსიკოგრაფიული ნაშრომებით, უცხოელი და ქართველი მეცნიერების გამოკვლეულებით. სახელწოდება „გრანატი“ ბერძნული სიტყვაა და მარცვლისებრს ნიშავს. მას კაცორიობა უძველესი დროიდან იცნობს ანთრაკის სახელწოდებით. წითელი გრანატი – ანთრაკი, იგივე კარბუნკულია. გრანატი ბიბლიური ქვაა და ამას მრავალი წერილობითი წყარო მოწმობს. არაბული ბიბლიის ბერძნული თარგმანიდან ვაქებულობთ, რომ მას თავდაპირებულად ანთრაკის სახელით მოიხსენიებდნენ, საიდანაც მოდის რუსული სიტყვა „ანტრაკი“ და ქართველი „ანთრაკი“. ოშების ბიბლიის ხელნაწერში ვკითხულობთ: „პირი იგი ეტლის – თუალთაი მათ ვითარცა პირი ქვისა ანთრაკისა“. ბიბლიის ზოგიერთ ქართულ ხელნაწერში და „თუალთაიში“ ანთრაკი მოხსენიებულია როგორც თვალი იაკინთი. ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „ქალაქის გალავნის საძირკვლები მოაირეობული იყო ყოველნაირი ძვირფასი ქვებით“, აქედან მეთორმეტე (მეთერთმეტე) ქვად დასახელებულია იაკინთი (გამოცხადება, თ. 21; მეტ. 20) [3]. ეპიფანე კვიპრელის „თუალთაის“ მეშვეობით ვებულობთ, რომ ეს თვალი პირველი მდვდელმთავრის, ჰარონის, სამკერდულზე განლაგებულ თორმეტ ქვას შორის იყო. თვლები იაკინთის თორმეტ შვილს განასახიერებდა. ისინი ოთხ მწერივად და სამ რიგად იყო განლაგებული. გრანატის ქვას მეოთხე ადგილი ეჭირა და,

შესაბამისად, იაკობის მეოთხე ვაჟს, იუდას განასახიერებდა, ამიტომ მას იუდას ქვასაც უწოდებენ [1].

იაკინთი „თვალთაიში“ განმარტებულია როგორც „ბრწყინვალე ცეცხლის მსგავს, ფნაკის მსგავს სიმეზამელითა, იმოვების ერქუმას აფრიკე“. ნამრომში ნახევნებია მისი მოპოვების ადგილი, მდ. ფისონი, რომელიც ლიბიაში მიყდინებოდა: „მუნ არს ანთრაკი, მოწეული და კაპოეტი.“ [1]

X-XII საუკუნეებში საქართველოს აქტიური პოლიტიკური, კელტურული და ეკონომიკური ურთიერთობა პერიოდი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ეპოქაში შემოდის დიდადი განმეული ძვირფასი ქვების ნედლეულთან ერთად. იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროსთვის ძვირფასი ქვების ძირითადი მომწოდებლები იყვნენ ბირმა, ცელონი, ინდოეთი, საარსეთი, არაბეთი და სხვა ქვეყნები. სწორედ ამ ეპოქაში მოდვაწეობდა ტნობილი ბუნებისმეტყველი ალ-ბირუნი, რომელმაც შექმნა იმ პერიოდის მეცნიერების ბრწყინვალე ნაწარმოები, მინერალოგიური ტრაქტატი, რომელიც იმდროინდელი მინერალოგიის ენციკლოპედიას წარმოადგენდა [4].

ალ-ბირუნი სხვა ძვირფას ქვებთან ერთად კრცლად მიმოიხილავს „ბიჯაზს“ და „იაკუნტის“ სახესხვაობებს. ისინი იაგუნდის სახელწოდების ქვეშ ერთიანდება, თუმცა შეუძლებელია ცალსახად იმის მტყიცება, რომ აგტორის მიერ აღწერილი ყველა იაგუნდი და, განსაკუთრებით, წითელი ფერის მინერალების თვისებები, კორუნდის სახესხვაობებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთი ავტორის მიერ წითელი იაგუნდების ნაწილის მიკუთხება გრანატებისადმი. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ პერიოდისთვის წითელი ფერის მინერალების გრანატი, შეინელის, კორუნდის ერთმნიშვნელობად განცალკევება ფიზიკური თვისებების მიხედვით შეუძლებელი იყო.

იაკუნტების (იაგუნდების) დახასიათების შემდეგ ალ-ბირუნი მიმოიხილავს ფერის მიხედვით მათ მსგავს ქვებს და აერთიანებს მათ „კარტუნდას“ სახელწოდებით. გ. ლემდევინის მოსაზრებით, ეს შესაძლებელია იყოს პირობის, ანდრადიტის და ჰესონიტის კრებსითი სახელი. მას მიაჩნია, რომ ანთრაკი და კარტუნკული არის კარქუნდის და ბიჯაზის სახესხვაობები. გრანატის აღმოსავლური სახელის – ბიჯაზის შესახებ ავტორი წერს, რომ ეს სახელი X-XI საუკუნეებიდან მოდის და მის

ქვეშ გრანატის ჯგუფის მინერალი, ალმანდინი, იგულისხმება [4].

რუსულ დექსიკონ „აზბუკოვნიკში“ მოცემულია გრანატის ხატოვანი აღწერა ორი სახელწოდებით: „ანფრაგის – ძალიან წითელი, რომელიც შორიდან ანათებს როგორც ნაკვერცხალი, მოიპოვება ლიბიის ქალკედონში (კართაგენი), აფრიკაში; მეორე სახელწოდება „აპრფამუქულოსი“ – ძალიან ძვირფასი, ქვების მეფეა და ანათებს.

შეა საუკუნეების ერთ-ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში (ცენტრალური არქივი ფ. 388) აღნიშვნელია, რომ გრანატს „ქართულად წოდების დრანან და რუსულად ვენისა“, ე. ი. ტერმინი ღრანან–გრანატი შეა საუკუნეებში ქართველთათვის ცნობილი ყოფილა. სულხან–საბა ორბელიანი ანთრაკის ასე განმარტავს: „ანთრაკი ესე თვალი ნაკვერცხლის ფერია, დამე ცეცხლებრ ელავს, დია ძვირფასი(ა), აფრიკეთს იშოვების“ [5]. საინტერესო „კალმასობის“ ხელნაწერიც (იოანე ბატონიშვილი): „ანთრაკი ესე ქუა არს ძვირფასთა ქვათა შორის შერაცხილი, ხოლო ფერით არს ნაკვერცხლის მსგავსი და ამის გამო ჰსწოდებიეს სახელი ესე ანთრაკი ანუ ანთრაკი, ვინაიდგან ელინურისა ენითა ნიშანებს ნაკვერცხალს. ესე თვალი უფრორე ბუნებით მიეწერება წითელსა იაგუნდსა და ფასითა არს მასთანვე შერაცხილი“. შემდეგ ვკითხულობთ: „საღმრთოთა წერილთა შინა მოიხსენიების ასრეთ შესახედავი ეტლის თუალთა ვითარცა შესახედავი ქვისა ანთრაკისა“ [2]. სახელწოდება ანთრაკი ჯერ იაკინთმა შეცვალა, შემდგომ მას წითელ იაგუნდსაც უწოდებდნენ. საინტერესო, რომ არც საეკლესიო ჭურჭლეულობის, ხატების, ტანსაცმლის, სამკაულების აღწერაში და არც მზითვის წიგნებში ანთრაკი მოხსენიებული არ არის, გვხვდება მხოლოდ წითელი იაგუნდი.

აღსანიშნავია ალ. კუპრინის მოთხოვობა „Гранатовыи браслет“ [6], რომელიც ქართულად თარგმნილია, როგორც „ძოწის სამაჯური“ და, შესაბამისად, ძოწის ქვეშ შეცვლით მოიაზრება გრანატი. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ხმირად დღესაც ჩვენში გრანატის მცდარი სახელი ძოწი გამოიყენება. ამას ემატება რუსულ-ქართულ დექსიკონში რუსული სიტყვის „гранат“ მცდარი თარგმანი - „ძოწი“ [7].

ალ. კუპრინის ნაწარმოების ერთ-ერთი პასაჟი ქართულად ასეა თარგმნილი: „მდარე ხარისხის რქოს მსხვილ სამაჯურს ზედაპირი მთლიანად დაფარული პერიოდი უძველესი ძოწის ცუდად

გათრამული წერილი ქვებით. სამაგიეროდ, შუაში  
ჩამჯდარი უცნაური, პატარა მწვანე ქვის ირგვ-  
ლივ მუხედოს მარცვლის სიმსხო ძოწის ხეთი  
თვალი ამოღურცულიყო. ლამპის შექმენი ძოწის  
თვლების გლუვი ზედაპირის ქვეშ ცეცხლივით  
აციაგდა საუცხოო მუქი წითელი სხივი, „თითქოს  
სისხლია“. ეს იშვიათი ხარისხის ძოწია, ქეცელი  
გადმოცემით, ამ ქვას ერთი საოცარი თვისება  
აქვს: ქალებს წინასწარხედვის მადლს ანიჭებს,  
მამაკაცებს კი ძალადობრივი სიკვდილისგან  
იცავს“ [6].

უდიდესი ქართველი ლექსიკოგრაფის – სულ-  
ხან-საბა თრდელიანის განსაზღვრებით, ძოწი-  
„მარჯანია“ მის „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ:  
„ძოწი არს მსგავსი რამე გენუას ზღვასა შინა,  
კითარცა რქანი შევიდისანი, ბროწევლის ყვავი-  
ლის ფერი, არამედ შავი და ოქორიცა იპოვების.  
რა სიღრმით ამოიღების, უმაგრეს იქმნების კო-  
გლოთა ქვათასა. კრიალოსნად დასთლიან, სამეაუ-  
ლოდაც იხმარენ და სხვა რიგადაც მრავლად  
სახმარ არს“ (1991, გ. II, გვ. 357)[5].

„უდავოდ სახნტერექსოა შოთა რესთაველის „ეფთხისტეროსანში”“ მოხსენიებული ძეირფასი ქვების სახელწოდებების თანამედროვე შესატყვის ტერმინების დაღგხნა, მართალია ამ საკითხების გარკვევას თითქმის მთელი საუკუნე მიყდვნა, მაგრამ ტერმინების განმარტების შესახებ ერთანა შეხედულება დღემდე არ არსებობს. პოემაში მოხსენიებულ წითელი ფერის იაგუნდს ზოგი ავტორი [11,12] კორუნდს აკუთხნებს, ზოგი გრანატს [9], ზოგიერთი კი ხან კორუნდს, ხან გრანატს [8].

6. ქოიავას [12] მოსაზრებით “ვეფხისტყაოსანში” მოხსენიებული წითელი იაგუნდი მინერალ კორუნდის წითელი სახელსაციბაა.

ვ. ნოზაძე [8] იაგინთვეს, ანთრაქს და კარბუნკულს წითელი იაგუნდის სინონიმებად თვლის, თუმცა წითელი იაგუნდი კორუნდის წითელ სახეს ხვაობად მიაჩნია. აგტორი გარკვეული ანალიზის შედეგად ასკვინის, რომ იაგინთ = ანთრაქს = კარბუნკულს = წითელ იაგუნდს. ამასთან აღნიშვნავს, რომ წითელი იაგუნდის ტერმინის შესახებ ერთანანი მოსაზრება არ არსებობს: ზოგის მიხედვით, იგი კორუნდის წარმომადგენელია, სხვაგით კი მას გრანატების ჯგუფს აკოჰნიბარს.

ვ. ნოზაძე ხსენებულ ნაშრომში იაგუნდებს აკუთხნებს კორუნდს, მაგრამ შემდგომ მსჯელობაში ასკვინს, რომ იაკინთო, კარბუნკული და ანთრაკი წარმოადგენს აგრეთვე, წითელ იაგუნდებს. ვ. ზუბაძა წითელ იაგუნდებს აკუთხნებს გრანა-

objects [9,10].

ჩვენი მოსაზრებით, ალ-ბირუნის ერთიანი შეხედულება გრანატების და წითელი კორუნდების განსხვავების შესახებ არ აქვს. იგი თავის ნაშრომში წითელი ფერის მინერალებს აერთიანებს წითელ „იაკუნტებში“. მის მიერ გაზომილი წითელი ფერის „იაკუნტის“ (იაგუნდი) სიმკვრივე ზოგჯერ გრანატის სიმკვრივეს ჟესაბაძება.

### 3. დასკვნა

დღევანდელი შეხედულებით წითელი იაგუნ-  
დი უნდა განვიხილოთ მინერალ კორუნდის წი-  
თელი ფერის სახეს ხვაობად, როგორც ეს თანა-  
მედროვე ევროპულ და რუსულ მინერალოგიურ  
ლიტერატურაშია მიღებული. ხოლო წითელი  
ფერის გრანატებს უნდა კუწოდოთ ალმანდინი  
და პიროპი ან ალმანდინ-პიროპის და პიროპ-  
ალმანდინის სახეს ხვაობები. ბუნებაში ხშირია  
ალმანდინ-პიროპის ან პიროპ-ალმანდინის იზო-  
მორფული ნარევი.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା

1. ე. პირერელი. თუალთაი. შატბერდის კრებული  
X საუკუნისა. თბილისი: მეცნიერება, 1979.-175  
გვ.
  2. ი. ბატონიშვილი. კალმასობა. II, თბილისი,  
1948.-168 გვ.
  3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. სტოკოლმი,  
“ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი”, 1992.-704 გვ.
  4. Аль-Бируни. Собрание сведений для познания  
драгоценностей. (Минералогия). Ленинград: Изд.  
АН СССР, 1963.
  5. ს.-ს. ორბეგლიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I.  
თბილისი: მერაბი, 1991.-639 გვ.
  6. ალ. კუპრინი. ძოწის სამაჯური. თბილისი:  
საბჭოთა საქართველო, 1974.-494 გვ.
  7. რ. გაგუა, ნ. გაჩნაძე, ქ. ლომთათიძე, ლ. კაი-  
შაური, ა. კობახიძე და სხვ. რესულ-ქართუ-  
ლი ლექსიკონი, “საბჭოთა საქართველო”,  
1983.-864 გვ.
  8. ვ. ნოზაძე. განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა,  
წიგნი I, “ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველე-  
ბა”, ბუენოს-აირესი, 1953.-301 გვ.
  9. ვ. ზუბაძა. ქვის კულტურა საქართველოში.  
თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1965.-253 გვ.
  10. ვ. ზუბაძა, ნ. ფოფორაძე. ძვირფასი და სა-  
ნახელავო ქვები. თბილისი, 1998.-400 გვ.

- 
11. თ. მგელიაშვილი. საქართველოს გეოარქეო-  
ლოგია. თბილისი: მეცნიერება, 1991.-170 გვ.
12. ბ. ქოიგა. ძვირფასი ქვები შოთა რუსთავე-  
ლის პოემაში. ენომის “მოამბე”, ტ. III. თბი-  
ლისი, 1938, გვ. 55-87.
- 

**UDC 549. 621. 9**

## **OBSOLETE AND MODERN NAMES OF GARNET**

**O. Seskuria**

Department of geology, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Mineralogical terms underwent changes (evolution) with time. Sometimes one and the same term denoted absolutely different minerals and vice versa. In this research work there are discussed obsolete and modern names of the garnet group minerals.

Red corundum is often attributed to garnets, that the authors consider to be improbable. They should be considered, as red varieties of the mineral - corundum. The garnet group minerals should be named according to the color variant: red or brownish-red should be named as almandine, dark red or pinkish red – pyrope, orange-yellow – spessartine, honey-yellow – grossular, yellow or greenish – andradite and emerald green – uvarovite.

**Key words:** garnet; mineral; precious and facing stone; anfracts; pyrope; almandine.

---

**УДК 549. 621. 9**

## **УСТАРЕЛЫЕ И НОВЫЕ НАЗВАНИЯ ГРАНАТОВ**

**Сескурия О.А.**

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В прошлом минералогические термины часто подвергались изменениям. Иногда под одним и тем же термином подразумевались самые разные камни. В статье рассмотрены старинные и новые названия минералов группы гранатов.

Корунды красного цвета часто относят к гранатам, что нам кажется неправильным. Их следует рассматривать как красные разновидности минерала корунда. Минералы группы гранатов должны называть по цвету разновидностей: красный или буро-красный –альмандин, густой тёмно-красный или розовато-красный – пироп, оранжево-жёлтый-спессартин, медово-жёлтый - гроссуляр, жёлтый или зеленоватый- андрадит, а изумрудно-зелёный –уваровит.

**Ключевые слова:** гранат; минерал; драгоценные и облицовочные камни; анфракс; пироп; альмандин.

---

*მიღებულია დახაბუჭებად 03.04.2012*

## ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის სექცია

### შაპ 628.3

**მძიმე ლითონების შემცველობის მონიტორინგი სისტემაში „ნიაზაგი-მცენარე“**

ი. ქავთარაძე\*, გ. აველიაშვილი, ე. შენგელია\*\*, ლ. გვასალია\*\*\*

ქართული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: inco\_kavtaradze@yahoo.com\*, dodoshengelia@rambler.ru\*\* , lerigv@hotmail.com.\*\*\*

**რეზიუმე:** ჩატარებულია კაზრეთის (მაღნეულის) მიმდებარე სოფლების: ბალიჭი, რატევანი, ნახიდური “ნიაზაგი-მცენარე” სისტემაში მძიმე ლითონების Cu, Zn, Cd შემცველობის მონიტორინგი. მიღებული შედეგების თანახმად ნიაზაგში მათი შემცველობა მნიშვნელოვნად აღმატება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს (ზ.დ.კ.), მოუხედავად ამისა ამ ნიაზაგზე მოყვანილი კულტურების ნაყოფში მძიმე ლითონების Cu, Zn შემცველობა ზ.დ.კ-ს არ აღმატება, ხოლო Cd-ის შემცველობა არ დაფიქსირებულა.

**საკვანძო სიტყვები:** მონიტორინგი; მძიმე ლითონები (Cu, Zn, Cd); სისტემა; ნიაზაგი; მცენარე; სოფლის მეურნეობის პროცესები; დასაშვები ნორმები.

### 1. შესავალი

გარემოს ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების ერთ-ერთი საშიში სახეა მძიმე ლითონები (Cu, Zn, Cd, Pb). მათი მაღალი კონცენტრაციები საფრთხეს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ცოცხალი ორგანიზმის ბიოქიმიურ ციკლში ჩართვისას პრაქტიკულად არ გამოდის იქიდან, შეუძლიათ დაგროვება და იწვევს მძიმე ფორმის მოწამვლას და პათოგენურ ცვლილებებს.

გარემოს ტოქსიკური ლითონებით ინტენსიური დაბინძურება მაღნეულის საბადოების დამუშავების გარდაუვალი პროცესია [1].

საქართველოში არსებული საბადოებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კაზრეთის (მაღ-

ნეულის) საბადო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 80 კმ-ზე, მდინარე მაშავერას მარჯვენა სანაპიროზე. მაღნეულის სპილენძეშვილი (სულფიდური) საბადო, რომელიც დაა კარიერული წესით მუშავდება მიეკუთვნება იმ მნიშვნელოვან ტექნოგენურ წყაროს, რომლისგან გარემოში ხდება მძიმე ლითონების გავრცელება [2].

“მაღნეულის” კომპინატის ფუნქციონირების სპეციფიკიდან (კარიერის აფეთქება, მაღნის მოპოვება, გადამუშავება, ტრანსპორტირება) გამომდინარე ჰარეში მძიმე ლითონები ხდება აირების და აეროზოლების სახით, აფეთქებისა და გადაზიდვების დროს და წყალში (მდინარე) შეწონილი და კოლოიდური ნაწილაკების, ასევე გახსნილი ნაეროების სახით, მაღნის გადამუშავების დროს წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მდინარეში მოხვედრის შედეგად. გარემოს ორივე სისტემიდან ერთობლივად ან ცალ-ცალკე მძიმე ლითონები გროვდება ნიაზაგში და მათი იქიდან გამოდევნა საქმარე რთული პროცესია.

### 2. ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანია კაზრეთის (მაღნეულის) საბადოს არსებული სოფლების ექომონიტორინგი, რისთვისაც მოხდა “ნიაზაგ-მცენარის” სისტემაში მძიმე ლითონების Cu, Zn, Cd შემცველობის შეფასება.

კვლევის ობიექტები: სოფელი ბალიჭის, ნახიდურის და რატევანის (საბადოების შესაბამისად დაცილებული 4; 15 და 30 კმ-ით) სავარგულების ნიაზაგები და მასზე მოყვანილი კულ-

ტურქი (კარტოფილი, ხმელი დობიო, ნიგოზი, სიმინდი, პომიდორი და ნიორი).

მძიმე ლითონების შემცველობის განსაზღვრა ნიადაგში და კულტურების ნაყოფში მოხდა C115 ატომურ-აბსორბციული სპექტრ-ფოტომეტრის გამოყენებით.


სავარგულების ნიადაგებიდან აღებულ სინჯებში ლითონების შემცველობის მონაცემები მოყვანილია ცხრილში.

№	სოფლის დასახელება	ნიმუშის აღების თარიღი	Cu		Zn		Cd	
			მგ/კგ		მგ/კგ		მგ/კგ	
			ზედ.	სიღრ.	ზედ.	სიღრ.	ზედ.	სიღრ.
1.	ბალიჭი	05.10	97.0	49.5	159.1	140.3	43.8	20.0
2.	რატევანი	10.10	2050.0	511.3	5420.0	499.0	68.7	100.3
3.	ნახიდური	05.10	231.8	285.4	3770.0	404.0	34.6	41.5
		10.10	46.3	72.0	165.9	217.0	–	–


ცხრილის მონაცემები ცხადყოფს, რომ მაისში სოფ. ბალიჭიდან აღებულ ნიადაგის სინჯებში მძიმე ლითონების (Cu, Zn, Cd) შემცველობა გაცილებით დაბალია ვიდრე სოფ. ნახიდურის სინჯებში. ეს ერთი მხრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ სოფ. ბალიჭი იღებს სარწყავ წყალს მდ. მაშავერადან, მდინარე კაზრეთულას შეერთებამდე, (მდინარე კაზრეთულაში ჩაედინება “მაღდეულის” კომბინატის ჩამდინარე წყლები), სოფ. ნახიდურის სავარგულები კი ირწყება მდ. მაშავერას წყლით მდ. კაზრეთულას მიერთების შემდეგ. მეორე მხრივ ეს განკირობებულია ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულებით, რომელსაც ჰაერში მყოფი მძიმე ლითონები შეწინილი ნა-

წილაკების და აეროზოლების სახით მიაქვს სოფ. ნახიდურის მიმართულებით. ამავე ცხრილში მოყვანილია ოქტომბრის სინჯების მონაცემები სოფ. რატევანისა და ნახიდურის ნიადაგში, სადაც მძიმე ლითონების Cu, Zn და Cd-ის შემცველობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ნახიდურის ნიადაგებში, რაც თავისთავად განპირობებულია მათი დაბინძურების წყაროდან-“მაღდეულის” კომბინატიდან დაცილებების მანძილით (შესაბამისად 15 და 30 კმ.).

1, 2 ნახაზებზე ასახელია სოფ. ბალიჭის, რატევანის და ნახიდურის ნიადაგებზე მოყვანილი კულტურების ნაყოფში მძიმე ლითონების (Cu, Zn) შემცველობის მონაცემები.



ნახ. 1. სპილენის იონების შემცველობა სოფლის მეურნეობის კულტურებში ბოლნისის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე



ნახ. 2. თუთიის იონების შემცველობა სოფლის მეურნეობის კულტურებში  
ბოდნისის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე

იმისდა მიუხედავად, რომ სოფ. რატევანის და ნახილერის ნიადაგიდან აღიტულ სინჯებში (ოქტომბრის მონაცემი), სპილენძის და თუთიის შემცველობა მკვეთრად აღემატება დასაშვებ ნორმებს (შესაბამისად 132 და 220 მგ/კგ), ზ.დ.კ-ის გადაჭარბება ნიორის გარდა არ აღინიშნება არც ერთი სხვა კულტურის ნაყოფში. ეს ერთი მხრივ შეიძლება აისხნას იმით, რომ მცენარეები სხვადასხვაგვარად რეაგირებს ნიადაგში მძიმე ლითონების სიჭარბეზე [3]. მეორე მხრივ მცენარეში მძიმე ლითონების გადანაწილება არათანაბარია და ნიადაგში მათი მაღალი შემცველობისას ძირითად დატვირთვას იღებს მცენარის ფესვები, დერო და ფოთლები [4].

### 3. დასკვნა

კაზრეთის (მადნეულის) მიმდებარე სოფლების: ბალიჭი, რატევანი, ნახილერი, “ნიადაგი მცენარე” სისტემაში მძიმე ლითონების (Cu, Zn,

Cd) შემცველობის მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ნიადაგი ძლიერ დაბინძურებულია აღნიშნული ლითონებით, მიუხედავად ამისა ამ ნიადაგზე მოყვანილ კულტურებში მძიმე ლითონების (Cu, Zn, Cd) შემცველობის გადაჭარბება არ აღინიშნება.

### ლიტერატურა

1. Лудевиг Р., Лое К. Острые отравления. М., 1983.
2. Назаров Ю. И. Особенности формирования месторождения медно-колчеданной формации Южной Грузии. М., 1996.
3. Михайлов Р. М. Охрана окружающей среды при разработке месторождений открытым способом. М., 1981.
4. Алексеев Ю . В. Тяжелые металлы в почвах и растениях. 1987.

UDC 628.3

## MONITORING OF HEAVY METALS CONTENT IN SYSTEM “SOIL-PLANT”

I. Kavtaradze, G. Avkopashvili, E. Shengelia, L. Gvasalia

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There was carried out monitoring of heavy metals (Cu, Zn, Cd) in system “soil-plant” in the area of Kazreti (Madneuli) – villages: Balichi, Ratevani, Naxiduri. According to the results obtained in the soil, content of heavy

metals are significantly higher, than the allowable concentration limit. In spite of this in crops of the plants, which were grown on this soil, content of, Cu and Zn does not exceed the allowed concentration limits, Cd content was not found.

**Key words:** monitoring; heavy metals (Cu, Zn, Cd); system; soil; plants; farm produce; concentration limit.

**УДК 628.3**

## **МОНИТОРИНГ СОДЕРЖАНИЯ ТЯЖЕЛЫХ МЕТАЛЛОВ В СИСТЕМЕ “ПОЧВА-РАСТЕНИЕ”**

**Кавтарадзе И.Г., Авкопашвили Г.П., Шенгелия Е.Г., Гвасалия Л.Е.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Проведен мониторинг содержания тяжелых металлов (Cu, Zn, Cd) в системе “ почва-растение” на территории Казрети (Маднеули) в деревнях Балиджи, Ратевани, Нахидури. Полученные данные указывают на то, что содержание этих металлов в почве находится на внушительно высоком уровне и гораздо превышает допустимые нормы. Несмотря на это в сельскохозяйственных продуктах, выращенных на этих почвах, количество тяжелых металлов (Cu, Zn) не превышает допустимых норм, а содержание Cd не было зафиксировано.

**Ключевые слова:** мониторинг; тяжелые металлы (Cu, Zn, Cd); система; почва; растение; сельскохозяйственные продукты; допустимые нормы.

მიღებულია დანაბეჭდით 20.06.2012

**УДК 621.774.35**

## **МЕТОДИКА РАСЧЕТА СИЛЫ УДАРА ПРИ ПЕРВИЧНОМ ЗАХВАТЕ ТРУБЫ ВАЛКАМИ АВТОМАТСТАНА**

**А.И. Тутберидзе\*, С.А. Мебония, Д.Т. Деметрадзе**

Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

E-mail: atutber 34 @ mail.ru

**Резюме:** Разработана методика расчета силы удара при первичном захвате трубы валками автоматстна. Определены параметры математической модели, описывающей ударный процесс в системе прокатываемая труба – прокатные валки автоматстна. Данная модель учитывает пластическую деформацию металла при ударе в момент первичного захвата трубы валками автоматстна.

**Ключевые слова:** первичный захват; ударный процесс; автоматстан; валки.

### **1. ВВЕДЕНИЕ**

Ударные нагрузки имеют место в очаге деформации автоматических станов при захвате трубы валками. Характер ударного взаимодействия металла и валков при первичном захвате зависит от многих факторов, среди которых в первую очередь необходимо отметить относительную скорость сближения соударяемых тел, их геометрическую форму и механические свойства

материала. Механические свойства материала соударяемых тел определяются соотношениями его реологических характеристик упругости, вязкости и текучести, мерами которых являются модули упругости и пластичности, а также коэффициент вязкого трения и предел текучести. Комбинируя определенным образом указанные элементы, можно построить реологическую модель среды, определяющей процесс деформирования материала при ударном нагружении. Размещая такую модель между соударяемыми телами, получаем механическую модель, воспроизводящую процесс силового взаимодействия тел при ударе.

Такой подход, основанный на умозрительных представлениях о характере явлений соударения реальных тел, называется феноменологическим подходом [1,2].

## 2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В данной статье рассматривается методика расчета сил ударающего взаимодействия металла и валков при первичном захвате трубы на автоматическом стане трубопрокатной установки. Разработанная авторами методика приводится здесь в виде численного примера расчета силы ударающего взаимодействия трубы о валки автоматстана, что более наглядно иллюстрирует ее практическое применение.

Ниже предлагается компьютерная программа данного расчета для случая захвата трубы валками автомастана 140.

Исходными данными для расчета являются:

1. Масса трубы – 200 кг.
2. Скорость трубы (скорость движения пушера) –  $V_0 = 4,4 \text{ м/сек.}$
3. Момент инерции валков –  $I = 186 \text{ кгм}^2$ .

Момент инерции валков рассчитывается по формуле

$$I = \frac{1}{2} m R_{cp},$$

где  $m$  – масса валка;  $R_{cp}$  – средний радиус валка, рассчитываемый по схеме на рис.1.




Рис. 1. Схема для расчета среднего радиуса валка

Средний радиус валка равен

$$R_{cp} = \frac{\left(\frac{300}{2} - 300 + \frac{350}{2} - 400\right)2 + \frac{700}{2} - 1680}{(300+400)2 + 1680} = 265 \text{ мм}.$$

Масса валка равна  $m = \gamma V$ , где  $\gamma$  – плотность материала валка; для стали  $\gamma = 7800 \text{ кг/мм}^3$ .

Объем валка равен:

$$V = \pi R^2 cp \cdot l_{валка} = 3,14 \cdot 0,2652 \cdot 3,08 = \\ = 0,679 \text{ м}^3.$$

Следовательно,  $m = 7800 \cdot 0,679 = 5300 \text{ кг.}$

$$I = \frac{1}{2} m R^2 cp = \frac{1}{2} \cdot 5300 \cdot 0,2652 = 186 \text{ кгм}^2.$$

4. Катающий радиус валка равен:  $R_k = R_i - 0,75R_0$ ;  $R_k = 300 \text{ мм} = 0,3 \text{ м.}$

Здесь  $R_0$  – диаметр валка в вершине калибра.

5. Жесткость шпинделя определяем по выражению

$$C = \frac{\pi \theta d^4}{32l}.$$

$\theta = 0,8 \cdot 10^6 \text{ кг/см}^2$  – модуль упругости II рода;  $d$  – диаметр шпинделя;

$$C = \frac{3,14 \cdot 10^8 \cdot 30^4}{32 \cdot 60} = 10^8 \text{ Нм/рад.}$$

6. Плечо силы удара рассчитываем по формуле

$$h = \frac{fr}{4 \cos \theta \sin \alpha} = \frac{0,25 \cdot 0,3}{4 \cos 60 \sin 20} = 0,1 \text{ м.}$$

7. Податливость линеаризованной системы  $K = 0,2 \times 10^{-7} \text{ м/н}$  определена по алгоритму, приведенному в работе [1].

8. Время  $t_y$  взаимодействия пушера с трубой принимаем 0,01 сек.

$$9. \text{Отношение } \beta = \frac{hRm}{I} = \frac{0,1 \cdot 0,3 \cdot 200}{181} = 0,032.$$

10. Максимальное усилие пушера  $F_m$  равно 300 кг или 3000 Н.

Определив эти параметры процесса, для дальнейшего расчета используем компьютерную программу:



Calculating Of Impact Force.exe

В результате реализации компьютерной программы получаем максимальное значение силы удара – 21 460 кГ.

В случае неиспользования компьютерной программы может быть применен калькуляторный расчет ударного усилия. Ниже даются алгоритм и численный пример расчета силы удара при первичном захвате трубы на автоматическом стане.

Вначале составляем дифференциальное уравнение удара [3]:

$$Q'' + A\ddot{Q} + BQ = D + Et^2.$$

Определяем коэффициенты дифурвнения :

$$1. A = \frac{J + ctmk + amR}{Jmk} =$$

$$= \frac{186 + 10^8 \cdot 200 \cdot 0,2 \cdot 10^{-7}}{186 \cdot 200 \cdot 0,2 \cdot 10^{-7}} = 0,8 \cdot 10^6,$$

$$B = \frac{C}{Jmk} = \frac{0,2 \cdot 10^7}{186 \cdot 200 \cdot 0,2 \cdot 10^{-7}} = 0,135 \cdot 10^{12},$$

$$D = \frac{2F_m}{kmt_m^2} = \frac{2 \cdot 3000}{0,2 \cdot 10^{-7} \cdot 200 \cdot 0,01^2} = \\ = 0,15 \cdot 10^{14}.$$

$$E = \frac{cF_m}{Jmkt_m^2} = \frac{10^8 \cdot 3000}{186 \cdot 200 \cdot 0,2 \cdot 10^{-7} \cdot 0,01^2} = 4 \cdot 10^{18}.$$

Дифференциальное уравнение удара принимает такой вид :

$$\begin{aligned} Q^{IV} + 0,8 \cdot 10^6 \ddot{Q} + 0,135 \cdot 10^{12} Q = \\ = 0,15 \cdot 10^{14} + 4 \cdot 10^{18} t^2. \end{aligned}$$

Уравнение  $Q^{IV} + A\ddot{Q} + BQ = D + Et^2$  имеет общее решение:

$$\begin{aligned} Q = C_1 \cos \lambda_1 t + C_2 \sin \lambda_1 t + C_3 \cos \lambda_3 t + \\ + C_4 \sin \lambda_4 t + \frac{E}{B} t^2 + \frac{BD - 2AE}{B^2}. \end{aligned}$$

Определяем постоянные величины :

$$\begin{aligned} \frac{E}{B} = \frac{4 \cdot 10^8}{0,135 \cdot 10^{12}} = 29,6 \cdot 10^6; \\ \frac{BD - 2AE}{B^2} = \\ = \frac{0,135 \cdot 10^{12} \cdot 0,15 \cdot 10^{14} - 2 \cdot 0,8 \cdot 10^6 \cdot 4 \cdot 10^{18}}{0,135 \cdot 10^{24}} = -243. \end{aligned}$$

Тогда решение дифференциального уравнения удара запишется таким образом:

$$\begin{aligned} Q = C_1 \cos \lambda_1 t + C_2 \sin \lambda_1 t + C_3 \cos \lambda_3 t + \\ + C_4 \sin \lambda_4 t + 29,6 \cdot 10^6 t^2 - 243. \end{aligned}$$

2. Определяем начальные условия:

$$\begin{aligned} Q(0) = 0; \\ \dot{Q}(0) = \frac{V_0}{K} = \frac{4,4}{0,2 \cdot 10^{-7}} = 22 \cdot 10^7; \\ \ddot{Q}(0) = 0; \\ \dddot{Q}(0) = -\frac{V_0}{K^2 m} (1 + \beta) = -\frac{4,4}{0,2^2 \cdot 10^{-14} \cdot 200} (1 + 0,032) = \\ = 0,5676 \cdot 10^{14}. \end{aligned}$$

Здесь  $\beta = aR \frac{m}{J}$ , а коэффициент  $a = \frac{fR}{4 \cos \theta \cdot \sin \alpha}$ ;

$f$  – коэффициент трения;  $f = 0,4$ ;

$R$  – средний рабочий радиус валка;  $R = 0,3$  м;

$\theta$  – угол выпуска калибра валка; в приближенных расчетах можно принять, что  $\theta = 0$ ;  $\cos \theta = 1$ ;

$\alpha$  – угол захвата;  $\alpha = 18^\circ$ ;  $\sin \alpha = 0,309$ .

$$a = \frac{0,4 \cdot 0,3}{4 \cdot 1 \cdot 0,309} = 0,18; \beta = 0,1 \cdot 0,3 \cdot \frac{200}{186} = 0,032.$$

3. Находим корни характеристического уравнения:

$$\lambda^4 + 0,8 \cdot 10^6 \lambda^2 + 0,135 \cdot 10^{12} = 0.$$

Применяем масштабирование времени  $\tau = 1000t$ ; тогда характеристическое уравнение принимает следующий вид:

$$\lambda^4 + 0,8 \lambda^2 + 0,135 = 0.$$

Его корни будут мнимыми:

$$\begin{aligned} \lambda^2 = -0,4 \pm \sqrt{0,16 - 0,135} = -0,4 \pm 0,158, \\ \lambda_{1,2} = \pm \sqrt{-0,4 + 0,158} = \pm 0,492i, \\ \lambda_{3,4} = \pm \sqrt{-0,4 - 0,158} = \pm 0,747i. \end{aligned}$$

4. Общее решение уравнения с учетом масштабирования времени получает такой вид :

$$\begin{aligned} Q = C_1 \cos 0,492\tau + C_2 \sin 0,492\tau + C_3 \cos 0,747\tau + \\ + C_4 \sin 0,747\tau + 29,63 \cdot 10^6 \cdot 10^{-6} \tau^2 - 243. \end{aligned}$$

Определяем коэффициенты уравнения:

$$C_1, C_2; C_3, C_4.$$

$$\begin{aligned} \dot{Q} = -492C_1 \sin 0,492\tau + 0,492C_2 \cos 0,492\tau - \\ - 0,747C_3 \sin 0,747\tau + 0,747C_4 \cos 0,747\tau + \\ + 29,63 \cdot 2\tau; \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \ddot{Q} = -0,242C_1 \cos 0,492\tau - 0,242C_2 \sin 0,492\tau - \\ - 0,558C_3 \cos 0,747\tau - 0,558C_4 \sin 0,747\tau + 59,26; \\ \ddot{Q} = -0,119C_1 \sin 0,492\tau - 0,119C_2 \cos 0,492\tau + \\ + 0,417C_3 \sin 0,747\tau - 0,417C_4 \cos 0,747\tau. \end{aligned}$$

С учетом масштаба времени получаем новые начальные условия при  $\tau = 0$ :

$$\begin{aligned} Q(0) = 0; \dot{Q}(0) = 22 \cdot 10^4; \ddot{Q}(0) = \\ = 0; \dddot{Q}(0) = -0,5676 \cdot 10^5. \end{aligned}$$

После подстановки начальных условий получаем систему уравнений, из которой и определяем постоянные коэффициенты:

$$\begin{cases} C_1 + C_3 = 243, \\ 0,492C_2 + 0,747C_4 = 22 \cdot 10^4, \\ 0,242C_1 + 0,558C_3 = 59,26, \\ 0,119C_2 + 0,417C_4 = 5,676 \cdot 10^4. \end{cases}$$

Решение этой системы уравнений дает следующие значения постоянных:

$$C_1 = 243; C_3 = 0; C_2 = 42,41 \cdot 10^4; C_4 = 1,5 \cdot 10^4.$$

5. После подстановки полученных значений постоянных с учетом принятого масштаба времени окончательно дифференциальное уравнение удара принимает следующий вид :

$$\begin{aligned} Q = 243 \cos 492\tau + 42,41 \cdot 10^4 \sin 492\tau + \\ + 1,5 \cdot 10^4 \sin 747\tau + 29,63 \cdot 10^6 \cdot \tau^2 - 243. \end{aligned}$$

Определяем максимальное значение силы удара, приняв  $t_{max} = 0,001$ :

$$\begin{aligned} Q_{max} = 243 \cos 0,492 + 42,41 \cdot 10^4 \sin 0,492 + \\ + 1,5 \cdot 10^4 \sin 0,747 + 29,63 - 243 = \\ 242 \cdot 0,8813 + 42,41 \cdot 10^4 \cdot 0,4726 + 1,5 \cdot 10^4 \cdot 0,6794 + \\ + 29,63 - 243 = 21,06 \cdot 10^4. \end{aligned}$$

Таким образом получаем, что сила ударного взаимодействия при первичном захвате гильзы валками автоматического стана малой трубопрокатной установки 140 составляет  $21,06 \times 10^4$  н или 21,06 тонн.

### 3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Сравнение результатов, полученных от реализации компьютерной программы (21 460 кГ) с данными калькуляторного расчета (21 060 кГ), показало, что они практически совпадают, однако трудоемкость

калькуляторного расчета намного больше, так что при наличии технических возможностей реализации компьютерной программы, естественно, ей должно быть дано предпочтение.

### ЛИТЕРАТУРА

1. Адамия Р.Ш., Лобода В.М. Основы рационального проектирования металлургических машин. М.: Металлургия, 1984, с. 36-66.
2. Лобода В.М., Спиваковский В.Б. Определение параметров неупругого удара //Металлургическое машиноведение и ремонт оборудования, вып.2. М.: Металлургия, 1974, с. 82-87.
3. Тутберидзе А.И., Мебония С.А., Намичеишвили Т.Г., Катамадзе С.Д. Расчет усилий при первичном захвате гильзы валками автоматстана // Теория и практика металлургии, №3-41. Днепропетровск, Украина, 2010, стр.62-65.

### შაპ 621.774.35

### ავტომატური ღანის გლიცების მიერ მიჭის პირველადი შეფაცებისას დარტყმის ძალის ანბარიშის მეთოდიკა

**ა. თუთბერიძე, ს. მებონია, დ. დემეტრაძე**

მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს  
მათემატიკური მოდელირების გამოცდილება აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური პროცესების ეფექტური ანალიზისა და მართვისათვის საჭმოისი არ არის მხოლოდ რაოდენობრივი ინფორმაციის გათვალისწინება [1]. გარდა რაოდენობრივი მონაცემებისა აუცილებელია პროცესის შესახებ ხარისხობრივი ცოდნისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის მახასიათებლების გამოყენებაც. სასაგნე არის შესახებ ხარისხობრივი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და ფორმალიზაციის მიზნით ფართოდ გამოიყება ექსპერტული სისტემები.

## 2. ძირითადი ნაწილი

ჩვეულებრივ ექსპერტულ სისტემებს მიაკუთვნებენ ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებს, ანუ სისტემებს, რომელთა გამოთვლითი შესაძლებე-

ლობები პირველ რიგში არის ცოდნის ბაზასთან დაკავშირებული, და მეორე რიგში განისაზღვრება გამოყენებული მეთოდებით [2]. ცოდნის ინჟინერის მეთოდები მნიშვნელოვანწილად ინვარიანტულია ექსპერტული სისტემების გამოყენების სფეროს მიმართ, მაგრამ ძალიან ბევრი სფეროსათვის აქტუალურია არამკაფიო სიმრავლეების გამოყენება.

არამკაფიო სიმრავლეების მათემატიკური აპარატის გამოყენებით სასურველია აიგოს ექსპერტული სისტემა, ამასთან, ექსპერტული სისტემის აგების მეთოდი განისაზღვროს რაოდენობრივ მონაცემებთან იმ ხარისხობრივი ინფორმაციის ორგანული შესამებით, რომელიც შინაარსობრივ დონეზე ასახავს ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს და გასაგებია მომხმარებლისათვის.

ასეთი ექსპერტული სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს სპეციალისტ-ტექნოლოგებზე, რომლებიც წყვეტის ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობის პროცენტირების ამოცანებს, და აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალზე, რომელიც დაკავებულია მართვის სისტემების გაუმჯობესებით. იგულისხმება, რომ მომხმარებლებს აქვთ კონკრეტულ ტექნოლოგიასთან პრაქტიკული მუშაობის ცოდნა და გამოცდილება. ისინი შეიძლება არ ფლობდნენ მათემატიკური მოდელირებისა და პროგრამების ცოდნას.

**ამოცანის გადაწყვეტა.** ექსპერტული სისტემის მოდელი შედგება ოთხი ძირითადი ქვესისტემისაგან: ურთიერთობის ქვესისტემა, ცოდნის ბაზა, ლოგიკური დასკვნების მიღების მექანიზმი და ახსნა-განმარტებების ქვესისტემა.

ურთიერთობის ქვესისტემა უზრუნველყოფს ხარისხობრივი ინფორმაციის შეტანის დიალოგურ რეჟიმს და საშუალებას აძლევს ექსპერტს

მოახდინოს სისტემის სწავლება. ის საშუალებას იძლევა მოხდეს მოცემული პროცესის მახასიათებლი პარამეტრების სახელებისა და მათი ცვალებადობის დიაპაზონების შეტანა. თოთოვები პარამეტრის ყოფაგავების დაწერისათვის ექსპერტი ქმნის ტერმინების ლექსიკონს, რომელთა ფორმალიზაცია ხორციელდება პარამეტრის ცვალებადობის დიაპაზონიდან მოცემული ტერმინისადმი პარამეტრის მიკუთხნების ხარისხის მინიჭების გზით თითოვები მნიშვნელობისათვის, ანუ თითოვები ტერმინი წარმოდგენილი იქნება არამკაფიო სიმრავლით. ფორმალიზაციის ასეთი ხერხი ექსპერტს აძლევს საშუალებას მოახდინოს სისტემის სწავლება გადასაწყვეტი ამოცანის თავისებურებებით დან და საკუთარი წარმოდგენებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე. ქვესისტემა უზრუნველყოფს პარამეტრების თითოვები წყვილს შერის კაგშირების აღწერას პირობითი არამკაფიო წინადაღების სახით, ლექსიკონიდან ტერმინების გამოყენებით და ასევე ასრულებს შეტანილი ინფორმაციის სისწორის შემოწმებას და საშუალებას აძლევს ექსპერტს შეიტანოს ცოდნის ბაზაში დამატებითი ინფორმაცია ან წაშალოს არასაჭირო ინფორმაცია, ან გააკორეს კორექცია. გარდა ამისა, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად ურთიერთობის ქვესისტემა უზრუნველყოფს ექსპერტისა და მომხმარებლის კაგშირს ასსნა-განმარტების ქვესისტემასთან ან ლოგიკური დასკვნის მქეანიზმთან.

ცოდნის ბაზაში ამოცანის ამოხსნისათვის ინახება ყველა საჭირო ინფორმაცია. ცოდნის ბაზის ფორმირება ხდება ექსპერტთან დაილოგის გზით სპეციალური ბლოკის მუშაობის შედეგად, რომელიც აფორმირებს არამკაფიო პირობით წინადაღებებს შესაბამისი არამკაფიო ბინარული დამოკიდებულებებით. ექსპერტის მიერ ცოდნის ბაზაში შემოდის შემდეგი ინფორმაცია:

– მოცემული პროცესის აღმწერი პარამეტრების სიმრავლე  $X = X_1, X_2, \dots, X_N$ , სადაც  $N$  – ასეთი პარამეტრების რაოდენობაა;

– უნივერსალური სიმრავლეები  $U_i = \{u_{i1}, u_{i2}, \dots, u_{if}\}$  ( $i=1, N$ ), სადაც  $j - U_i$  უნივერსალური სიმრავლის ასლებების რაოდენობაა  $x_i$  პარამეტრისთვის;

– ტერმინების ლექსიკონი თითოვები პარამეტრისათვის  $Q_i = \{q_{i1}, q_{i2}, \dots, q_{iF}\}$ , სადაც  $F$  არის  $x_i$  პარამეტრის მახასიათებელი ტერმინების რაოდენობა;

– მიკუთხნების ხარისხის ცუნჯიების სიმრავლე  $\mu_{qif}(u_{ij})$  ( $f=1, 2, \dots, F$ ), რომლებიც ახდენს  $q_{if}$  ტერმინების ფორმალიზებას;

– ზემოქმედების მატრიცა  $A=(NxN)$ , რომელიც აფიქსირებს პარამეტრების წყვილებს შერის

კავშირების არსებობას; მატრიცის ფორმირება ხდება შემდეგნაირად: თუ  $x_i$  პარამეტრი ზეგავლენას ახდენს  $x_r$  პარამეტრზე, მაშინ  $A(NxN)$  მატრიცის შესაბამისი ელემენტია  $a_{ir} = 1$ , თუ კავშირი პარამეტრებს შორის არ არსებობს –  $a_{ir} = 0$  ( $i=\overline{1, N}$ ;  $r = \overline{1, N}$ ;  $i \neq r$ ), ამასთან, თუ არსებობს  $x_i \rightarrow x_r$  სახის კავშირი, მაშინ  $x_r \rightarrow x_i$  სახის კავშირი არ განიხილება, და პირიქით;

– არამძაფიო პირობითი წინადაღებების სიმრავლე, რომელიც აღწერს კაგშირებს პარამეტრებს შორის ზემოქმედების მატრიცასთან შესაბამისობაში. არამკაფიო წინადაღებებს აქვთ შემდგები სახე: თუ  $x_i = q_{if}$  მაშინ  $x_r = q_{rf}$  ( $q_{if} \in Q_i$ ,  $q_{rf} \in Q_r$ ); თითოვები კაგშირისათვის შეიტანება წინადაღებების რაოდენობა, რომელიც ტოლია მარცხენა ნაწილში ნაჩვენები პარამეტრის ტერმინების რაოდენობის, ხოლო პირობითი წინადაღებების მარჯვნა ნაწილში დასაშვებია „და“, „ან“, „არა“ კაგშირებით შეერთებული ტერმინების გამოყენება.

ამით მთავრდება სისტემის სწავლება ექსპერტის მიერ და სისტემა გაუშვებს სპეციალურ ბლოკს, რომელიც ექსპერტის მიერ შეტანილ პირობით წინადაღებებს უკეთებს ფორმალიზებას არამკაფიო ბინარული დამოკიდებულებებით დამოკიდებულებების გამოყენება მრავალგანხომილებისანი დამოკიდებულებების ნაცვლად განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ შემცირდეს მომხმარებლის დაგვირთვა ხარისხობრივი ინფორმაციის ფორმირებისას, რომელიც ახასიათებს პარამეტრებს შორის ზეგავლენას, და ასევე შემცირდეს გამოთვლითი სირთულე ფორმალიზებული დამოკიდებულებების გამოყენებისას. ეს დამოკიდებულებები გამოითვლება დაგარტის ნაშროვებისა და არამკაფიო სიმრავლეების გაერთიანების ოპერაციების გამოყენებით და მოიცემა მიკუთხნების ფუნქციით  $\mu_{Rir}(u_{ij}, u_{rc})$ , რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\mu_{Rir}(u_{ij}, u_{rc}) = \max[\min [\mu_{qif}(u_{ij}), \mu_{qrd}(u_{rc})];$$

$$(q_{if} \in Q_i; q_{rd} \in Q_r^f; j = \overline{1, J_i}; c = \overline{1, J_r}). \quad (1)$$


გამოთვლილი მნიშვნელობები  $R_{ir}$ , რომელთა წარმოდგენაც ხდება  $(J_i \times J_r)$  განზომილების მატრიცის სახით, თავსდება და ინახება სისტემის ცოდნის ბაზაში. ამრიგად, სწავლების შედეგად ცოდნის ბაზაში იქმნება პროცესის მოდელი, რომელიც წარმოდგენილია არამკაფიო დამოკიდებულებების სიმრავლით.

ლოგიკური დასკვნების მიღების შექმნის მრავალური მოდულების სიმრავლისაგან, რომელთა დანიშნულებაა ტექნოლოგიური

პროცესების მოდელირების ამოცანის გადაწყვეტია. მომხმარებლის მიერ ამოცანების გადაწყვეტისას დიალოგურ მოცემა შემავალი პარამეტრების მნიშვნელობები რეაქტში ლინგვისტური მნიშვნელობების ან რიცხვების სახით. გამომავალი პარამეტრების მნიშვნელობების განსაზღვრისათვის ეს ქვესისტემა იყენებს არამკაფიო სიმრავლეების გაერთიანების, თანაკვეთის ოპერაციებს და მაქსიმინურ კომპოზიციას.

ახსნა-განმარტებების ქვესისტემა, ისევე როგორც მთლიანად ექსპრესული სისტემა, ორიენტირებულია მომხმარებელზე. ამიტომ ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ამ ქვესისტემას წაეყვენება, არის იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელსაც ის აწვდის მომხმარებელს. ხელმისაწვდომობის ქვეშ იგულისხმება პირველ რიგში მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე დიალოგის წარმოების შესაძლებლობა, და მეორე, სისტემის მიერ თავისი გამომავალი დასკვნების დაცვის მიზნით წარმოდგენილი არგუმენტები მომხმარებლისთვის გასაგები უნდა იყოს.

ახსნა-განმარტების ქვესისტემა ახსნის პროცესს ყოფს დეტალიზაციის დონეებად. დეტალიზაციის დონის განსაზღვრის მიზნით დავუშვათ, რომ რაიმე ობიექტი აღიწერება პარამეტრების სიმრავლით  $X_1, X_2, \dots, X_N$ , სადაც  $N$  – პარამეტრების რაოდენობაა. ასევე დავუშვათ, რომ ზეგავლენის დიალრამას აქვს 1-ელ ნახ-ზე წარმოდგენილი სახე. მოცემულ შემთხვევაში  $N=8$ . თითოეული დონე შედგება  $X$  სიმრავლისაგან. ამასთან,  $K$ -ური დონე ( $K=1, 2, \dots, K$ , სადაც  $K$  – დონეების რაოდენობა შეიცავს ცვლადებს, რომლებიც იმყოფება იმ პარამეტრების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც ეკუთვნის  $\overline{1, K-1}$  დონეს). პირველ დონეს ყოველთვის შეადგენს მხოლოდ დამოუკიდებელი (შემავალი) პარამეტრები. მოცემულ მაგალითში არის ექვსი დონე ( $K=6$ ). ეს დონეები მათ შესაბამის პარამეტრებთან ერთად მოყვანილია ცხრილში. დეტალიზაციის დონეებად ასეთი დაყოფა საშუალებას იძლევა ახსნა-განმარტების პროცესი აიგოს ეტაპობრივად, პირველი დონიდან მეორეზე გადასვლის, შემდგომ მეორე დონიდან მესამეზე და ა.შ. ( $K-1$ ) დონიდან  $K$ -ურ დონეზე გადასვლის გზით დასკვნების მიღების ჯაჭვის ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულებით და თითოეულ ეტაპზე მისი ახსნით. ამავე დროს, წარმოშვება შესაძლებლობა ეს პროცესი შესრულდეს ზოგიერთი დონის გამოტოვებით, მაგალითად, პირველიდან უკანასკნელამდე ან პირიქით, ან ხილული იყოს შეალებული დონეები.



პარამეტრების ზეგავლენის დიაგრამა

#### დეტალიზაციის დონეები და მათი შესაბამისი პარამეტრები

დონის ნომერი	დონის პარამეტრები
1	$X_1, X_2$
2	$X_3, X_5$
3	$X_4$
4	$X_6$
5	$X_7$
6	$X_8$

ერთი დონის ფარგლებში დასკნის დამუშავება ეტაპობრივად წარმოებს (ე.ი. ხდება დონის თითოეული პარამეტრის ანალიზი რიგ-რიგობით). ამასთან გამოიყენება ცოდნის ბაზის ინფორმაცია და ლოგიკური დასკვნების მექანიზმის მუშაობის პროცესში მიღებული ინფორმაცია საზოგადოდ, თუ  $K$ -ური დონის პარამეტრი  $X_n$  ( $n=1, 2, \dots, N$ ) დეტალობს მნიშვნელობას  $q_n$ , მაშინ იმისათვის, რომ ახსნას ეს ფაქტი, ქვესისტემას უნდა გააჩნდეს შემდგენ ცოდნა:

1. ქვესიმრავლე  $X_e = X_{e1}, X_{e2}, \dots, X_{em}$ , სადაც  $e_i (i=1, 2, \dots, m)$  იმ პარამეტრების ნომრებია, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს  $X_n$  პარამეტრზე, ხოლო  $m$  – მათი რაოდენობაა. ეს ქვესიმრავლე აიგება ახსნა-განმარტების ქვესისტემის მიერ იმ პარამეტრებისას, რომლებიც ეკუთვნის  $\overline{1, K-1}$  დონეებს. ამ მიზნებისთვის გამოიყენება ზემოქმედების მატრიცა, რომელიც აგებულია ექსპერტულის სისტემის სწავლების ეტაპზე და ინახება ცოდნის ბაზაში.
2. ლინგვისტიკური მნიშვნელობების სიმრავლე  $Q_e = \{q_{e1}, q_{e2}, \dots, q_{eiF}\} \quad f=1, 2, \dots, F$ ;  $F-X_{ei}$  პარამეტრის ლინგვისტური მნიშვნელობებისა და მათი ფორმალიზაციისათვის საჭირო მიკვენების ხარისხის ფუნქციების  $\mu_{qeif}(u_{ei})$  ( $j=1, 2, \dots, j$ ;  $X_{ei}$  პარამეტრის სტატისტიკური მინიმუმის უნდა უდიდესი იყოს შეალებული დონეები).

- ლური სიმრავლის ელექტრობის რაოდენობა) რაოდენობაა.
3. მნიშვნელობები  $q_{ei}$  ( $i=1,2,\dots,m$ ), რომლებსაც დებულობს პარამეტრები  $X_e \in X_e$  მოცემული პირველი დონის პარამეტრების შესაბამისად ( $X_e$  ქვესიმრავლე შეიძლება შეიცავდეს შემავალ პარამეტრებსაც).
  4. მნიშვნელობების სიმრავლე  $Q_n = \{q_{n1}, q_{n2}, \dots, q_{nF}\}$ , სადაც  $F-X_n$  პარამეტრის ლინგგისტური მნიშვნელობებისა და მათი შესაბამისი ფუნქციების  $\mu_{qn}(u_j)$  ( $f=1,2,\dots,F$ ;  $j=1,2,\dots,n$ , სადაც  $u_j \in u_n$ ) რაოდენობაა.
- 2-4 პუნქტებში ნაჩვენები ინფორმაცია, გარდა ფუნქციის  $\mu_{qn}(u_j)$ , წარდგინება სისტემას ექსპერტის მიერ სწავლების ეტაპზე და ინახება ცოდნის ბაზაში. ფუნქციები  $\mu_{qe}(u_j)$  და ფუნქცია  $\mu_{qn}(u_j)$  გამოიყენება ლოგიკური დასკანის მიღების ქვესისტემის მიერ და შესანახად გადაეცემა ცოდნის ბაზაში.
- ტერმინებს  $q_{ei}$  და  $q_n$  შეიძლება ასევე ახლოდეს მიკუთხების ხარისხის შესაბამისი ფუნ-

ქციები ან შეიძლება წარმოდგენილი იქმის რიცხვითი მეთოდებით.

### 3. დასკვნა

მოცემული ექსპერტული სისტემის მოდელის უპირატესობაა მომხმარებლების სწავლების სიმარტივე. გარდა ამისა, ახესნა-განმარტებების ქვესისტემა განსაკუთრებით მოსახერხებელია მიხედვით ავტომატურობის გამო ექსპერტის ჩარგვის გარეშე. ამიტომ, სწავლების პროცესში ექსპერტის აღარ ესაჭიროება თავისი ცოდნის ადაპტირება ამ ცოდნის ახესნა-განმარტების ქვესისტემაში გამოყენების მიზნით.

### ლიტერატურა

1. Построение экспертных систем / Под ред. Ф. Хэйеса-Рота, Д. Уотермана, Д. Лената. М.: Мир, 1997.- 441 стр.
2. Искусственный интеллект. Системы общения и экспертные системы / Под ред. Э.В. Попова. М.: Радио и связь, 1990.- 261 стр.

**UDC 681.3**

## USING FUZZY SETS IN EXPERT SYSTEMS

**R. Kutateladze, A. Kobiasvili**

Department of economics and business management, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is offered the model of expert system, which is built up on base of a mathematical apparatus of fuzzy sets. There is considered the method of constructing an expert system with possibility of organic combination of qualitative information and quantitative data. There is described structure of the model of an expert system. There is considered subsystem of explanations and its functions. There is analysed advantages of given model.

**Key words:** expert system; fuzzy sets; simulation.

**УДК 681.3**

## ИСПОЛЬЗОВАНИЕ НЕЧЕТКИХ МНОЖЕСТВ В ЭКСПЕРТНЫХ СИСТЕМАХ

**Кутателадзе Р. Г., Кобиашвили А. А.**

Департамент управления экономикой и бизнесом, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Предложена модель экспертной системы, которая построена на основе математического аппарата нечетких множеств. Рассмотрен метод построения экспертной системы с возможностью органичного сочетания качественной информации и количественных данных. Описана структура модели экспертной системы. Рассмотрена подсистема объяснения и ее функции; сделан анализ преимуществ данной модели.

**Ключевые слова:** экспертная система; нечеткие множества; моделирование.

დოკუმენტის დაბადების 20.06.2012

## შპგ 82

### ქალური საწყისი და ქორნეტოკული არქეტიკი მინდიასა და ზიგვარიდის ტრაბიზონი („ბერების მარცხელი“ და „სიმღერა ნიგელუნგებზე“)

#### ი. ბურდული

ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: ia.burduli@gmail.com

**რეზიუმე:** პირველაწყისისაკენ წრაფვა იყო ის საიდუმლო, რაც შეიგრძნო ვაჟა ფშაველას მინდიამ პოემაში “გველისმჭამელი”. როგორც ჩანს, სწორედ ამ საიდუმლოს მატარებელი იყო ასევე მისტიკური ნისლის განძი გერმანულ საგმირო ეპოსში “სიმღერა ნიგელუნგებზე”. ორივე ნაწარმოებში ბუნების საიდუმლოებისკენ, თვით-შემცნებისაკენ განვითარდებოდა სწრაფვა აღსარების გზას გადის და ზოგადად ყოფაში ითვალისწინებს ადამიანის ხვედრს. ორივე ნაწარმოებში გველის სიმბოლიკა თავის მძიმეაღნტურობით იკვეთება და ასევე საგულისხმოა, რომ არსწორხაზოვნად ვთავრდება ქალური საწყისი, როგორც სიცოცხლის ხის ბუნება.

**საკანონო სიტყვები:** თვითობა; კოსმოსური ხე; არქეტიკული სიმბოლო; ქრონიტოპი; ქალური საწყისი; ხორური არსებები; ორსაწყისიანი მარადი-ული მიწიერი წრე.

#### 1. შესავალი

სამყარო მართლაც ჩვენშია, მაგრამ თუ არ მოვინდომებთ, გაგვიჭირდება მისი აღმოჩენა. ამისთვის საჭიროა ჩვენი ჭირველი, ცვალებადი მე დავინახოთ, თუ რაოდენ ადვილად განიცდის იგი ყოველგვარ გარეგან გავლენას და ჩავწერთ მასში ჩაძირულ წმინდა „მე“-ს, რომელსაც პირადი საწყისი არ გააჩნია. ეს შემოქმედის პირველაწყისია. იგი მოასწავებს, თუ რამდენად წილნაფარი ვართ შემოქმედთან, მთლიანობასთან, ასე ვთქვათ, უპიროვნოსთან. მისეკენ სწრაფვას ჰერმენევტიკული კვლევის მიხედვით, თვითობას უწინდებენ.

თვითობისეკენ სწრაფვა წარმოადგენდა იმ საიდუმლოს, რაც შეიგრძნო ვაჟა ფშაველას მინდიამ პოემაში „გველის მჭამელი“. როგორც ჩანს, სწორედ ამ საიდუმლოს მატარებელი იყო ასევე მნელადხელშესახები, მისტიკური ნისლის განძი (Nebelschatz) გერმანულ საგმირო ეპოსში „სიმღერა ნიგელუნგებზე“.

#### 2. ძირითადი ნაწილი

ეპოსის „სიმღერა ნიგელუნგებზე“ მთავარი გმირი ზიგფრიდი ნისლის საიდუმლოსთან იყო წილნაყარი. მან ჯუჯა რეგინის ჩაგონებით, განდის მპერობელი გველებადი მოკლა, მის სისხლში განიბანა და დამცავი ქერცლით შეიმოსა. ეს მოვლენა გმირის საიდუმლოდ იქცა, თოქმის ისევე, როგორც მინდიამ შეითვისა საიდუმლო, ბუნების ენა გველის სისხლის ხმევის შემდეგ. მინდიას სუსტი წერტილი, რომლითაც არჩეული გზიდან მისი აცდენა შეიძლებოდა, გულიდან გამოსული ის ძაფები იყო, რომლებიც ბუნების მესაიდუმლებს ყოფასთან, ადამიანურ გრძნობებთან აკავშირებდა, ზიგფრიდისთვის კი ადამიანური სისუსტე შეიმტლად დარჩენილი ქერცლით შეუმოსავი ადამიანის ხვეულებრივი კანი იყო კისრის არეში, რომელზეც მას ხიდან ჩამოგარდნილი ფრთოლი დაეფინა გველებამის სისხლში ბანაობისას.

ზიგფრიდის მიმართ საზოგადოებაში გაუცხოება და შეური დაიბადა. თვითობაში, მთლიანობისაკენ სწრაფვამ ასევე განაპირობა მინდიას გაუცხოება ყოფასთან და ყოფის სახით დაუპირისმირა მას ემპირიული, სუსტიკერულ-ინდივიდუალური „მე“. ეს უკანასკნელი დაუპირისპირდა მის ქმდებას, თვითობას, რადგან მეცნიერული კელუვების ზოგად შეფასებაზე დაყრდნობით, თვითობა არის ობიექტი, რომელიც ადამიანის შინაგანი დისპოზიციებისა და მისი სიცოცხლის განმავლობაში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთქმედებების შედეგია. ის ხასიათდება აზროვნებით, გრძნობებით და მოქმედებებით, რომლებიც როლების, ხორმების, წესების და ღირებულებების სიციალურ სტრუქტურას ეხება.

თვითობა მოიცავს მე-კონცეფციას, ანუ თვითოვორიას, და თვითცნობიერებას, რომლის ფორმებია თვითგაცნობიერება და თვითკრიტიკა (sarks-Fleisch) [2,215-223]. თვითაქტუალიზაცია თვითობას უკავშირდება, ეს არის წმინდა „მე“-ს რეალიზაცია, აზროვნებისა და ქმდებათა ერთობლიობით საკუთარი თავის გათავისუფლება, მაგრამ

ეს პროცესია და შეიძლება ვერ შედგეს, რადგან იგი იშვიათად არის მდგომარეობა და მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს [3,24].

მინდია, როგორც ჰქონდარიტი განდობილი, გაჰყეა თვითრეალიზაციის მნელადსავალ ბილიქს, ზიგფრიდში კი გააქტიურდა ვაჟაცობისა და ერთგულების მუხტი. მინდიას შემთხვევაში ყოფაშ ვერ გადასარშა მისი სწრაფვა, ქმედება, ხოლო ზიგფრიდის გარშემომყოფები გმირის მიმართ შეურის გამო, მისი მკვლელობით შეეცადენებ ზიგფრიდის თვითრეალიზაციისა და საიდუმლის შეცნობისაკენ მისწრაფების უნარის მითვისებას.

ამ თვალსაზრისით, თავიდანვე ტრაგიკული ელემენტები ჩნდება ორივე ნაწარმოებში. აქ ტრაგიკული სწრაფე სამყაროს მთლიანობისაკენ სწრაფვასთან, თვითგანხორციელებასთან დაპირისპირებაა და აშკარაა, რომ თვითობა ყოფითი პროცესისათვს უცხო რჩება და უფასურდება.

ორივე ნაწარმოებში, გარკვეულწილად, ბუნების საიდუმლოებასა და თვით-შემეცნებისაკენ განდობილთა სწრაფვა აღსარების გზას გადის, რაც ზეორეთი მგრძნობელობის გარდა, თვითგვემას და ყოფითი სამყაროს კრიზისის აღქმას გულისხმობს, ასევე ითვალისწინებს ზოგადად ყოფაში, ასე ვთქვათ, ადამიანის ხვედრს. მხატვრულ ტექსტში აღსარების ამგვარ სტრუქტურას, ვთქვირობ, სიმბოლური გამომსახულობით კარგად მიესადაგება ვიქტორ ნოზაძის მაგალითი, რომელსაც ის იშველიერს „ვეფხისტყაოსნის დვინისტყველებაში“ [3, 15-17].

„ვორმსის ტარის (გერმანია) სამხრეთის შესავალზე გამოქანდაკებული (მე-14 საუკუნეში) დიაცი, რომელსაც „დედაკაცი ქვეყანა“ ჰქვია, შეა საუკუნეთა კულტურის ერთი დამახსიათებელი ქანდაკება ვეროპაში. ამ ქნდაკებას წინიდან თუ შეხედავ თვალ-ტანად ტურფა დედაკაცს იხილავ; მაგრამ უპარიზან, მის ტანხე - ტერვიდან თავამდე - მოვაწილი არიან ჯოჯოები და გვევლები. იმავე ხანის ერთი ლექსი ამ ქნდაკების განმამარტივებელია: ერთ მომაკდაგ რაინდს გამოეცხადა დედაკაცი, რომლის სილამაზე ცეკლა ქალისას სჭარბობდა; მას ეცვა შესანიშნავი სამოსელი და ეხურა მარგალიტებით შემკობილი ოქროს გვირგვინი.

- ვინ ხარ შენ? - ეკითხება მამაკაცი. - მე ვარ ქვეყანა, - უპასუხებს მას დედაკაცი. შენ უკანიდან უნდა შემხედო! უუურე! ეს გასამრჯელო მომაქვე შენთვის!

შეძრწუნდა მამაკაცი კავალერი, როდესაც მან ქალის ზურგი იხილა: უხორცო, საგვე ჯოჯოებითა და მატლებით; და ჰყარდა იგი ვითარცა მმორი ძაღლისა. იტირა მაშინ კავალერმა ვაჟაცმა და თქვა: „ვინ მე, რომელი გემსახურებოდი შენ?“

შეა საუკუნეების რელიგიურ-კულტურული კონცეფციებიდან გამომდინარე, როგორც ვიქტორ ნოზაძე განმარტივებს, ამ ამბავით გამოხატულია ქრისტიანული-მონასტრული თვალსაზრისის ქვების შესახებ და უარყოფილი არიან არა მარტო კულტურის ცოდვითი მოვლენანი, არამედ თვით „დედაკაცი - ქვეყანა“, ანუ ყოფა [4]. მაგრამ თუ ლეგენდის განხოგადებულ ფენომენზე დაყრდნობით, არქეტიპული თვალსაზრისით განვიხილავთ „დედაკაც-ქვეყანას“, როგორც სიცოცხლის საწყის დედა-ბიძს, რომელიც ადამიანის ხელმისაწვდომობით არის დახუნძლული, დამძიმებული და გამრუდებული, მაშინ დედა-ქვეყანა სოციალურ ყოფად აღიმება, რასთან გაუცხოებაც იქცა მინდიას და ზიგფრიდისათვის ერთმხრივ ტრაგედიად, ხოლო მეორე მხრივ, მათი შინაგანი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის, თვითობის საფუძლად. ამ თვალსაზრისით, დეგენდაზე დაყრდნობილი ეს ორივე ნაწარმოები: „გველისმჳამელი“ და „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (სკანდინავიურ ედგაში, „სიმღერა ზიგფრდზე“) თავისი ტექსტური სტრუქტურითა და სიმბოლურ-სემანტიკური ველით: ყვავილების ჩურჩულით, ჩიტუნების საუბრით, სიზმრებით, ჯუჯებით, ხორცი და ზღაპრული არსებებით, რაც ყოფას გამოსახავს და ლიტერატურულ კოდებად მოჩანს, თანამედროვეა და პოსტმოდერნისტულ ტენდენციებს ეხმიანება, რადგან როგორც პოსტმოდერნიზმის უდიდესი ფრანგი მკვლევარი ჟან-ფრანსუა ლიოტარი შენიშვნას, კულტურულ ექოების საწრაფო შენიშვნის ტერმინითა შექმნილი, სწრაფ პოსტმოდერნიზმის ტული კრიტიკის წარო.

ფიზიზელი ცნობიერებით შექმნილი სოციალური რეალობა უცხოა დეგენდისათვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფანტასტიკური და მისტიკური ელემენტი. როგორც პეტერ ფიშერი შენიშნავდა, ლეგენდას, რა თქმა უნდა, ბიოგრაფიის ფორმა აქვს და ბევრ რამეში იმეორებს რელიგიური ბიოგრაფიისა და აღსარების სტრუქტურას, რამეთუ, იქაც და აქაც, თხრობის დერძს გარე კულტ ამაღლებულ მიზანზე მიმართული ადამიანის ცხოვრება ქმნის, მაგრამ მას განსაკუთრებული ნიშანი გააჩნია და ეს სწრაფ მისტიკურს, სასწაულებრივს გულისხმობს. დეგენდის თოთქოსდა რეალური ამბის შემცველი ტექსტი მიმართულია მკითხველის არა გონებაზე, არამედ მის რწმენასა და ნდობაზე. დეგენდის გმირი საბო-

ლოო ადხრულებას ამ ქვეწის მიღმა, ტრანსცენდენტულსა და დათავტორივში პოვებს ყოფის გზის გავლით. და, ისევ პერმან პერს დავითმარ, რომელიც მიიჩნევდა, რომ თვითობა ლეგენდის მთავარ ასპექტს წარმოადგენს [6,4146].

ამრიგად, „გველისმჭამელი“ და „სიმღერა ნიბელუნგებზე“ ნარატივის ხასიათთაც, თავიდანვე უპირისპირება სოციალურ რეალობას. ძალზე საგულისხმოა ისიც, რომ მინდია მისტიკურთან ზიარებით სხვა ენაზე ამეტყველდა, იგი ორგნოვანი გახდა, მას ესმოდა სამყაროს, პუნქტის ენა და ენა წუთისოფლისა. მინდიას ტრაგედია იყო სწორედ ის, რომ ამ ორ ენაზე მეტყველთ არ ესმოდათ ერთმანეთის, ისინი ერთურთისათვის დიდი ხანია უცხონი გამხდარიყვნენ, რაც შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ფშაველას მთავარი ტკიფილი და მისი შემოქმედების ასევე მთავარი მასაზრდოებელი წერტილი იყო.

გაუცხოების ტრაგიზმი ნაკლებად შესამჩნევია „ნიბელუნგებში“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზიგფრიდის ტრაგედიად იქცა მისი გაუცხოება საზოგადოებაში დამკიდრებულ ცხოვრების ნორმებთან: შურთან, გაუტანლობასა და ქიშპობასთან. ზიგფრიდმა ფაფრინის ქერცლის სახით ცხოვრების ამ ნორმებით გამოწვეული საფრთხისგან ფიზიკური თავდაცვის მექანიზმი შეიძინა, მაგრამ კისერთან ერთი ადგილი მაინც დარჩა, ასე კოქვათ, „ადამიანურად“ შიშველი, მაგრამ საკირაულოა, რომ მისი ქერცლი სრიალა და შექმნებელი იყო კაცის თვალისოფას. ეს იყო ის ძალა და საიდუმლო, რომელსაც ფლობდა გველეშაპი.

ორივე ნაწარმოებში გველის სიმბოლიკა თავის ამბივალენტურობით იკვეთება. გველეშაპი ოთხივე სტიქის მფლობელია. იგი არის მცურავი და წელის მბრძნებელი, ზღაპრებზე ფლობს წყალს, ცეცხლის მფრქვეველია და ერთდროულად ფრთოსანი და მხოხავი, მცოდნეა ცისა და მიწის ენისა [7,160-165].

ბიბლიაში კითხულობთ: „და გველი ცბიერი იყო უველა ველურ ცხოველზე, რომლებიც უფალბა გააჩინა. და უთხრა გველმა დედაკაცს...“

აქ სამი პრობლემა: თავად გველის ვინაობა, მისი „ცბიერება“ და მისი უნარი, დაამყაროს სიტყვიერი კონტაქტი დვოის ხატად გაწენილ არსებასთან. ზურაბ კონაძე შენიშნავს, რომ ჩვენ ვერ ვხვდებით, თუ რა სახისა იყო გველი, სანამ უფალი დმერთი დასწყევლიდა მას ევასა და ადამის შეცდენისათვის – მიწაზე ხოხიალით და მიწის მტკრის ჭამით, და იმ მტრობით, რომელიც მასა და ადამის შეცდენისათვის – მიწაზე ხოხიალით და მიწის მტკრის ჭამით, და იმ მტრობით, რომელიც მასა და ადამიანს შორის აქტუალურად არსებობს. ის არ უნდა ყოფილიყო ზარდამცემი, როგორიც

ის დღეს არის. თავზარდამცემი და ზოზდის გამომწვევი არსება ვერ მოახერხებდა იმას, რაც მან მოახერხა. ეს გველი ისეთივე მშვენიერი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო ის ხე და მისი ნაყოფი, რომლის ჭამა უფალმა დმტრომა აუკრძალა ადამს (და ადამის პირით დედაკაცს). დასჯილ-დაცემულ გველს შემორჩენილი აქვს „გველი დიდება“ – მისი შეფერილობა, მისი მოქნილი ტანი, იღუმალება, რომლის მსგავსესაც არც ერთი ველური ცხოველი არ იწვევს ადამიანში, მოწმობს მის სხვანაირ წარსულს. აქ იმასაც უნდა მიექცეს უკრადდება, რომ პირველი, რაც შეიმეცნა ადამმა ცოდნის ხის ნაყოფის შექმნის შემდეგ, სწორედ საჯუთარი სიშიშვლე იყო. გველი კი მანც ერთადერთია ველურ ცხოველთა შორის, რომლის ტანი შეუმოსავია, მაგრამ ეს სიშიშვლე, ისევე როგორც ქვეწარმავლობა, მისი წყევლის დაღია მის სხეულზე. ის შიშვლია ახლაც და არ რცევნია. ასევე იმის კითხვა: მხოლოდ გველი იყო მეტყველების უნარით მიმადლებული, თუ სხვა ცხოველებიც? ყოველ შემთხვევაში, დედაკაცს არ გაჰკირვებია გველის საუბარი, – მაგრამ აქ არის პრობლემა არა მხოლოდ მოლაპარაკე ცხოველისა, არამედ, ერთი მხრივ, თავად ადამის ენისა, – რა ენა პქონდა ადამს სამოთხეში, მეორე მხრივ, პრობლემა ადამსა და ცხოველთა შორის კომუნიკაციისა. ლვოის ხელით ყოველი სულიერი წარდგა ადამის წინაშე. ეს უნდა ყოფილიყო ორმხრივი ურთიერთობა, ურთიერთგაბებისა და გაგებინების საწინდარი, რაც გულისხმობს მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებას, არა აუცილებლად ვერბალურს. ადამმა დაკარგა ცხოველებთან საურთიერთო ენა და, ცხადია, მისი ენაც შეიცვალა დაცემის შემდეგ. შესაძლებელია, გველი ყველზე მეტად იყო დაჯილდოებული „მეტყველების“ ნიჭით, რაკი ის აირჩია დაცემულმა ანგელოზმა თავისი ნებისა და ზრახის გამტარად, რისი ნაშთიც შემორჩენილია მსოფლიო ფლოკლორში. [8,9-28].

გველს, როგორც მხოხავს, წრის შეკვრის უნარი შესწევს და ურაბუროსს, გველის ან გველუშაპის სიმბოლურ ხატს, მრავალი მითის მიხედვით, შეუძლია შემოერტყებს მთელ სამყაროს. მას თავისი კუდი პირში უდევს, რითიც მიანიშნებს, რომ ის არის დასაწყისიც და დასასრულიც, საუთარი თავის გამანაყოფერებელი, ორსქესოვანი უნივერსუმი (ეგვიპტური მითოლოგია, ინდურ მითოლოგიაში სამსარას ბორბალი, დაფარული კუნდალინას ენერგია), ხოლო აღქმიაში, რაც წამლობასაც უკავშირდება იგი ბუნების დაუსუსტებელი ძალაა და როგორც ჩანს, სწორედ ეს

მალა შეიძინა მინდიამ და ზიგურიდმა. წნდება კითხვა: ამ გმირთა თვითობამ, მისწრაფებამ აღმოაჩინა კი წმინდა “მე”? ვაკირობ, ტრაგიზმის სიღრმისეული მიზეზი თრივე ტექსტში განხრას რჩება ამბივალენტური და დია. შეიძლება ითქვას, რომ მითოლოგიურ-რელიგიურ კოდეზე და არქეტიპებზე დაყრდნობით, რომლებიც თრივე ნაწარმოებში იკითხება, მინდიასა და ზიგურიდის ტრაგედია და სიკვდილი შესაძლებელია არაცალ-სახად განვიხილოთ და პოსტმოდერნისტული შეფასება მიეცეთ. ორივე გმირი ტოტემურ რიტუალს ახრულებს, კლავს გველს, რომელიც საიდუმლო ცოდნასთან ერთად ბიროტებასაც ატარებს, მისი სისხლი სიმბოლურად ცნობადი ხის ნაყოფის ახოციაციას იწვევს და მის უნარს მისტიკური რიტუალის შემდგა, ეზიარება მინდიაც და ზიგურიდიც და კვლავ წნდება კითხვა, ისინი ძველებურად არიან თუ არა შხად სისხლის დასაღვრულად? თუ ამაღლდნენ მტრობაზე?

გველიც აღამაღლა უფალმა ჯვარზე, რაც ადამიანური დაცემული ბუნების ამაღლებას მოასწავებდა იქნოს სახით. მითებსა და ზღაპრებშიც გველი სიცოცხლის, ჯადოსნური ხის გარშემოახლომე შემორტყმული. იგი ხშირად ხეს უფრთხოდება, მაგრამ ხესთან მიახლოებულ ადამიანებს გესლავს, ან ნაყოფის გასაცემად ლამაზ ქალწელებს ითხოვს მსხვერპლად. საგულისხმოა, რომ ორივე ნაწარმოებში ასევე სწორხაზოვნად არ ვითარდება ქალური საწყისი, როგორც სიცოცხლის ხის ბუნება. იგი მაცდუნებელიც არის და მსხვერპლიც. ორივე ტექსტში სიმბოლური თვალსაზრისით, ქალური ასპექტი მრავალწახნაგოვანია და მითოლოგიური დისკურსის ინტერტექსტუალობას გულისხმილი”, კრიმპილდა და გუდრუნი – “სიძღვრა ნიბელუნგებზე”).

მითოლოგიაში ქალი ხშირად მოიაზრება, როგორც ცხოვრების ხის სიმბოლო, ბიძლიური ევას სახელი კი სიცოცხლის ხის არექტიპია. ძველებრაულად ევა სიცოცხლეს ნიშნავს. უფრო მეტადაა გავრცელებული სიმბოლო, სადაც სიცოცხლის ხესთან დგას დედური ფუნქციების მატრიცებლი ქალი-ღვთაება.

სიცოცხლის ხესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტექსტებში ფიგურირებს: ხეში ან ხეზე არსებული სიცოცხლის მომნიჭებელი ქალური ღვთაება და ასევე ღვთიური სასმელი (სომა, ამბორზია, უკვდავების წყალი, თაფლი, სისხლი, როგორც ინფორმაციის მატარებელი...) ან საკვები (სამოთხის ვაშლები, ჰესპერიდას თქრის ვაშლები, იდუნის ვაშლები უმცროს ედაში), რომელიც

ეძლევა მამაკაცური საწყისის მქონე არსებებს სასიცოცხლო ძალების გაძლიერება-განვითარებისათვის; გერმანულ-სკანდინავიურ მითოლოგიაში, „უმცროს ედაში“ მარადიული ახალგაზრდობის ქალდემერთი, ჯუჯა ივალდის ქალიშვილი და პოეზიის ღმერთის ბრაგის მეუღლე, იდუნი ცნობილია, როგორც ვაშლის მცველი, რომლითაც ღმერთებს მარადიული ახალგაზრდობა ენიჭებოდათ. იდუნი ცხოვრობდა ბრუნაკრში, სიცოცხლისა და მუდმივი ახალგაზრდობის ჭების ველზე [9,537-540].

ქალურ საწყისთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ჰიეროგამიის სხვადასხვა ვარიანტი, საკრალური ქორწინების აქტები. მაგალითად, შემერულ მითოლოგიაში გილგამეშმა ქალდემერთი ინანას სარცელისათვის კოსმიური ხე მოჭრა: „ხის ფესვებში მოუწუსხავი გვედი მოკლა, ხის რტოებში ფრთოსანი ანხუდი ბარტყებითურთ შეიძყო, ხის შუაგულში ქალწელ ლილას სახლი დაურღვია... რტონი მისნი განკაფა და წმინდა ინანას ტახტისათვის, საწოლისათვის უბოძა“ [10]. ლილა შეიძლება გავაიგივოთ ლილიტოან, მაცდუნებელ და დაუსრულებლად განაყოფიფრებულ, მაცდუნებელ ქალურ ენერგიასთან.

საგულისხმოა, რომ როგორც “გველის მჟამელური”, ასევე ნიბელუნგებში რთულია დაღგნა, თუ რამდენად დიდია ქალების ბრალებულობა წინააღმდეგობის გაღვივებაში, მამაკაცთა ტრაგედიაში, რაც, ვფიქრობ, ორივე ნაწარმოების ლირსებაზე მეტყველებს. არიან კი ეს ქალები დამნაშავენი? თუ ეს უბრალოდ მათი ბუნებაა – ამქვექნიური სიცოცხლის გაგრძელება.

### 3. დასკვნა

მითები და არქეტიპების მატარებელი ტექსტები იმიტომ ჰგვანან ერთმანეთს, რომ ისინი მისტიკური შეგრძენებებით არიან აღსავსენი და ადამიანთა ისტორიებს გვიამბობენ ტაივილზე, სიხარულზე, სიკეთესა და ბოროტებაზე – ცხოვრებაზე, ადამიანები კი ერთმანეთს ჰგვანან. ეს ისტორიები ზოგჯერ დაუჯერებელია, ზღაპარია. მაგრამ ზღაპარი, მრავალფეროვნად ხატოვანი ამბავი, ყოველდღიურობიდან თვის დაღწევის საშუალებაა, იგი შინაგანი სამყაროს ჰარმონიის პირველი ცდა არის. როგორც თომას მანმა შენიშნა, „ზღაპარში იხნება არსებული წინააღმდეგობა ხელოვანსა და ბიურგერს, განცალკავებულსა და ერთიანობას, ინდივიდუმსა და კოლექტივს შორის“ [11, 43].

მთი კი ხშირად არ მთავრდება კეთილი და ბედნიერი დასასრულით, რადგან ცხოვრებაა, ცხოვრების სიმბოლური ხატია, ამიტომ დასასრული ჩვეულებრივი აქვს ხოლმე, ხშირად არც კარგი და არც ცედი. იგი არ არის გათვალისწინების სწავლებაზე და თოთქმის არ ითვალისწინებს სტერეოტიპებს. მთებზე დაფუძნებული მხატვრული ნაწარმოებები სწორედ ამიტომ ბუნებრივად ქმნიან ისეთ ქრონოტოპული არქეტიპების მრავალუროვან მხატვრულ ხატს, რაც ადამიანშია, რაც ქალური და მამაკაცური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი და ხშირად დანაშაულებრივია. თუმცა, როგორც უან ბოდრიარი შენიშვნას, რეალურად დანაშაული არ შეიძლება იყოს სრულყოფილი, რადგან სამყარო თავის თავს გარეგანი გამოვლინებებით განმარტავს. სამყარო ჯერ კიდევ მისი არარსებობიდან მომდინარე კვალია. ეს კვალი წარმოადგენს უწყვეტ კაგშირს არარასთან, რომლიდანაც სამყარო თავის საიდუმლოს გვაწვდის და ამით საჭულებას გვაძლევს, რომ გარეგან გამოვლინებებში შევიგრძოთ იგი, იმავდროულად ჩვენი საჯუთარო თავის გამუდმებული დაფარვით [912,32].

### ლიტერატურა

1. Novalis, (2007): Hymnen an die Nacht. Ins Georgische übersetzt und kommentiert von Konstantine Bre-

gadze. Tbilisi, Meridiani.

2. Bibel, (1984,8): Neues Testament, Der Brief des Paulus an die Galater (ბიბლია, ახალი აღთქმა, პავლეს წერილი გალატებთა მიმართ). Leipzig, Württembergische Bibelanstalt Stuttgart.
3. Reso Karalashwili, (1993): Hermann Hesse – Charakter und Weltbild. Studien. Frankfurt am Main, Suhrkamp.
4. ვიქტორ ნოზაძე, (1963): ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველება. პარიზი.
5. Jean-Francios Lyotard, (2006, 5): Das postmoderne Wissen, Wien, (Hg. von Peter Engelmann), (frz. Originalausgabe von 1979: La condition postmoderne).
6. ქეთი ქარაშვილი, (1984): Мир романа Германа Гессе, Роман как "биография души". Тбилиси.
7. Cooper, (1986): Lexikon Alter Symbole, universum da mediumi.
8. ზურაბ კიკნაძე. საუბრები ბიბლიაზე. თბილისი. (1989).
9. Wolfgang Golther, (1875): Handbuch der germanischen Mythologie. Leipzig (neu aufgelegt Marix,2004).
10. ზურაბ კიკნაძე (1987): ძევლი შუამდინარული პოეზია, გილგამეშიანი. თბილისი. (1984).
11. Jean Baudrillard, (1996): Das perfekte Verbrechen. München, Matthes & Seitz .

**UDC 82**

## FEMALE BEGINNING AND CHRONOTOPICAL ARCHETYPE IN THE TRAGEDY OF MINDYA AND ZIGFRID (“SNAKE EATER” BY VAZHA-PSHAVELA AND GERMAN EPOS “THE SONG OF THE NIBELUNGS”)

### I. Burduli

Department of liberal sciences, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Mindya in the epic “Snake Eater” by Vazha-Pshavela realized the mystery of the inspiration towards the new beginning. It might be said, that the same secret was bearing the mysterious treasure in the German heroic epos “The Song of Nibelungs”.

In the both works the aspiration of the unbosomed heroes towards the mystery of nature, as well as towards the self-recognition goes on the way of confession and takes into consideration the human destiny.

In the both works the symbol of snake appears with the ambivalence. It should be mentioned, that the female beginning emerges in both works in diverse directions, as the nature of the tree of life.

**Key words:** selfness; cosmos tree; archetypical symbol; chronotop; female begining; stony creatures; two-beginnings everlasting earthly circle.

**УДК 82****ЖЕНСКОЕ НАЧАЛО И ХРОНОТОПИЧЕСКИЙ АРХЕТИП В ТРАГИЗМЕ МИНДИИ И ЗИГФРИДА  
(„ЗМЕЕЕД” ВАЖА-ПШАВЕЛЫ И НЕМЕЦКИЙ ЭПОС „ПЕСНЬ О НИБЕЛУНГАХ”)****Бурдули И.М.**

Департамент либеральных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Стремление к безусловному началу являлось той тайной, которую приобрел Миндия у Важа-Пшавели в поэме “Змееед”. Как видно, этой тайной владел и сокровенным сокровищем ниделунгов в немецком эпосе „Песнь о Ниделунгах”.

В обоих художественных произведениях стремление к тайне природы и самопознанию проходит исповедь и учитывает судьбу человека в бытие, а также символ змия амбивалентен и женское начало развивается неоднозначно, как древо жизни.

**Ключевые слова:** космическое древо; архетипный символ; хронотоп; женское начало; двуначальный вечный земной круговорот.

მიღებულია დახადეჭმია 03.04.2012

**შპგ 80****ენობრივი კომუნიკაციის ფსიქო-სოციალური ასპექტები****6. გამყრელიძე**

უცხო ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.gamkrelidze@mail.ru

**რეზიუმე:** განხილულია ენობრივი კომუნიკაციის ფსიქო-სოციალური ასპექტები. გამოყოფილია კომუნიკაციის პროცესის ძირითადი კომპონენტები სტრუქტურული თვალსაზრისით. გამოვლენილია ვერბალური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული გაცვლის სპეციფიკა და მისი 4 ძირითადი ნიშანი.

**საკვანძო სიტყვები:** ენობრივი კომუნიკაცია; ფსიქო-სოციალური ასპექტები; სოციალური ურთიერთმიმართებები; კომუნიკაციური ინტენცია ინტერაქციულტურული კომუნიკაცია.

**1. შესავალი**

ადამიანი, როგორც სოციალური ფენომენი, ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმას – ვერბალური კომუნიკაციის უნარს ფლობს. სუბიექტის ნებისმიერი მიზანიმართული ქმედება შეუძლებელია კომუნიკაციის გარეშე. სოციალური ურთიერთმიმართებები, რომლებიც ადამიანებს შორის ერთობლივი ფიზიკურ-შემოქმედებითი და სოციალური ურთიერთობების პროცესში ყალიბდება, აერთიანებს მათ შორის შესაძლო ურთიერთობის უკლებლივ ყველა სფეროს. სუბიექტის მიზანიმართული ქმედების განხორციელება შეუძლებელია კომუნიკაციის გარეშე, რადგან იგი სოციალური ფენომენია და მისთვის კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა – ვერბალური კომუნიკაციაა თვისობრივი. ნაშრომი ენობრივი

კომუნიკაციის ფინქ-სოციალური ასაქტების კვლევის მცდელობა.

## 2. ძირითადი ნაწილი

კვლევისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის პროცესის განხილვა სტრუქტურული თვალსაზრისით და მასში სამი ძირითადი კომპონენტის გამოყვავა: 1. ქცევითი; 2. ემოციური; 3. კოგნიტიური. [1]

**ქცევითი კომპონენტი** აერთიანებს სუბიექტის მიმიკას, უსტიყულაციას, ქცევისა და საქმიანობის შედეგს. იგი ინტეგრირებულია სუბიექტის კერძალურად გამოხატულ საკომუნიკაციო აქტონ, რომელსაც აღმენებული აღიჭვამს კვლევა მონაწილე კომუნიკაციზე. **ემოციური კომპონენტი** გულისხმობს დადებით, უარყოფით ან ნეტრალურ ემოციურ მარკერებს, სუბიექტის განწყობას სხვა სუბიექტის მიმართ, მის ემოციურ მგრძნობელობას, უკმაყოფლებას, თვითმაყოფილებას, კმაყიფილებას სოციალური ყოფით, სოციალური გარემოთი და ა.შ. რაც შეეხება **კოგნიტიურ კომპონენტს** იგი გულისხმობს კვლევა ურთიერთობანპირობებული და ურთიერთდამოკიდებული ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური პროცესების ერთობლიობას. ის დაკავშირებულია გარე სამყაროსთან და ამ სამყაროში სუბიექტის მიერ საქუთარი თავის იდენტიფიკაციის პროცესთან. აღნიშნულში იგულისხმება სუბიექტის შეგრძნებები, წარმოდგენები, მექანიზმები, აზროვნება, სამყაროს აღქმის უნარი და ა.შ. კოგნიტიური კომპონენტი ხასიათდება კომუნიკაციზო შორის ურთიერთგაების კვლევა ნიუბნით, მათ შორის სწორი იდენტიფიცირებისა და ადგავატური აღქმის უნარით.

კმაისიშვილი კომუნიკაციის პროცესის კოგნიტიურ კომპონენტში ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ცნებას: „ურთიერთობას“ და „ურთიერთმიმართებას“. აღნიშნული ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა ერთმანეთთან ჭიდორიდა დაკავშირებული და ადამიანთა თანარსებობის უცილობელ წინაპირობას წარმოადგენს. ეს ორი ცნება „გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ცოდნა, გავცვალოთ გამოცდილება, შეძნილი უნარ-ჩვევები, დირებულებები და მსოფლედვითი ორიენტირები“ [2].

ცხადია, ადამიანებს შორის კომუნიკაციის კვლაზე უფექტური საშუალება სამეტყველო ენას. ადრესანტის მიზანი კომუნიკაციის პროცესში ადრესატის საკომუნიკაციო ქმედების სწორი მართვა. ამიტომ ინფორმაცია, რომელსაც კომუნიკაციის პროცესში ვიღებთ პარტნიორისაგან ან გადავცემთ მას, სასურველია იყოს რაციონალური და ემოციურად ადგავატურად მარკირებული.

საკომუნიკაციო ინტენციის ეფექტურად განხორციელებისათვის კომუნიკაციის პროცესი თრიენტირებული უნდა იყოს ასევე სუბიექტის აღეკვატურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მზაობაზე. როგორც ცნობილია, საზოგადოებაში ყველა ინდივიდი გარკვეულ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, აქვს კონკრეტული სოციალური სტატუსი და მოღვაწეობს სოციალიად განსხვავებულ სფეროებში. სწორედ ამიტომ, სუბიექტის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური ქმედება დეტერმინირებულია როგორც მისი სოციალური როლით, ასევე სტატუსით. სუბიექტის სტატუსში იგულისხმება არა მარტო ის სოციალური ჯგუფი, რომელსაც იგი გაჟოვნის, ან მისი თანამდებობრივი მდგომარეობა, არამედ მისი ასაკი, სქესი, მის გარემოცველ პარტნიორთა ასაკობრივი მოცემულობა და ა.შ.

ადამიანი საზოგადოების ნაწილი და შესაბამისად სოციალური ფენომენია. მის შემოქმედებით საქმიანობას თან სდევს ურთიერთმიმართებათა გავრცობა-გადრმავება როგორც სამსახურეობრივ გარემოცვაში, ასევე განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში. პროფესიონალური ნიშნით გაერთიანებულ დარგობრივ-სოციალურ ჯგუფში დარგობრივ-კომუნიკაციური ინტენციას განსაზღვრავს საერთო პროფესიონალური მიზანი. მაგალითობათვის, საქმარისია დაგასახელოთ მეზღვაურთა, ჯარისტაცია, მონადირეთა, ექიმთა და სხვა სოციალურ-პროფესიულ დაჯგუფებათა ვერბალური ნიმუშები. კომუნიკაციის პროცესი კონკრეტულ დარგობრივ-სოციალურ ჯგუფებში ინფორმატივულია. იგი შეიცავს დარგობრივ-პროფესიონალურ ინფორმაციას და ამავე დროს სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის მატარებელია. ამგვარ სოციალურ ჯგუფებში ენა გამოიყენება, როგორც ერთგვარი იდენტიფიკატორი და განმასხვავებელი ნიშანი. იდენტიფიკატორის ფუნქციას ხშირ შემთხვევაში ეწ. კოდური სიტყვა ან კოდური ფრაზა ასრულებს. კომუნიკანტი, რომელიც აღნიშნულ კოდს იყენებს, საკუთარ თავს მკაფიოდ მიაკუთხებს ამა თუ იმ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს.

ცხადია, ადამიანის სამეტყველო ენა ვერბალური კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა ასევე სოციალურ ჯგუფებს შორის. „იგი ფლობს უნიკალურ უნარს გამოიმუშვილს ეწ. სპეციალური სებ-ენა, რომელიც ორიგენტირებულია ინტერჯგური კომუნიკაციისათვის, მაგალითად, საგაზორო-კულტორიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი ანუ საკანკლარიო ენა“ [3].

ვფიქრობ, ამ კუთხით მართებულია იმის ხაზებას, რომ ადგილი ერთგვარ უკუპროცესსაც

აქვს. კერძოდ, კომუნიკაციის ფინქონული ურთისებისადმი ასპექტი უშუალო ზეგავლენას ახდენს როგორც ენის სტრუქტურაზე, ასევე მის დექსიკურ შემადგენლობაზე. აღნიშნული თვალსაჩინოდ ჩანს სოციალურ ჯგუფებს შორის განხორციელებული ინტერაქციისას.

ამ საკითხზე მსჯელობისას მართებულად მიმართია მოკლედ შევეხო იმ პრობლემას, რომელიც თან სდევს საზოგადოების პროფესიონალური ან სოციალური ნიშით სტრატიგიკაციის პროცესს. ვფიქრობ მაგალითისათვის საკმარისია დავასახელო საეციალიზებული ენობრივი ქვესისტემები, მაგალითად, „მეცნიერული ენა“ „სამართლისა და იურისპრუდენციის ენა“ „ეკონომიკის ენა“ და ა.შ., რომელიც გარკვეულ შინაარსებრივ სირთულეებს ქმნის ინტერჯგურული კომუნიკაციის პროცესში. გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება აღვნიშნო, რომ კომუნიკაციის პროცესში ენობრივი ინგუნტარის შერჩევა დამოკიდებულია არა მარტო კომუნიკანტთა სოციალურ სტრუქტზე, არამედ მთელ რიგ გარემოგანმაპირობებები ფაქტორებზე [4]. ამ შემთხვევაში განმასაზღვრელ კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს სამეტკვლო ურთიერთობის სტილი ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უნდა განისაზღვროს: საკომუნიკაციო აქტი და მისი სტილი, საქმიანი, ოფიციალური, დღის წესრიგითა და პროტოკოლის ჩარჩოთია მართული, თუ პირიქით, მეგობრული და არაოფიციალურია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ოფიციალურისაგან განსხვავებით, არაოფიციალური სამეტკვლო ქმედებისას, კომუნიკანტები გაცილებით მეტ ევექტურ საკომუნიკაციო საშუალებას ფლობენ. ამ შემთხვევაში, ისინი აქტიურად მიმართავნ მუტკებების თავისუფალი სტილისათვის დამხასიათებელ ისეთ მარკერებს, როგორიცაა იუმორი, ირონია, სუმონა, აზრის გამოხატვის კონტიური საშუალებები და ა.შ.

ცხადია, კომუნიკაციის პროცესი თავისთავად გულისხმობის ინფორმაციის მიღებას და გაცვლას კომუნიკანტებს შორის. ინფორმაციული ურთიერთგაცელის ობიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა იდეა, ინტერესი, გრძნობითი აღქმა და ა.შ. სამეტკვლო ქმედების კომუნიკაციური ასპექტის აღწერისას მიზანშეწონილად მიმართია გამოვაჭლინო კომუნიკანტებს შორის ინფორმაციული გაცვლის სპეციფიკა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვთვლი, რომ:

**1. სამეტკვლო ქმედება არ უნდა გავიგოთ,** როგორც მხოლოდ ინფორმაციის აღრესატამდე გაგზავნის პროცედურა. იყი არ არის სივრცესა

და დროში ინფორმაციის გადაადგილების მარტივი პროცესი არამედ გულისხმობს ორ სუბიექტს შორის ვერბალურ ურთიერთმიმართებებს. ინფორმაციის გაცვლა ამ შემთხვევაში მათი ინტერსუბიექტური ურთიერთობის, პარმონიული თანაარსებობის, თანამშრომლობის, საგნებისა და მოვლენების ერთობლივი ცნებით-კონცეპტუალური აღჭმის საწინდარია.

**2. კომუნიკანტთა შორის ინფორმაციის გაცვლა გულისხმობის ნიშანთა სისტემის მეშვეობით ურთიერთგებლენის მოხდენას.** კომუნიკაციის პროცესი უკვე საწყისშივე გულისხმობის პარტნიორზე კომუნიკაციურ ზემოქმედებას ინტენციით – შეცვალოს საკომუნიკაციო პარტნიორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ზემოქმედების ინტენსიურობა, ევექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი საწინდარია, რადგან ინფორმაციის გაცვლა თავისთვად გულისხმობის კომუნიკანტებს შორის დამოკიდებულების ინტენსიფიკაციის ან პირიქით, გაიშვიათებას.

**3. კომუნიკაციური ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკომუნიკაციო აქტის ყველა მონაწილე მეტ-ნაკლებად თანაბარი ინტელექტუალური შესაძლებლობებისაა ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ყველა მეტყველებს ერთ ენაზე. ინფორმაციის ევექტური ურთიერთგაცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ესათუ ის ენობრივი ნიშანი ცნებით-კონცეპტუალურ პლანში იდენტურად აღიქმება საკომუნიკაციო აქტის კვლება მონაწილის მიერ. აზრი არასოდეს არის სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის ეკვივალენტი და პირდაპირობრული კრიტერიუმი. აქედან გამომდინარე, კომუნიკანტები უნდა ფლობდნენ მნიშვნელობის გაგების, შინაარსის პლანის საერთო სისტემას და იდენტური აღქმის წინაპირობებს.**

**4. ვერბალური კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა წარმოიშვას სპეციფიკური კომუნიკაციური ბარიერები. აღნიშნულს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი კომუნიკანტები სამეტკვლო სიტუაციას არასწორად ან განსხვავებულად აღიქვამენ. ამგვარი კომუნიკაციური ბარიერები განსაკუთრებით ხშირია კომუნიკანტთა არათანაბარი საბაზისო ცოდნის, ინტელექტის ან სხვა, უფრო სიღრმისეული პლანის განსხვავებების დროს. ეს შეიძლება იყოს სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულობიური, პროფესიული განსხვავებები, რაც სამყაროს ენობრივი ხატის და მისი კულტურულობიური განზომილების ინდიკიდუალური აღქმის საწინდარია [5].**

ენის შესწავლისადმი კომუნიკაციურმა მიღ-  
გომამ განაპირობა ინტერესი სუბიექტისადმი,  
როგორც საკომუნიკაციო აქტის ავტორისადმი  
და იმ გარემო ფაქტორებისადმი, რომლებიც გა-  
რაენულზილად განაპირობებენ და უზრუნვე-  
ლყოფენ მის ეფექტურობას. იმისათვის, რომ სა-  
კომუნიკაციო აქტი შედგეს, კომუნიკაციებს უნ-  
და ჰქონდეთ საერთო მსოფლებელვითი საწყისები  
და საკომუნიკაციო ინვენტარი, ანუ საერთო სა-  
მეტყველო ენა. აღნიშნულში გვულისხმობ იმ  
გარემოებას, რომ კომუნიკაციის პროცესში გა-  
მოთქმული აზრი ადგევატურად უნდა აღიქვას  
ყველა კომუნიკაციტმა და იგი უნდა შეესაბამე-  
ბოდეს აღრესანტის საწყის ინტენციას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მართებულად  
მიმართ კურადღება გავამახვილო კომუნიკაციის  
განსაკუთრებულ ფორმაზე. ამ უკანასკნელში  
გვულისხმობ ინტერლინგვისტურ და ინტერკულ-  
ტურულ კომუნიკაციას განსხვავებულ ენათა და  
კულტურათა სემანტიკურ-კულტუროლოგიური თა-  
ვისებურებების გათვალისწინებით. ნაშრომში  
მოლიანია კურადღები ვფ. პუმბოლდების ფილო-  
სოფიურ-ლინგვისტურ კონცეფციას, ამიტომ უნდა  
აღვნიშნო, რომ კულტურათა ნაციონალურ-სპე-  
ციფიკური ელემენტები უპირველეს ყოვლისა ინ-  
ტერკულიკაციის პროცესში კლინდება. იგი გუ-  
ლისხმობის სრულიად განსხვავებულ ენათა და  
კულტურათა სემანტიკური და კულტუროლოგიუ-  
რი მახასიათებლების სუბიექტის შეფასებას კომუნიკაციტა ენობრივი მსოფლებელვის უნიკა-  
ლურობის ფონზე.

### 3. დასკვნა

სუბიექტებს შორის პარმონიული კომუნიკა-  
ციური მიმართებების დამყარება და მათი შემდ-  
გომი სრულყოფა ადამიანის ერთ-ერთ ინსტინქ-  
ტად შეიძლება ჩავთვალოთ. აღნიშნული განპი-  
რობებულია სუბიექტთა თანაარსებობის და თა-  
ნაქმედების გარდაუვალი აუცილებლობით სა-  
ზოგადოებრივი საქმიანობის განსხვავებულ სფე-  
როებში. შეუძლებელია ეზიარო კულტურულ  
მემკვიდრეობას, მიიღო სოციალური გამოცდი-  
ლება, დაეუფლო საზოგადოებაში ქცევის ნორ-  
მებს და პრინციპებს სხვა სუბიექტებთან სო-  
ციალური კონტაქტის და ვერბალური კომუნი-  
კაციის გარეშე.

რთულია წარმოიდგინო ადამიანის განვითარე-  
ბა დინამიკაში და მისი სოციალურ ინდივიდუალ

ჩამოყალიბების პროცესი ვერბალური კომუნიკა-  
ციისა და ადამიანურ ურთიერთმიმართებათა სა-  
ზოგადოდ მიღებული ფორმების გარეშე. აქ იგუ-  
ლისხმება სუბიექტის კავშირი გარე სამყაროსთან  
და ობიექტურ რეალობასთან, მისი ინტერსუბიექ-  
ტური კონტაქტები, რომლებიც საერთო პროგე-  
სიონალური, სამოყვარულო, შემოქმედებითი და  
სხვა ინტერესების საფუძველზე შეიძლება ჩა-  
მოყალიბდეს. ადამიანი კომუნიკაციის პროცესში  
ნაკლებად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ თუნდაც  
არავრბადულური კომუნიკაციის ელექტრონული  
საშუალებები – ჟესტი, მიმიკა, განსხვავდება არა-  
მარტო ეთნო-კულტუროლოგიური, არამედ ინტრა-  
კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. ინტრა-  
კულტუროლოგიურ განსხვავებებს, ცხადია, ადა-  
მიანთა განსხვავებული სოციალური წარმომავ-  
ლობა, სქესობრივ-ასაკობრივი მოცუმულობა, პრო-  
ფესიონალური უნარ-ჩვევები და შესაბამისი ინტრა-  
რესები იწვევება.

ვერბალური კომუნიკაცია თავისი სემანტიკური  
სტრუქტურით და სისტემური ხასიათით, გამო-  
ნაკლიის გარეშე ორიენტირებულია სუბიექტზე,  
კომუნიკაციტზე და მის ფიქო-სოციალურ ტიპზე.  
საკომუნიკაციო აქტი ფორმირდება და ხორ-  
ციელდება საზოგადოების ცხოვრების შეული და  
შემოქმედებითი გამოცდილების ჭრილში. იგი კო-  
მუნიკაციტა ცნობიერებაში არსებულ ასოცია-  
ციურ წარმოდგენათა სტრუქტიბის კომპლექსს  
წარმოდგენებს, აერთიანებს ზოგადად ადამიანური  
აზროვნების ასოციაციურ-სიტუაციურ მოდელებს  
და ვრცელდება ადამიანთა ურთიერთმიმართების  
ყველა სფეროზე.

### ლიტერატურა

1. Обозов Н.Н. Межличностные отношения // Сб.тр. ЛГУ. Ленинград, 1979, стр. 47-51.
2. Мясищев В.Н. Социальная психология личности. Ленинград, 1974, стр.115-142.
3. Леонтьев А.А. Психология общения. Тарту, 1974, стр. 29-54.
4. Гумбольдт В. Избранные труды по языкоznанию / Под ред. Рамишвили Г.В. М.: Прогресс, 1984, стр. 18-48.
5. Tsvasman Leon. Intersubjektivitaet, in Tsvasman, L (Hrsg.) Das grosse Lexikon Medien und Kommunikation. Kompendium Interdisziplinaer Konzepte. Wuerzburg, 2006, S. 176.

UDC 80

**PSYCHO-SOCIAL ASPECTS OF LANGUAGE COMMUNICATION****N. Gamkrelidze**

Department of languages and communications, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are discussed psycho- social aspects of language communication. The basic components of communication process are separated from the structural point of view. There is revealed specificity of verbal communication, the main feature with its 4 mark and exchange of information during the communication.

**Key words:** language communication; psycho- social aspects; social relation; communicative intentions; Intercultural communication.

УДК 80

**ПСИХО-СОЦИАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ ЯЗЫКОВОЙ КОММУНИКАЦИИ****Гамкрелидзе Н.О.**

Департамент языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассматриваются психо-социальные аспекты языковой коммуникации. Выделены отдельные компоненты процесса коммуникации в структурном плане. Выявлены специфика информационного обмена в процессе коммуникации и его главные 4 признака.

**Ключевые слова:** языковая коммуникация; психо-социальные аспекты; социальные отношения; коммуникативные намерения; межкультурная коммуникация.

მიღებულია დახადეჭრად 26.06.2012

შავ 80

**დარბობრივი კომუნიკაცია და მისი სფალების სამცირებელი****ნ. გამკრელიძე**

